გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№155 (12834) 4 ივლისი შაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

# შოკ ტრანსფერი

## ოუენი ფერგის კაცია




>> გვერდი 6



ვლადიმერ ქარჩავას გამარჯვება

# ოქრო ქარჩავას და ნულუკიძეს!



მინდია ნულუკიძის ილეთი

>> გვერდი 10-11

ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

THE CHAMPIONSHIPS WIMBLEDON

# დღეს ოჯახური ფინალი, ხვალ ფედერერი და როდიკი

>> გვერდი 14

# ელისი თუ მანუ? ცინცაძე თუ...

როგორ ვემზადებით აგვისტოსთვის



>> გვერდი 14 საკალათბურთო ტრილოგია



# მაგათმა შალვე ჯარში გაიწვია

ლევან ყენია

# კიბეებზე სირბილი კი არა, ისეთ დღეში ვართ, ღამის თოკებზე ძრომიალი დავიწყოთ

>> გვერდი 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# ტარკეტი პარკეტს კი არა, მოედნებს დააგებს

## როგორ ემზადება ახალი სეზონისთვის ფედერაცია-პროფლიგა

**დაახლოებით** ერთი თვეც და საქართველოში სეზონი გახურდება - ჩვენმა გუნდებმა ევროსარბიელზე უკვე დაიწყეს გამოსვლა, 1-ელ აგვისტოს კი 21-ე ეროვნული ჩემპიონატიც დაიწყება. ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგაც ამისთვის თითქმის უკვე მზად არიან. გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ ფედერაციის გენერალური მდივანი რევაზ არველაძე, ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე და პროფესიული ლიგის პრეზიდენტის დიმიტრი რამიშვილი.

რომელი კომპანია აითვისებს „ჰეთ თრიკის" პროგრამით გამოყოფილ ფულს, როგორი იქნება უმაღლესი ლიგა, როდის დაიწყებს მუშაობას საგანგებო კომისია საეჭვო მატჩებზე... პრესკონფერენციაზე მეტწილად ამ თემებზე ისაუბრეს.

**რევაზ არველაძე:** თქვენს ყურადღებას სამ საკითხზე შევაჩერებთ. პირველი ეხება სტადიონების პროექტს. მოგეხსენებათ, უეფას პროგრამა „ჰეთ თრიკით" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც შეხვდა თანხა. ჩვენ წარვუდგინეთ უეფას გეგმა თუ რაში ვაპირებდით ამ ფულის გამოყენებას და ამის შემდეგ გადაწყდა, თუ რას მოხმარდებოდა ეს ფინანსები. ერთი სიტყვით, ხელოვნური საფარი დაიგება რუსთავის „ფოლადზე", „ვიტ ჯორჯიას" სტადიონზე მცხეთაში და ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე".

მეორე საკითხი ეხება კომისიის შექმნას, რომელმაც საეჭვო თამაშების თაობაზე უნდა იმუშაოს. მესამე თემა კი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გახლავთ. მოედნების დაგებასთან დაკავშირებით ჩავატარეთ ტენდერი, რომელშიც ოთხი კომპანია მონაწილეობდა. გადავწყვიტეთ, რომ მოედნებს კომპანია „ტარკეტის" საქართველოს წარმომადგენლობა დააგებს. ეს იქნება უმაღლესი ხარისხის ხელოვნური საფარი. „ჰეთ თრიკის" პირველი ტრანში უკვე მოსულია და ჯერ ეს თანხა კლუბების სტადიონებზე გადანაწილდება, ანუ პირველ რიგში „ვიტ ჯორჯიას" და „ოლიმპის" მოედნებისთვის ვიზრუნებთ. საერთოდ, უნდა გითხრათ, უეფა არ ავალდებულებს ეროვნული ფედერაციებს, რომ ამ პროგრამით გათვალისწინებული თანხა კერძო კლუბებს მოხმარდეს. მაგრამ ჩვენ გამოვედით ინიციატივით და უეფას შევთავაზეთ, რომ ეს ფული კლუბებისთვის დაგვეხარჯა. ამ სამი მოედნის ხელოვნური საფარისთვის უეფასგან 750 ათას ევროს მივიღებთ. სამუშაოები მალევე დაიწყება და წლის ბოლოსთვის „ვიტ ჯორჯიას" და „ოლიმპს" უკვე ექნებათ ხელოვნური საფარი მუშა მდგომარეობაში. კომპანია „ტარკეტი" 8-წლიან გარანტიას გვაძლევს. მათ მიერ დაგებული საფარი წელიწადში 11 ათასი საათი შეიძლება იყოს დატვირთული. როცა ამ პროექტს ვიწყებდით, რა თქმა უნდა, გავითვალისწინეთ, რომ „ვიტ ჯორჯია" და „ოლიმპი" საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე გუნდები არიან. რაც შეეხება „ბასაზე" დასაგებ მოედანს, ეს თითქმის სტანდარტული ზომის იქნება, შესაძლოა, სტანდარტულ ზომას 2-3 მეტრი დააკლდეს. თუმცა ვმუშაობთ იმაზე, რომ მოედნის ზომა სტანდარტული იყოს და ვნახოთ, რა გამოვა.



ასეთი მოედნები გვექნება

**- როგორც ვიცით, „ჰეთ თრიკის" პროგრამიდან შემოსული თანხა იმის საშუალებასაც იძლევა, რომ ფედერაციამ სხვა პროექტიც დააფინანსოს...**

- თანხის ნაწილი მოხმარდება სოციალურ სფეროებს და აგრეთვე სამოყვარულო ფეხბურთის განვითარებას, კიდევ მწვრთნელთა განათლებას. „ჰეთ თრიკის" პროგრამიდან 100 ათასი ევრო გვრჩება ასათვისებელი და თუ იურიდიული საკითხები მოგვარდება, ამ თანხის კონკრეტულ პროექტზე დახარჯვაზეც ვფიქრობთ.

**- ალბათ არაა დასამალი, რომ ფეხბურთის ფედერაცია მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის გარემონტებაზე ფიქრობს...**

- დიახ, ამ საკითხზე ვფიქრობთ და თუ გაირკვევა იურიდიული დეტალები, შესაძლოა, ფედერაციამ ითავოს „ლოკომოტივის" სტადიონზე ახალი ბუნებრივი საფრის დაგება.

**გოგი ქავთარაძე:** - საეჭვო თამაშების თაობაზე კომისიის შექმნა მალე დასრულდება. 6 ივლისს კომისია სრული შემადგენლობით შეიკრიბება და იქნება მსჯელობა იმაზე, კონკრეტულად რა ფორმით იმუშავებს ეს კომისია. ცხადია, ძალიან გვინდა, რომ ეს კომისია ნეიტრალური და დამოუკიდებელი ორგანო იყოს, რამეთუ ალმასკომი სწორედ მათ დასკვნას დაეყრდნობა გადაწყვეტილების მისაღებად. გუშინ შევხვდით უმაღლესი ლიგის ათივე კლუბის წარმომადგენლებს და საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი გვქონდა ამ კომისიაზე. მას შემდეგ, რაც კომისიის წევრებს და მუშაობის სპეციფიკას აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს, უმაღლესი ლიგის ათივე გუნდი ვალდებული იქნება ითანამშრომლოს ამ კომისიასთან. თვის ბოლოს ამის თაობაზე სპეციალურ მემორანდუმსაც მოეწერება ხელი და კომისიაც მუშაობას შეუდგება.

**დიმიტრი რამიშვილი:** - პირველ რიგში, მსურს, რომ „ზესტაფონსა" და „ოლიმპს" ევროტურნირის წარმატებით დაწყება მივულოცო. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, ათი გუნდი ოთხ წრედ ჩაატარებს ტურნირს. იმის გამო, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა შემცირდა, გაიზარდა საწევრო გადასახადი - 30 ათასი ლარიდან 40 ათას ლარამდე. ასეთ გადაწყვეტილებას ყველა კლუბი გაგებით მოეკიდა. პირველად გაიმართება დუბლების ჩემპიონატი, ოღონდ ამ ტურნირის მატჩები უმაღლესი ლიგის შეხვედრებთან პარალელურად არ ჩატარდება. დუბლების ჩემპიონატი სამ წრედ გაიმართება. უმაღლესი ლიგის კენჭისყრა რამდენიმე დღეში მოეწყობა. 21-ე ეროვნული ჩემპიონატი პირველ აგვისტოს დაიწყება, პირველი ორი წრე კი - 12 დეკემბერს დასრულდება. იმის გამო, რომ დუბლების ჩემპიონატი გაიმართება, პირველ ლიგაში გუნდების რაოდენობა ალბათ შეიცვლება და ისიც დასადგენია, თუ რომელი გუნდები იასპარეზებენ ამ ლიგაში. აღარ იქნება აღმოსავლეთ და დასავლეთი ზონა, პირველი ლიგა იქნება ერთიანი. სახელმწიფო კლუბები გადადიან კერძო სტრუქტურაში. ამ მიმართულებით კლუბებმა მართლაც სერიოზულად იმუშავეს, „სამტრედიამ" ამას უკვე მიაღწია, „მგლებიცა" და „ბაიაც" წარმატებით გაერთიანდნენ და სადაცაა, „სიონიც" კერძო სტრუქტურაში გადავა. რაც შეეხება თასის გათამაშებას, გადავწყვიტეთ, 1/16 და 1/8 ფინალებში წყვილში გამარჯვებული ერთმა თამაშმა გადაწყვიტოს. მოხდება თავისებური განთესვა და მატჩები შედარებით სუსტი გუნდების მოედანზე ჩატარდება, რათა მათ მოემატოთ შანსი შემდეგ ეტაპზე გასასვლელად და ამით ტურნირს დაძაბულობა შევმატოთ. მეოთხედფინალიდან კი ისევ ორი მატჩის ჯამში გამოვლინდება გამარჯვებული.

**დავით თავართქილაძე**

აქტუალური ინტერვიუ

## პაატა ბურჭალიანი

# ზუგდიდში მოედანს თუ არ მიხედავენ, ფოთში მოუწევთ თამაში

## რატომ აპირებენ მგლების სტადიონის დანგრევას?

**ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ შეხვედრაზე ყველაფერი თავის ადგილას დადგა: უმაღლესი ლიგის მონაწილეთა ვინაობა გარკვეულია, ცნობილია გათამაშების ფორმატიც... თუმცა გასარკვევი ჯერ კიდევ ბევრია - დუბლიორთა გათამაშების დეტალები, სტადიონების მდგომარეობა... ამიტომაც გადავწყვიტეთ, პროფლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჭალიანს გავსაუბრებოდით...**

**- უმაღლეს ლიგაში მონაწილეთა ვინაობა ფედერაციის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს?**

- არა, უბრალოდ, შეხვედრა ფედერაციაში გაიმართა და ბუნებრივია, მას მისი ხელმძღვანელებიც დაესწრნენ. ეს იყო საერთო შეთანხმებით მიღებული გადაწყვეტილება - უმაღლეს ლიგაში იქნება 10 გუნდი, ხოლო გათამაშება ჩატარდება ოთხ წრედ. შევთანხმდით აგრეთვე დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატის გამართვაზეც. ოფიციალურად ეს ყველაფერი 16 ივლისს, პროფლიგის კონფერენციაზე გაფორმდება. მთავარი ის არის, რომ ჩვენი წინადადებები ყველა კლუბმა მოიწონა.

**- ოთხწრიანი ჩემპიონატი ხანგრძლივი მარათონია. როდის დაიწყება და დასრულდება ჩემპიონატი?**

- დაიწყება 1 ან 2 აგვისტოს. პირველი ეტაპი 12 დეკემბერს დასრულდება, მეორე კი 7 ან 14 თებერვალს განახლდება და მაისის ბოლოს დასრულდება. სამშაბათს ან ოთხშაბათს წილისყრა გაიმართება და ყველაფერი ზუსტად გვეცოდინება.

**- ახლახან იყო ლაპარაკი, რომ სტადიონების ინსპექტირება დაიწყებოდა. ამ ეტაპისთვის თუ ხართ საქმის კურსში, რომელი არენა როგორ მდგომარეობაშია?**

- თითქმის ყველა გუნდის სტადიონი მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. თუმცა არის გამონაკლისიც - მაგალითად, ფედერაციაში შეხვედრის დროს „მგლები/ბაიას" წარმომადგენლებს აბსოლუტურად გარკვევით უთხრეს, ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის მოედანი ცუდ მდგომარეობაშია და თუ სიტუაცია არ გამოსწორდა, იქ ვერ ითამაშებთო.

**- ასეთი კატასტროფული მდგომარეობაა ზუგდიდში?**

- საფარი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

**- და სად ითამაშებს გაერთიანებული გუნდი? „ბაიას" ბაზაზე?**

- არა, იქ ვერ ვერ ითამაშებენ. ალბათ, ფოთში მოუწევთ ჩასვლა.

**- „ბაიას" ხომ მშვენიერი სპორტული კომპლექსი აქვს?**

- დიახ, ზვიად სიჭინავამ მშვენიერი ბაზა ააშენა და ამისთვის მას მადლობა ეთქმის თითოეული გულშემატკივრისგან, მაგრამ ბაზაზე რომ ითამაშო, ტრიბუნებიც ხომ უნდა იყოს? ამავე დროს, რომ იცოდეთ, მალე ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი დაინგრევა.

**- რატომ?!**

- სტადიონი დადიანების სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარეობს. ასე რომ, ვიდრე ბაზაზე ტრიბუნა აშენდება, ზუგდიდის გუნდისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება არსებული საფრის მოწესრიგება.

**- სხვა გუნდებიდან რომელს აქვს პრობლემები?**

- „სამტრედია" გაცილებით კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ კიდევ ბევრი რამის გაკეთება მოუწევს. ჩვენი საშეჯიბრო განყოფილების უფროსი ნოდარ კაკულია სამტრედიაში ინსპექტირების მიზნით იმყოფებოდა და შენიშვნებიც გააცნო. იმედია, კლუბის ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ამ შენიშვნებს და როგორც მითხრეს, ასეც ხდება - „სამტრედიაში" მუშაობა უკვე დაიწყეს.

**- უმაღლესი ლიგის გუნდებს კიდევ რაღაც ეშველებათ, მაგრამ რა მდგომარეობაშია ის სტადიონები, სადაც დუბლშემადგენლობები იასპარეზებენ?**

- მაგალითად, „ზესტაფონმა", შესაძლოა, დუბლებს ცენტრალურ სტადიონიც დაუთმოს, დანარჩენების ამბავი კი მართლა გასარკვევია. იმედია, დუბლშემადგენლობებიც მაქსიმალურად მოწესრიგებულ მოედნებზე ითამაშებენ. ინსპექტირების კომისია ამ საკითხზე უკვე მუშაობს.

**- დუბლების პირველობის გამო, პროფლიგას ხარჯები გაეზრდება, კლუბებს კი, თავის მხრივ, მეტი საწევროს გადახდა მოუწევთ. ეს ვინმემ ხომ არ გააპროტესტა?**

- მსგავსი რამ არ ყოფილა და მე რომ მკითხოთ, უხერხულიც იქნებოდა, ვინმეს რომ პრეტენზია გამოეთქვა. ამ ტურნირში მონაწილეობისთვის 15 ათას ლარს გადაიხდიან. აქამდე, პირველ ლიგაში გუნდი უმაღლესის ექვს მონაწილეს ჰყავდა. სასაცილოც არის იმაზე წუწუნი, რომ ხარჯები გაიზრდება, რომ ეს არ შეგვიძლია და ასე შემდეგ. თუკი ქართული ფეხბურთის განვითარება არ გვინდა, მუდმივად წუმპეში ვიქნებით.

**- ისე, ფაქტია, რომ ამ გაჭირვების დროს გადაწყდა დუბლების პროექტის განხორციელება. მაშინ, როცა ეს გაცილებით უკეთესი ფინანსური სიტუაციის დროსაც კი ვერ ხორციელდებოდა...**

- ძალიანაც კარგი, რომ განხორციელდა. მიმაჩნია, რომ დუბლშემადგენლობების ტურნირი ახალი მოთამაშეების აღზრდისა და ზოგადად წინსვლის საშუალებას მოგვცემს.

**- პირველი ლიგა როგორი ფორმატით გაიმართება?**

- ეს ჯერ კიდევ დასადგენია. კლუბების ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ რთულია და თავადაც არ იციან, დააფინანსებენ თუ არა.

**- ლიგა ზონებად გაიყოფა?**

- ეს მას შემდეგ გადაწყდება, რაც პირველი ლიგის მონაწილეთა რაოდენობა გაირკვევა. ჩვენი ფეხბურთის ყველა პრობლემა ხომ ფინანსებიდან მომდინარეობს. ჯერ ისიც არ ვიცით, 14 გუნდის შეგროვდება, 16 თუ 18. თუ ამდენ გუნდს მოვუყრით თავს, მაშინ ერთიანი ლიგა გვექნება და ზონებად აღარ დავყოფთ.

**- „ბორჯომი" და „მესხეთი" პირველ ლიგაში ითამაშებენ?**

- არა მგონია.

**- ფული არ აქვთ და იმიტომაა გაურკვევლობა?**

- ფულია თუ სურვილის არქონა, წარმოდგენა არ გვაქვს, მათგან საერთოდ არაფერი ისმის, არც დაგვკავშირებიან და როგორ გითხრათ, პირველ ლიგაში სურთ თამაში თუ რეგიონულში? გული კი მწყდება, ორივე საინტერესო გუნდი იყო და ერთი ხელის მოსმით დაშლისთვის არ უნდა გაემეტებინათ. ეტყობა, იმ ადამიანებმა, რომელთაც მათი დაფინანსება ევალებოდათ, გუნდზე ხელი ჩაიქნიეს.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართული ფეხბურთი

დუბლის ხალხი

# ჰელსინგბორგსაც არ შევუშინდებითო!..


ნიკა გელაშვილი

მაშ ასე, „ზესტაფონმა“ ახალი ტურნირი, ევროპის ლიგა ომახიანად დაიწყო. იმერლებმა ჩრდილოეთ ირლანდიის „ლისბერნი“ ლურგანში 5:1 გაანადგურეს და მომდევნო ეტაპზე გასვლა პირველივე მატჩში გაინაღდეს. საგულისხმოა ისიც, რომ 5 გოლიდან ესტაფონელთაგან ორმა დუბლი მიითვალა. შეგახსენებთ, რომ თორნიკე აფციაურის ბოლო გოლამდე, ნიკა გელაშვილმა და შოთა გრიგალაშვილმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს. ეს მასალაც ამას ეხმიანება...

## ნიკა გელაშვილი
## გოლებს ზესტაფონშიც გავიტანთ

**- საუბარი ლურგანის მატჩით დავიწყოთ. დღეს როგორ იხსენებთ ამ თამაშს?**

- მატჩზე რა უნდა ვთქვა, ანგარიში ალბათ ყველაფერზე მეტყველებს. მართალია დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი გოლი რომ არ გაგვეშვა... ერთი სიტყვით, მშრალად მოგება გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ...

**- ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად „ლისბერნთან“ ერთი შანსი კიდევ გაქვთ...**

- (იცინის)... კი, ეგ მართალია. 6-6 საათი აქეთ-იქით ვიფრინეთ, ისეთი დაღლილი ვარ, ეგ მართლა აღარ მახსოვდა. ჩრდილოირლანდიელებს ზესტაფონში მაინც უნდა ავუსრულოთ ჩვენი ჩაფიქრებული და შინ მაინც უნდა მოვუგოთ მშრალად.

**- თავდასხმაში თქვენ და ჯაბა დვალი ტანდემში იყავით... ჯაბა „ზესტაფონში“ რომ ჩაირიცხა ბევრმა მაშინვე ითქვა - ეგ და გელაშვილი მრისხანე დუეტს შექმნიანო. სლოვენიურ შეკრებაზე დახვეწეთ ტანდემში თამაში?**

- ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ, მაგრამ ჩვენი ტანდემი მალე უფრო მრისხანე იქნება. ერთმანეთთან ურთიერთგაგება არ გვიჭირს, მაგრამ მატჩიდან მატჩამდე კიდევ უკეთ შევთამაშდებით. ჩვენც და საერთოდ მთელი გუნდიც... რაც შეეხება სლოვენიურ შეკრებას, ბალკანეთზე მწვრთნელებმა სხვადასხვა ვარიანტი მოსინჯეს. მე და ჯაბამ ორ მატჩში, „პოლონიასთან“ და „მარიბორთან“ ვითამაშეთ ტანდემში. მოსამზადებლად მეტი დრო რომ გვქონოდა, მეტ საკონტროლო მატჩს ჩავატარებდით და უკეთ შევთამაშდებოდით მთელი გუნდი... ჩემს ამ ნათქვამს წუწუნში ნუ ჩამომართმევთ. შეთამაშება ამ ეტაპისთვის ნორმალური გვაქვს, მაგრამ კიდევ შეგვიძლია მოვუმატოთ და მჯერა, ასეც იქნება.

**- ისევ ლურგანის მატჩს დავუბრუნდეთ. მაინც რა დაგავალათ მწვრთნელმა?**

- დავალება ასეთი იყო, ბურთზე რაც შეიძლება მეტი კონტროლი გვქონოდა და მეტოქის დარად, ბურთის უმისამართოდ მოგერიება არ დაგვეწყო. ამასთან, გოლი არ უნდა გაგვეშვა. ამ დავალებას ასე თუ ისე გავართვით თავი. ჩვენთან შედარებით, ჩრდილო ირლანდიაში სიგრილე იყო, ნაწვიმარი იყო, მაგრამ მოედანი იდეალურ მდგომარეობაში დაგვხვდა. ერთი სიტყვით, ფეხბურთისთვის ჩინებული ატმოსფერო იყო და ჩვენც, რომ იტყვიან შევუბერეთ... აი, გოლი არ უნდა გაგვეშვა, მაგრამ მატჩის ბოლოს მასპინძლებმა პრესტიჟის გოლი მაინც გაიტანეს...

**- ევროპის ლიგაზე პირველი, ისტორიული დუბლის ავტორი გია მეგრელაძეა, თქვენ და შოთა გრიგალაშვილის დუბლებიც უკვე ისტორიის კუთვნილებაა. რა გრძნობა გეუფლებათ?**

- გია მეგრელაძესა და მთლიანად „ოლიმპს“ ჩრდილოირლანდიიდან ავუბით მხარი. აქაურ ერთს, იქაური ორი დუბლი დავამატეთ და ქართული ფეხბურთის ღირსება დავიცავით. ევროტურნირებზე კიდევ ჩვენი ორი გუნდი, „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ ჩაერთვება და მათაც წარმატებას ვუსურვებ... ერთსაც დავამატებდი, გასულ სეზონში საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი გავხდი, მაგრამ ევროტურნირებზე გატანილ გოლს მაინც სხვა ხიბლი, სხვა გემო აქვს და უფრო დიდი სტიმულია.

**- სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე გკითხავთ. გასულ სეზონში ბომბარდირი გახდით, „დია 2009“-ზე კი ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელად დაგასახელეს...**

- დიახ, ძალიან გამეხარდა და მადლობელი ვარ აღიარებისთვის. თანაგუნდელები რომ არ დამხმარებოდნენ, ისე გამიჭირდებოდა. მომავალში შევეცდები, უკეთ წარმოვჩნდე და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე... მაშინ სლოვენიაში ვიყავით მოსამზადებელ შეკრებაზე და პრიზი კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიასა და ჩემს უფროს ვაჟს, კობას გადასცეს... საქართველოში რომ დავბრუნდი, ეს ამბავი 4 წლის კობამ მახარა, თან დაამატა, ეს ჩემი პრიზია, მე მომცეს და ვერ დაგითმობო. შინ მითხრეს, უკვე დღეებია ამ პრიზთან ერთად იძინებსო... კობა და 1 წლის ლუკაც ფეხბურთელებად უნდა გავზარდო... სახლში ფეხბურთის იმდენი ბურთი აქვთ, სხვანაირი ბურთი მინდაო და ჩრდილოირლანდიიდან რაგბის ბურთი ჩამოვუტანე... მომიტევეთ თუ თავი მოგაწყინეთ ჩემი შვილებით, ლურგანში გატანილ გოლებს შვილებს, თანაგუნდელებს და „ზესტაფონის“ ყველა გულშემატკივარს ვუძღვნი.

**- დაბოლოს, „ლისბერნს“ შინაც 2-3 გოლი რომ გაუტანო, ევროპის ლიგის პირველ ეტაპზე ბომბარდირობაზეც შეგიძლია იფიქრო...**

- რატომაც არა, მეტოქეს გოლებით ზესტაფონშიც დავამახსოვრებ თავს. ამას რა აჯობებს, თუ მეც და შოთა გრიგალაშვილიც მეგოლეებში პირველები ვიქნებით. ამაზე ვიფიქრებ...

## შოთა გრიგალაშვილი
## აბა, ამხელა გზაზე რისთვის წავიდოდით?

- ამდენი ვიმგზავრეთ, 6-6 საათი წინ და უკან ვიფრინეთ და აბა ისე ხომ არ წავიდოდით, რომ დიდი ანგარიშით არ მოგვეგო. დროში სხვაობის გამო, ჩვენი დროით, ლამის შუაღამის 1 საათზე მოვრჩით თამაშს. ჩვენი მიზანი იყო, პირველივე თამაშში მოგვემთავრებინა ყველაფერი, მომდევნო ეტაპზე გასვლა გაგვენაღდებინა და ეს შევძელით კიდეც... აბა ამხელა გზაზე პატარა ანგარიშისთვის ხომ არ წავიდოდით?

**- მატჩამდე რომ ვინმეს ეთქვა, ამ შეხვედრას 4 ბურთის სხვაობით მოიგებთო, დაიჯერებდით?**

- მართალი გითხრათ, „ლისბერნი“ უფრო უკეთესი გუნდი მეგონა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კარად აგვეწყო მატჩი მსვლელობა. არის თამაშები, როცა მეტოქეს აშკარად ჯობიხარ, მაგრამ არაფრით გოლი არ გადის და ამის გამო ნერვიულობ, თამაშს სათანადო ორგანიზებას ველარ უკეთებ და ეს მეტოქის წისქვილზე ასხამს წყალს... ლურგანში სწრაფი გოლით დავწინაურდით, მეორეც მალევე გავიტანეთ და მეე მესამეც მივაყოლეთ. სამი ბურთის შემდეგ ძალზედ შეფუცხუნდნენ მასპინძლები, უნდოდათ შესვენებამდე ერთი ბურთი მაინც გაექვითათ, მაგრამ... ისიც უნდა ითქვას, რომ პირველი ტაიმის დასრულებამდე ზურაბ მამალაძემ გვიხსნა. მეტოქის თავურისას „მკვდარი ბურთი“ მოიგერია. ისიც უნდა ითქვას, რომ „ლისბერნი“ ხისტად გვეთამაშებოდა.

**- კლასით მაინც და მაინც არ გამოირჩეოდა?**

- არა, მთლად ეგრეც არაა. 2-3 კარგი ფეხბურთელიც ჰყავდათ. უკლასო გუნდი ნამდვილად არაა. თუმცა კლასში აშკარად დავჯაბნეთ და მერე ხისტ თამაშზე გადავიდნენ.

**- შესვენებაზე რა გითხრათ გუნდის თავკაცმა გია გეგუჩაძემ?**

- არ გაჩერდეთ, ბარემ დიდი ანგარიშით მოვიგოთ, ბურთი ვაკონტროლოთ, კარი მშრალად შევინახოთ და საგოლე მომენტები გამოვიყენოთო. მწვრთნელის ეს დავალება შევასრულეთ კიდეც.

**- ზოგი იმასაც კი ხუმრობს საპასუხო მატჩისთვის „ლისბერნი“ ზესტაფონში აღარ ჩავაო...**

- (იცინის)... ხუმრობა იქით იყოს და მართლა ბევრია სამგზავრო. უეფა დასჯის რომ არ ჩამოვიდნენ, თორემ მართლა სერიოზულად დაფიქრდებოდნენ საქართველოში ჩავფრინდეთ თუ არაო...

**- საპასუხო მატჩსაც დიდი ანგარიშით მოვიგებთო, ნია გელაშვილმა გვითხრა. თან დააამატა მე და გრიგალაშილმა კიდევ უნდა გავიტანოთ გოლებიო...**

- დაცვაში ჩაჯდომას ნამდვილად არ ვაპირებთ. საკუთარი გულშემატკივარი გვინდა გოლებით გავახაროთ. ვნახოთ, გოლების გატანის პატივიც თუ ჩვენ გვერგება, ურიგო ნამდვილად არ იქნება.

**- დუბლი და საგოლე პასი, ასეთია თქვენი მონაგარი. რა პოზიციაზე თამაშობდით?**

- ნახევარდაცვაში მარჯვნივ ვიყავი გამწესებული, მარცხნივ კი თორნიკე აფციაური იყო. რაც შემეძლო გავაკეთე, მეც და ჩემმა თანაგუნდელებმაც ცდა არ დავაკელით, რომ სოლიდური ანგარიშით მოგვეგო.

**- ბევრი აღნიშნავს „ზესტაფონი“ უკვე „ჰელსინგბორგზე“ ფიქრობსო. ჰენრიკ ლარსონის გუნდზე რა წარმოდგენა გაქვთ?**

- ლარსონი მართლაც დიდი ფიგურაა და „ჰელსინგბორგიც“ „ლისბერნზე“ საგრძნობად ძლიერი გუნდი იქნება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შვედების წინააღმდეგ უშანსოდ ვართ. ჩვენ სკანდილაველების წინააღმდეგაც ბოლომდე ვიბრძოლებთ. ძალიან მინდა მესამე ეტაპზე გავიდეთ და სულაც არ ვთვლი, რომ ამ ჩანაფიქრის განხორციელება ჩვენს ძალებს აღემატება. შვედებთან მატჩამდე კი ჩვენი გუნდის გულშემატკივარი, „ლისბერნთან“ კარგი თამაშითა და გოლებით უნდა გავახაროთ.

**დავით ცაბაძე**


ლისბურნი-ზესტაფონი. №19 შოთა გრიგალაშვილი


გია მეგრელაძე

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## გია მეგრელაძე
# ალბათ, გასულები ვართ...

ევროპის ლიგის ისტორიაში გია მეგრელაძის სახელი სამუდამოდ დაფიქსირდება. ის უეფას ახალი გათამაშების პირველი შეხვედრის მონაწილე და პირველი გოლის ავტორი გახლავთ. რუსთავის „ოლიმპისა“ და „ბ36 ტორსჰავნის“ მატჩის მე-10 წუთზე ქართველმა ფორვარდმა ახალი ევროპული გათამაშების სადებიუტო გოლი გაიტანა.

ახლა უკვე შეგვიძლია გითხრათ ის, რაც მატჩამდე და მატჩის დღეს არ დაგვიწერია. რატომღაც გიას დაჩემებული ჰქონდა, რომ ფარერის გუნდს „ოლიმპი“ 2:0 მოუგებდა. და ეს რამდენჯერმე ჩვენთან კერძო საუბარში გაიმეორა.

**- როგორც ჩანს, საკმაოდ კარგი ინტუიცია გაქვს...**

- არ ვიცი ინტუიცია როგორი მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ დარწმუნებული ვიყავი, რომ მატჩი სწორედ ასეთი შედეგით დასრულდებოდა.

**- მეტოქეზე როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?**

- საკმაოდ ნორმალური გუნდი იყო. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ჩემპიონატში აუტსაიდერი არ იქნებოდა.

**- ასეთი გუნდი ჩვენი ჩემპიონატიდან არ გავარდებოდა?**

- არა მგონია, დარწმუნებულიც ვარ, რომ არ გავარდებოდა.

**- შენი აზრით, რა იყო „ბ 36-ის“ მთავარი პლუსი?**

- ალბათ უფრო ფიზიკური მომზადება.

**- დარჩა შთაბეჭდილება, რომ ფარერელები ტაქტიკურად „ოლიმპზე“ არანაკლებ განსწავლულები იყვნენ...**

- მათი ტაქტიკურ განსწავლულობაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფიზიკურად საკმაოდ ძლიერები იყვნენ და ეს ორთაბრძოლებში იგრძნობოდა მათი დაჩაგვრა ცოტა ძნელი იყო.

**- გუნდის კაპიტნის შოთა ბაბუნაშვილს გაძევება ძალიან დაგეტყობათ.**

- შოთა ჩვენთვის მართლა დიდი ძალაა, მაგრამ როგორც გვითხრეს, შესაძლოა მხოლოდ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცენ. ანუ მეორე ეტაპის მატჩისთვის „ლეგიასთან“ უნდა დაგვეხმაროს.

**- საერთოდ ცნობილია, რომ პოლონელები ძალიან სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ. „ოლიმპი“ კი ჯერჯერობით ასეთ ფეხბურთს ვერ აჩვენებს და მეტოქესთან დაპირისპირება ძალიან ხომ არ გაგიჭირდებათ?**

- ვიცით, რაც არის პოლონური ფეხბურთი, მაგრამ მეტოქეზე კონკრეტული წარმოდგენა არ გვაქვს. დღეს ამ გუნდში ვინ თამაშობს, რა ტაქტიკას იყენებენ და ა.შ. ასე რომ, წინასწარ ლაპარაკი გამიჭირდება.

**- ახლა თქვენი გუნდის გულშემატკივრები ბრაზილიელების ჩამოსვლის იმედად არიან.**

- ჩვენც იმედი გვაქვს, რომ მოლოდინი გამართლდება. თუმცა ვარაუდებს ჯობია, ჩამოვიდნენ და საქმეში ვნახოთ კონკრეტულად ვინ რას წარმოადგენს.

**- ბოლოს ისევ ფარერელებთან მატჩის თაობაზე გკითხავ. შენი აზრით 2:0 შემდეგ ეტაპზე გასვლის გარანტიაა?**

- ალბათ უნდა იყოს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ-ბრაზილიური პროექტი

## გოჩა ალადაშვილი

# სამი ნახევარმცველი, ერთი მცველი და ერთიც ფორვარდი

რუსთავის „ოლიმპმა“ ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერის „ბ 36“ 2:0 დაამარცხა და მეორე წრეში გასვლაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. თუმცა ეს, ასე თუ ისე, მაინც მოსალოდნელი გახლდათ. არის კი გუნდი მზად, პოლონეთის ვიცე-ჩემპიონ ვარშავის „ლეგიასთან“ დაპირისპირებისთვის? ეს კითხვა საკმაოდ დიდ ეჭვებს ბადებს და ვფიქრობ, პასუხიც არ იქნება დადებითი. ფარერებთან ნაჩვენები ფეხბურთით რუსთაველებს მეორე ეტაპის მეტოქესთან თამაში გაუჭირდებათ, წარმატებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პოლონური ფეხბურთი ცნობილია როგორც ძალიან სწრაფი. სისწრაფე და მოძრაობა კი ქართველების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად ითვლება.

მატჩამდე ცნობილი იყო, რომ რუსთავის „ოლიმპმა“ და ბრაზილიურ კლუბ „ატლეტიკო პარანაენსეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სამხრეთამერიკელები ქართულ კლუბს მოთამაშეებით სისტემატურად მოამარაგებდნენ. ბუნებრივია ეს ხელშეკრულება უნდა ამოქმედდეს და აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რა პოზიციაზე და რომელ მოთამაშეებს შეაშველებენ ბრაზილიელები „ოლიმპს“? ფაქტია, რომ რუსთავულ კლუბს გაძლიერება სჭირდება, თორემ თავიდან ვერ ავიცილებთ იმ სირცხვილს, რომელიც უკვე ბოლო 10 წელია გრძელდება და დასასრული არ უჩანს.

ამის თაობაზე „ლელო“ გაესაუბრა ბრაზილიურ-ქართული თანამშრომლობის პროექტის ინიციატორ გოჩა ალადაშვილს.

**- ბატონო გოჩა, იყო ვარაუდი, რომ ბრაზილიური კლუბის ხელმძღვანელები ევროპის ლიგის შეხვედრას დაესწრებოდნენ და ამის შემდეგ ერთად გადაწყვეტდით, რომელ პოზიციაზე დაიმატებდა გუნდი მოთამაშეებს.**

- თავდაპირველად იყო ასეთი იდეა, მაგრამ ბრაზილიელები სამშობლოში გაემგზავრნენ. ჩვენი პარტნიორობისთვის ასე იყო უკეთესი. ისინი ადგილზე გაარკვევენ და მოაგვარებენ იმ საკითხებს, რომელიც ჩვენი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

**- რას გულისხმობთ?**

- საუბარია იმაზე, რომ 7 ივლისისთვის ფეხბურთელებთან დაკავშირებული საკითხები უნდა გაირკვეს. ანუ ვარშავის „ლეგიასთან“ მატჩამდე რუსთავის „ოლიმპმა“ ბრაზილიიდან ფეხბურთელები უნდა დაიმატოს.

**- რომელ პოზიციაზე დაიმატებს „ოლიმპი“ ბრაზილიელებს?**

- ლაპარაკია „ატლეტიკო პარანაენსეს“ 5 მოთამაშის ჩამოყვანაზე. კონკრეტულად კი რუსთაველებმა მოითხოვეს ერთი ცენტრალური მცველი, სამი ნახევარმცველი და ერთიც თავდამსხმელი - დავაზუსტებ, რომ ეს მხოლოდ ევროპის ლიგის თამაშებისთვის. ამას გარდა, არ არის გამორიცხული, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისთვის „ოლიმპს“ კიდევ ორიოდე ფეხბურთელი შეეშველოს.

**- კონკრეტულად თუ არის ცნობილი ამ ფეხბურთელების ვინაობა?**

- „ატლეტიკო პარანაენსეს“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლუიშ კორდეირომ 15-კაციანი სია შეადგინა და ჩვენ სწორედ მათგან ავარჩევთ, რომელი მეტად გვჭირდება. ეს ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**- „ლეგიასთან“ მატჩამდე ბრაზილიელების განაცხადში შეყვანა მოესწრება?**

- წესით უნდა მოესწროს. თუმცა ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში სიჩქარე გამართლებული არ იქნება. აქ საუბარია არა კონკრეტულად „ლეგიასთან“ ან რომელიმე სხვა წამყვან კლუბთან დაპირისპირებაზე, არამედ 10-15 წლიან სერიოზულ პარტნიორობაზე. მომავალი წლებისთვის კი გეგმაშია, რომ „ოლიმპის“ წარმომადგენელი თავად ჩამოვიდეს ბრაზილიაში და ადგილზე შეარჩიოს სასურველი მოთამაშეები.

**- ზემოთ 7 ივლისისთვის საქმის მოსწრება ახსენეთ. გამოდის, ბრაზილიელები საქართველოში ამ დროისთვის უნდა ჩამოვიდნენ?**

- ამ დროისთვის ლუიშ კორდეირო მოთამაშეების სიას გამოაგზავნის და ჩვენთვის სასურველი მოთამაშეები, ალბათ, 10 ივლისისთვის ჩამოვლენ. ვფიქრობ, ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩისთვის მათ დამატებას მოვასწრებთ.

მერაბ მამულაშვილი



გოჩა ალადაშვილი

დინამო



დინამო-პიოსნეკი

www.fcdinamo.ge-ს ფოტო



მარინ ვუჩემილოვიჩი

# ისევ გამარჯვება

## კაჭარავა ვუჩემილოვიჩს დააკვირდება

მოგეხსენებათ, თბილისის „დინამო“ გერმანიაში განაგრძობს მოსამზადებელ შეკრებას. **კახა კაჭარავას** გუნდმა გუშინ რიგით მეორე ამხანაგური შეხვედრა გამართა. ადრე გავრცელებული ცნობის თანახმად, თბილისელებს ქვედალიგოსან „გერასთან“ უნდა მოესინჯათ ძალები. თუმცა, ჩვენი გუნდის მეტოქე გარკვეულ მიზეზთა გამო შეიცვალა. ერთი სიტყვით, დინამოელები გუშინ სამხრეთ ობერლიგაში მოასპარეზე „პიოსნეკს“ დაუპირისპირდნენ. მატჩზე ქვემოთ, მანამდე კი გაცნობებთ, რომ „დინამოში“ ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. კლუბის პრესსამსახურის ცნობით, 22 წლის ხორვატი ნახევარმცველი **მარინ ვუჩემილოვიჩი** მარჯვენა ფლანგის მოთამაშეა. მას დაცვასა და ნახევარდაცვაში შეუძლია თამაში.

„2006-07 წლების სეზონში სპლიტის „ჰაიდუკში“ ვთამაშობდი. ხელი მოვიტეხე და გარკვეული პერიოდი გამიცდა. ტრავმის გამო გარკვეული პერიოდი დავკარგე და ბოლოს „ჰაიდუკის“ ფარმკლუბ „სოლინში“ გამოვდიოდი, რომელიც ხორვატიის რიგით მეორე ლიგაში ასპარეზობს“, - განუცხადა ხორვატმა ფეხბურთელმა „დინამოს“ პრესსამსახურს.

ახლა კი ისევ გუშინდელ სპარინგმატჩს დავუბრუნდეთ. თამაში სტუმართა უპირატესობით წარიმართა. მე-16 წუთზე ანგარიში **გიორგი მერებაშვილმა** გახსნა. თბილისელებმა მეტოქეზე ზეწოლა გააგრძელეს, თუმცა ტაიმის ბოლოს გერმანელები გააქტიურდნენ და წონასწორობაც აღადგინეს - თავი **იორგ ფერენცმა** გამოიჩინა. შესვენების შემდეგ კაჭარავას ბიჭებმა ხელიდან არ გაუშვეს თამაშის სადავეები და მე-60 წუთზე კამერუნელმა ფორვარდმა **დონალდ ჯუისმა** დინამოელები წინ გაიყვანა. დარჩენილ ნახევარ საათში ანგარიში აღარ შეცვლილა და თბილისელებმა ამჯერად 2:1 მოიგეს.

„დინამომ“ ამ შემადგენლობით ითამაშა: **სომხიშვილი, ვუჩემილოვიჩი, გ. კაშია, ნერგაძე, თომაშვილი, შ. კაშია, ნემსაძე, ხმალაძე, კოშკაძე, მერებაშვილი, ვაწაძე.** მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ჩადუნელი, კაკუბავა, ჯუისი, ჯიშკარიანი, სიხარულიძე, ლომიძე, მამუჩაშვილი.**

დაბოლოს, მომდევნო საკონტროლო შეხვედრას „დინამო“ ხვალ, 5 ივლისს, „ჰესენ კასელთან“ გამართავს.

დავით ცაბაძე

ამხანაგური მატჩი

# ნაუგებელი გაგრა და დარჩენილი ბერბატი

## ინკოგნიტო ფორვარდი ზუგდიდში

1-ელი ივლისიდან მოყოლებული **ბესიკ შეროზიას** გუნდი ურეკში გადის მოსამზადებელ შეკრებას. ზუგდიდელები აქამდე მხოლოდ ვარჯიშებით კმაყოფილდებოდნენ, გუშინ კი ზღვისპირეთში პირველი საკონტროლო მატჩი გამართეს. ისინი **ვიქტორ კაშჩეის** „გაგრას“ გაეჯიბრნენ. 0:2 დამარცხდნენ. ორივე ბურთი მეორე ტაიმში გავიდა. ანგარიში **შალვა კვანტალიანმა** გახსნა, მეორე გოლი კი **გიორგი გაბედავამ** გაიტანა.

როგორც ზუგდიდელთა თავკაცმა ბესიკ შეროზიამ გვითხრა, მან ორი შემადგენლობით ათამაშა გუნდი. საწყის 45 წუთში ძირითადის ფეხბურთელები გამოცადა, შესვენების შემდეგ კი ახალგაზრდებს მისცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ზუგდიდელებმა გუშინ ასეთი შემადგენლობებით იასპარეზეს:

I ტაიმი - **ზარქუა, ექონია, ჟვანია, აქუბარდია, რ. ონიანი, დ. ქირია, ვართაგავა, გუჩუა, წურწუმია, ლუნგუ, გ. თოდუა;** II ტაიმი - **მაქაცარია, სვირავა, კვეკვესკირი, აფაქიძე, კვარცხავა, გ. ქირია, შონია, გუგუჩია, ხუციძე, სიხარულია, კუტალია;** მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **რაფავა, გულორდავა.**

გაგრელთა შემადგენლობა კი ასეთი იყო: **თევდორაძე, კუპრეიშვილი, გიგაური, ტყეშელაშვილი, გაბუნია, ფილია, შარიქაძე, ბერბატი, ოვონიკოკო, შ. კვანტალიანი, პავლიაშვილი;** მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ნადირაშვილი, შალიკაშვილი, ლ. ქირია, კილაძე, ლ. დეკანოსიძე, კალანდაძე, მოსიაშვილი, თუხარელი.**

„პირველ ტაიმში მეტოქეს ვაჯობეთ. შესვენების შემდეგ ახალგაზრდებს მივეცი თამაში და გაგრელებმა ორი ბურთი გაგვიტანეს. მზადება ჯერ ახალი დაწყებული გვაქვს, ფაქტობრივად ახალი გუნდის ჩამოყალიბების პროცესი ახალი დაწყებული გვაქვს და ამ ეტაპისთვის უკმაყოფილო არ ვარ... შესვენებამდე გია თოდუას და დათო ქირიას შეეძლოთ გატანა. ქირიამ ძელს გაარტყა ბურთი. კარგი მომენტი ჰქონდა ჩისამბა ლუნგუს. ზამბიელმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მისი გარჯა ცალკე შევაფასეთ. პლუს-მინუსები რომ დავთვალეთ, პლუსი მეტი აქვს. ის დღეს თავდამსხმელების უკან ვათამაშე და კიდევ დავაკვირდებით. ერთი სიტყვით, ლუნგუ ჩვენთან იქნება შეკრების ბოლომდე, ურეკიდან ზუგდიდში რომ დავბრუნდებით, გუნდში მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხს მერე გადავწყვეტთ... ისე, შესაძლოა, ერთი ახალი ფეხბურთელი კიდევ დაგვემატოს. ლეგიონერს არ ვგულისხმობ, ქართველი იქნება, მაგრამ გვარს ჯერ ვერ დავაკონკრეტებ... მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თავდასხმის ხაზში გაძლიერება არ გვაწყენდა. რაც შეეხება მომდევნო სპარინგს, 7 ივლისს შესაძლოა გუნდი ორად გავყო და ერთმანეთის წინააღმდეგ ვათამაშო. ჯერ მაინც ახალი დაწყებული გვაქვს მზადება. უფრო ფიზიკურ კონდიციებზე ვამახვილებთ ყურადღებას. ამ ფონზე ბევრი ამხანაგური მატჩის ჩატარება გამართლებულად არ მიმაჩნია“, - გვითხრა შეროზიამ.

რაც შეეხება „გაგრას“, კაშჩეის გუნდისთვის ეს რიგით მეოთხე ამხანაგური მატჩი იყო. შეგახსენებთ, რომ გაგრელებმა მანამდე „სამტრედიასთან“ ჯერ 2:2 ფრე ითამაშეს, მერე კი სამტრედიელები 1:0 დაამარცხეს. კაშჩეის გუნდმა ფოთის „კოლხეთთან“ 1:1 ითამაშა.

ვიქტორ კაშჩეის გუნდი გუშინ დაბრუნდა თბილისში. ფეხბურთელებს ორიოდე დღით დასვენება აქვთ, მერე კი მზადებას მუხრანში გააგრძელებენ. „გაგრას“ პრესატაშე **მიხეილ აფხაზავას** ინფორმაციით, უკვე გადაწყვეტილია, რომ გუნდში დარჩება უკრაინელი ნახევარმცველი **სერგეი ბერბატი**. ტესტირებაზე მყოფი სხვა ფეხბურთელების საკითხი და ამ რამდენიმე დღეში გადაწყდება.

დავით ცაბაძე

ვიტ ჯორჯია

# რამაზ მუმლაძე: ჩემი გუნდი დღეს უკეთესი იყო

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ უკრაინულ შეკრებას აგრძელებს. გუშინ კრიმტეპლიცაში დაბინავებულმა ვიტჯორჯიელებმა მეორე საკონტროლო მატჩი გამართეს - ხარკოვის „ჰელიოსს“ 2:0 მოუგეს.

ხარკოველებთან **რამაზ მუმლაძის** სასტარტო თერთმეტეული ასეთი გახლდათ: **ბედიაშვილი - ბეჭვაია, დ.ლომაია. ა.კვახაძე, ჯაფარიძე - კახელიშვილი, რაზმაძე, მელქაძე, კლიმიაშვილი - ლიპარტია, ბერიაშვილი.**

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯიამ“ ამ შემადგენლობით ითამაშა: **მიქაბერიძე, ყველაშვილი, ადამაძე, მგელაძე, მაისაშვილი, ჯანელიძე, ვასაძე, ლანიაშვილი, ხურცილავა, როსტიაშვილი, ზაქრაძე.**

პირველი გოლი **გიორგი დათუნაიშვილმა** გაიტანა - ფლანგური ჯარიმისას დასწრებაზე ყველას აჯობა და ბურთი ასე გადაგზავნა კარში. მეორე გოლი კი **ბექა ზაქრაძის** ანგარიშზეა - ის მეკარესთან პირისპირ გავიდა.

ვიტელთა ფორვარდი **ვახტან კვარაცხელია** მცირე ტრავმას შეუწუხებია და გუშინ ამის გამო ვერ გავიდა მოედანზე.

„უფრო დიდი ანგარიშითაც შეგვეძლო მოგება, მაგრამ ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მაგალითად, ლიპარტიას და ბერიაშვილს შეეძლოთ თავის გამოჩენა. მთლიანობაში ის შემიძლია გითხრათ, რომა წინა მატჩთან შედარებით გუნდმა უკეთესად ითამაშა ტაქტიკური და ყველა თვალსაზრისით. ჯერჯერობით 4-4-2 სქემას ვამუშავებთ. რაც შეეხება „ვიტ ჯორჯიას“ ახალწვეულ გიორგი კახელიშვილს, ისიც დღეს ბევრად უკეთ გაისარჯა, ვიდრე წინა მატჩში „კრივბასთან“. აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმში მიქაბერიძემ 11-მეტრიანი მოიგერია. საგოლე მომენტები მეორე ტაიმშიც უხვად შევქმენით, როსტიაშვილი სულაც სამჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ“, - გვითხრა „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცმა რამაზ მუმლაძემ ნამატჩევს.

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

# დამისხი, დამალევინე...

ნუ, საკლუბო ფეხბურთი გასაგებია. რა არის გასაგები, ვერ გეტყვით, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ გასაგებია.

ნუ, ჩვენი ფეხბურთის განვითარების ამბავიც გასაგებია. ამბავია და შესაბამისად გაგებაა, მეობაა, ჯიგრობაა, სიყვარულია, ქართველობაა და მთელი ამბავი...

ნუ, ინფრასტრუქტურაც გასაგებია. უცხოური სიტყვაა და, უცხოურ სიტყვას რომ ამბობ, სხვები თავს გიქნევენ. ინფრასტრუქტურა... როგორ ჟღერს, არა? თითქმის, სუბლიმაცია...

მოკლედ, ყველაფერი გავიგე ერთი რამის გარდა — ჩვენი ნაკრების ამბავი ვერ გავიგე. კერძოდ, გთხოვთ, ამიხსნათ, რა მნიშვნელობა აქვს, თერთმეტი თამაშიდან ექვსს უცხოელი მწვრთნელი წააგებს თუ ქართველი. ვითომ უცხოელის ხელში წაგება უფრო პრესტიჟულია? არა მგონია. უცხოელი მწვრთნელის ერთადერთი უპირატესობა ის არის, რომ წაგების შემდეგ რასაც გინდა იმას დაუწერ. ქართველისგან განსხვავებით ნახალოვკაში და ქუთაისში ზასტავაზე ორასოცი ბიძაშვილი არ ეყოლება და ვერ მოგივარდებიან. სხვა მხრივ კი, როგორც ეს აგებს ისე აგებს ისიც.

რასაკვირველია, მაგის გოიმი არ ვარ, რომ დავიჯერო თითქოს ქართველი მწვრთნელის ხელში ნაკრები მოგებებზე გადავა — კინგს და ჯოკერს არ ვგულისხმობ. ნაკრები, ორივე შემთხვევაში წააგებს, განსხვავება კი მხოლოდ ის იქნება, რომ უცხოელი მწვრთნელი თამაშის წინ ფეხბურთელებს ეტყვის იმას, რაც იცის და ესენი ისე წააგებენ, ქართველი მწვრთნელი კი... ქართველი მწვრთნელიც ფეხბურთელებს ეტყვის იმას რაც იცის და ესენი ისევ წააგებენ.

აი, ეხლა კი, ნახალოვკელი და ზასტაველი ორასოცი ბიძაშვილისგან თავის დასაცავად აუცილებელია ვთქვა: ქართველი მწვრთნელიც არის და ქართველი მწვრთნელიც! ისევე როგორც უცხოელი მწვრთნელიც არის და უცხოელი მწვრთნელიც! აი, მაგალითად, უცხოელია კაპელოც და ისიც... რა გვარი იყო? არა, ჰაინც ტოპმიოლერი კი არა, მეორე... აი... შევხტიო თუ რალაც. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ყველა საზღვარგარეთელი მამაკაცი მწვრთნელი და თან კარგი მწვრთნელი არ უნდა გვეგონოს.

კუპერი? კუპერი კარგი მწვრთნელია, მაგრამ, ცოდოა.

ახლა, მოდი, ის დავთვალოთ, ბოლო თერთმეტი შეხვედრიდან საქართველოს ნაკრებმა რამდენი მოიგო. უიმე... ერთი. და თუ არ ვცდები, ეს იყო კუპერის პირველი თამაში გურჯისტანში ფიზკულტურის მასწავლებლის პოსტზე. ხომ გეუბნებით, ცოდოა მეთქი. რომ მოიგო, ეტყობა, ქართველების გონებაში მიმალულმა ჭინკამ იფიქრა, ე, ბიჭო ამან მართლა მოგებები არ ამიტეხოსო და ყველაფერი თავის ადგილზე დააბრუნა.

ახლა, ვიცით რა კუპერის ხელში სულ რამდენი ვითამაშეთ, რამდენი წავაგეთ და რამდენი (ჰა, ჰა, ჰა) მოვიგეთ ამოცანა გვეკითხება: ვინ იყო ის საცოდავი რომ არც წააგო, მაგრამ ვერც მოგვიგო. ამის გამოთვლა ძალიან ადვილია: თერთმეტს უნდა გამოვაკლოთ ჯერ ექვსი, მერე კიდევ ერთი და მივილებთ კვიპროსს, ბულგარეთს, მონტენეგროს და ალბანეთს...

ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს!

***სიმწრისგან არიებზე გადავიდა ქართულ ფეხბურთზე მოამაგე ფერდინანდ კუთხურსკი-კუთხურეიშვილი.***

არია მოგვაწოდა

**ილია ბაბუნაშვილმა**

ლეგიონერი

# მაგათმა შალკე ჯარში გაიწვია

## ლევან ყენია: კიბეებზე სირბილი კი არა, ისეთ დღეში ვართ, ლამის თოკებზე ძრომიალი დავიწყოთ



**გელზენკირხენის „შალკე", სადაც ორი ჩვენებურია - ლევან კობიაშვილი და ლევან ყენია, ახალი სეზონისთვის მზადებას 25 ივნისიდან შეუდგა.**

**„შალკეს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - ფელიქს მაგათი, ვისი ხელმძღვანელობითაც „ვოლფსბურგი" წლეულს გერმანიის ჩემპიონი გახდა.**

**„მწვალებელი მაგათის" ხელში როგორ აეწყობა 18 წლის ლევან ყენიას ბუნდესკარიერა - რა თქმა უნდა, ეს ჩვენს გულშემატკივარს ძალიან აინტერესებს, ყენია ხომ საქართველოს ნაკრებისთვის ერთობ საჭირო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია.**

**ყენიას გუშინ დავუკავშირდით გელზენკირხენში.**

**- მაგათის ვარჯიშებზე ლეგენდები დადის. მართლა ასეთი საშინელი ვარჯიშები აქვს?**

- საშინელი კი არა, ძალიან საშინელი ვარჯიშები აქვს. ასეთი რამე აქამდე არ მენახა. გელზენკირხენთან ახლოს ერთ-ერთ პატარ ქალაქში ვიყავით შეკრებაზე და ისე დაგვლალა, რომ... ფეხბურთელებისთვის მართლაც ძალიან ძნელია ასეთ დატვირთვებთან შეგუება.

**- მართალია, რომ მაგათი კიბეებზეც დაარბენინებს „შალკეს „ფეხბურთელებს?**

- კიბეებზე სირბილი კი არა, ისეთ დღეში ვართ, ლამის თოკებზე ძრომიალი დავიწყოთ.

**- კიბეებზე სად და როგორ დაგარბენინებდათ „მწვალებელი მაგათი"?**

- შეკრებაზე რომ ვიყავით, იმ მოედანს, სადაც ვვარჯიშობდით, ტრიბუნებიც ჰქონდა, რომლის კიბეებზე ავრბოდით და ჩამოვრბოდით.

**- და რამდენჯერ გიწევდათ ასეთი არბენა-ჩამორბენა?**

- ასეთმა ვარჯიშმა ისე დამღალა, ზუსტად დათვლის თავი აღარ მქონდა. ერთ ვარჯიშზე ალბათ 20-ჯერ მაინც გვიწევდა კიბეებზე არბენა-ჩამორბენა.

**- მაგათი ალბათ დღეში ორჯერ გავარჯიშებდათ შეკრებაზე?**

- ორჯერ? არა, რას ამბობთ, მაგათი სამჯერად ვარჯიშებს გვიტარებდა. დილით საათნახევარი დაგვარბენინებდა, მერე შუადღეს გვავარჯიშებდა, ბოლო ვარჯიში კი 16 საათზე გვეწყებოდა.

**- პირველი ვარჯიში რომელ საათზე გქონდათ?**

- დილის შვიდის ნახევარზე, თითქოს ჯარში ვართ...

**- მერედა როგორ უძლებ ასეთ დატვირთვებს?**

- ჯერჯერობით მართლაც რომ ვუძლებ ასეთ დატვირთვებს. მოსამზადებელი ეტაპი კიდევ ოთხი კვირა გაგრძელდება.

**- საკონტროლო მატჩებზე რას გვეტყოდი, როგორ წარმოაჩინე თავი?**

- ორი შეხვედრა ვითამაშეთ, 13:0 და 3:0 გავიმარჯვეთ. ორივე მატჩში მეორე ტაიმში გავედი მოედანზე, მეორე შეხვედრაში საგოლე გადაცემა შევასრულე. მაგათმა გამთამაშებლად მათამაშა.

**- როგორ ატყობ, რა თვალით გიყურებს მაგათი?**

- დიდი დატვირთვები ერთია, მეორე კი ის, რომ მისი ვარჯიშები იმედის მომცემია, ის სულ სხვანაირი მწვრთნელია, ვიდრე „შალკეში" მისი წინამორბედი ფრედ რუტენი, მაგათი უფრო მწვრთნელია, ვიდრე რუტენი... ვფიქრობ, მაგათის ხელში დაწინაურების მეტი შანსი მექნება.

**- შეკრებაზე ალბათ კიდევ წახვალთ...**

- მასეა, ავსტრიაში ჩავალთ მორიგ შეკრებაზე და იქ გაცილებით ძლიერ გუნდებთან გავმართავთ საკონტროლო შეხვედრებს და ამ თამაშებშიც უფრო კარგად გამოჩნდება ყველაფერი. მოკლედ, ვნახოთ, ჯერ კი არაფრის თქმა არ შეიძლება იმაზე, თუ მაგათი ვის რა თვალით უყურებს.

**- დღესაც სამჯერადი ვარჯიში გქონდათ?**

- არა, დღეს მაგათმა დაგვასვენა, თუმცა გუშინ ისე დაგვტვირთვა, ორი დღის გეგმა შეგვასრულებინა, თითქოს გუშინდელი და დღევანდელი ვარჯიში ერთად ჩაგვიტარა.

**დავით თავართქილაძე**

ბავშვთა ფეხბურთი

# ხუთასამდე მედალი რჩეულთ

შარშან 10 მაისს თბილისის ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები **გრიგოლ ცაავამ** მოიგო. ცაავას გუნდის მოსვლიდან დღემდე თფფ-ში (თბილისის ფეხბურთის ფედერაცია) ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. რომელი ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ვთქვათ - საფეხბურთო სკოლების ლიცენზირება, ბავშვთა საფეხბურთო ფესტივალი (რომელიც უკვე ორჯერ ჩატარდა), სხვადასხვა ასაკობრივ გუნდებს შორის ტურნირები, ელიტლიგა. გარდა ამისა, სპონსორების მოზიდვა („სალერი", „რომპეტროლი", „პირელი", „ფოლკსვაგენი"). ერთი სიტყვით, პოზიტივების ჩამოთვლას აქ შევწყვეტთ და გუშინ მომხდარზე ვთქვათ... დიახ, გუშინ მართლაც კარგ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. თფფ-ის ინიციატივით, პირველად, ბავშვთა და ჭაბუკთა ასაკში გამარჯვებული გუნდები დააჯილდოეს. საზეიმო ღონისძიებაზე, რომელზეც სფფ-ის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა,** გრიგოლ ცაავამ და თფფ-ის ხელმძღვანელებმა **ნიკოლოზ დოლიძე, გოჩა თამაზაშვილმა, რევაზ მგელაძემ** მიმართეს აუდიტორიას, 500-მდე დიპლომი და სხვადასხვა სახის მედალი დარიგდა. ვნახოთ, რომელმა გუნდებმა დაიმსახურეს მედლები. სხვა თუ არაფერი ეს ჭაბუკები ხომ ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღეა:

1992 წელს დაბადებულთა შორის ჩემპიონი თბილისის „დინამოს" აკადემიის" გუნდი გახდა, რომლის მწვრთნელიც **ბაგრატ ჩადუნელია**. მეორე ადგილი „გორმა" დაიკავა (მწვრთნელები: **ვლადიმერ ელიაური, ზვიად შერმადინი**), მესამეზე კი „ამერი" გავიდა (მწვრთნელი **ბახვა ამბიძე**).

პირველობა არავის დაუთმო, 1993 წელს დაბადებულთა შორის **თენგიზ კაციას** „ნორჩმა დინამოელმა". მეორე ადგილი „თენგიზ სულაქველიძის აკადემიის" გუნდს (მწვრთნელი **ზაზა ცინარიძე**) ხვდა წილად, მესამე კი „ავაზას" (მწვრთნელი **ზაზა ბუკაკაშვილი**).

1994 წელს დაბადებულთა შორის ჩემპიონობა თბილისის „ლოკომოტივმა" დაიმსახურა, რომელსაც **თემურ თვალჭრელიძე** და **მერაბ მელაშვილი** წვრთნიან. მეორეზე „თენგიზ სულაქველიძის აკადემიის" გუნდი (მწვრთნელი **თენგიზ სულაქველიძე** - უმცროსი) გავიდა, მესამეზე კი „თბილისი 1"-მა (მწვრთნელები **ლევან** და **გურამ გვანცელაძეები**).

ახლა 1995 წელს დაბადებულებზე ვთქვათ. ამ ასაკში პირველი ადგილი „ნორჩმა დინამოელმა" (მწვრთნელი **რევაზ ბარამიძე**) დაიკავა. მერე აქაც „თენგიზ სულაქველიძის აკადემიის" (მწვრთნელი **თენგიზ სულაქველიძე** - უმცროსი) გუნდია, მესამე კი ამავე აკადემიის მე-2 გუნდი (**გელა გელაშვილი**).

1996 წელს დაბადებულებზეც გადავიდეთ. აქ პირველობა „გორმა" (მწვრთნელი **გიორგი ტულუში**) მოიპოვა, მეორე „35-ე საფეხბურთო სკოლის" გუნდია (მწვრთნელი **ზურაბ თარაშვილი, იოსებ მუხიგულაშვილი**), მესამეზე კი „ჩემპიონი" (მწვრთნელი **გია მაჭარაშვილი**) გავიდა.

1997 წელში დაბადებულთა შორის პირველი ადგილი „თბილისი 1"-მა (მწვრთნელი **ნოდარ ჭელიძე**) დაიკავა. მეორე „35-ე საფეხბურთო სკოლის" (მწვრთნელები **გელა კაკულია, ზაალ მაღრაძე**) გუნდია, მესამე კი „ავაზა" (მწვრთნელი **ბონდო კაკუბავა**).

წლით უმცროსებში, 1998 წელში დაბადებულთა შორის, ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი" (მწვრთნელი **მიხეილ კობალაძე** და **ლაშა გაფრინდაშვილი**) გახდა, მეორე ადგილზე „გორი" (მწვრთნელი **ზაზა ქარუაშვილი, ვლადიმერ ელიაური**) გავიდა, მესამეზე კი „ავაზაა" (მწვრთნელი **ნუგზარ ჩიტაური**).

დაბოლოს, თფფ-მ მე-20 ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგის გათამაშებაც ჩაატარა. პირველი ადგილი **გელა სანაიას** მერ გაწვრთნილმა თბილისის „ლოკომოტივმა" დაიკავა. მეორე „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" გუნდს (მწვრთნელი **გოჩა ჟორჟოლიანი**) ხვდა წილად, მესამეზე კი „ამერი 2" (მწვრთნელი **როსტომ თორლაშვილი**) გავიდა.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# დვალიშვილმა სპარტაკი დაამარცხა

## ჯანო ანანიძის ორი საგოლე

რუსული პრემიერლიგის მესამეადგილოსანი მოსკოვის „სპარტაკი" ავსტრიულ შეკრებაზეა. **ვალერი კარპინის** გუნდმა პირველი ტესტმატჩში ჩეხურ „მლადა ბოლესლავთან" გამართა და 2:0 მოიგო. კარპინმა სიურპრიზი შემოგვთავაზა და 16 წლის **ჯანო ანანიძე** (მაისურზე „ჯანო" აწერია) სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა. მან პირველი ტაიმი ითამაშა და მეორეში ადგილი **რიჟკოვს** დაუთმო. ჩვენებურმა ძირითად გუნდში დამკვიდრების პირველივე შანსი გამოიყენა, ორივე საგოლე პასი მის ანგარიშზეა. მე-17 და 28-ე წუთებზე ჯანომ **დენის ბოიარინცევს** გაატანინა. ქართველმა უკანდახეული ფორვარდის პოზიციაზე ითამაშა.

მატჩის შემდეგ კარპინი ქართველის თამაშით აღფრთოვანებას არ ფარავდა: *„ძალიან კმაყოფილი ვარ ჯანოს თამაშით, მიმაჩნია, რომ ის მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო"*. გუშინ „სპარტაკმა" კიდევ ერთი სპარინგი გამართა, ამჯერად ისრაელის ჩემპიონ ჰაიფას „მაკაბისთან", რომლის ერთ-ერთი მწვრთნელი **გიორგი დარასელიაა**. კარპინმა ანანიძე კვლავ სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა.

საინტერესო სიახლეა „მაკაბის" რიგებშიც, გუნდში ვარჯიში საქართველოს ნაკრების და რიგის „სკონტოს" ფორვარდმა **ვლადიმერ დვალიშვილმა** დაიწყო. „მაკაბის" მწვრთნელმა **ელიშა ლევიმ** იმედი გამოთქვა, რომ დვალიშვილი შეძლებს ისრაელის ჩემპიონის რიგებში დამკვიდრებას. ჰაიფელთა ოფიციალური საიტის ცნობით, დვალიშვილმა პირველივე ვარჯიშზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თავად ლადომ აღნიშნა, რომ ძალებს ძალიან კარგ კლუბში ცდის და ფიქრობს, იქ დამკვიდრებას შეძლებს.

„სპარტაკისა" და „მაკაბის" თამაშის პირველი ტაიმი 0:0 მორჩა. რუსული გუნდის ოფიციალური საიტის ცნობით ყველაზე აქტიურები ანანიძე და **ძიუბა** იყვნენ. ქართველმა ამჯერადაც ერთი ტაიმი ითამაშა. მეორე ტაიმში ებრაელებმა 78-ე წუთზე გახსნეს ანგარიში - ეს კი სინჯებზე მყოფმა ლადო დვალიშვილმა შეძლო. ქართველი ფორვარდი მეორე ტაიმში გამოჩნდა. ტესტმატჩი „მაკაბის" მინიმალური გამარჯვებით დასრულდა - 1:0.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვლადიმერ დვალიშვილი

ტრანსფერი

# ოუენის ექსპერიმენტი

## ვინც არ რისკავს, ის ფერგიუსონი არ არის

სერ **ალექს ფერგიუსონი** რისკიანი კაცია, ცხოვრებასა და ბედთან თამაში უყვარს, მაგრამ შესაძლოა, ახლა მეტისმეტი მოსდის - **მაიკლ ოუენი** იყიდა. მხარეებმა პირობები იოლად შეათანხმეს. გუშინ ფეხბურთელი მთელი დღის განმავლობაში სამედიცინო შემოწმებებზე ატარეს და საღამოს ხელი ხელსაც დაჰკრეს. ოღონდ, ტრავმებით დატანჯული კარიერა არ დასრულებოდა და 29 წლის თავდამსხმელმა ნიუკასლური ხელფასის განახევრებასაც კი დათანხმდა. შედეგად, „ოლდ ტრეფორდზე" ოუენის ჯამაგირი იქნება კვირაში 50 ათასი ფუნტი, პლუს პრემიები - ჩატარებული თამაშებისა და გატანილი გოლების მიხედვით.

*„უკვე სხვადასხვა კლუბებს ვუკავშირდებოდი, როცა ოთხშაბათს, შუადღისას, სადღაც ოცნებიდან ალექს ფერგიუსონმა დამირეკა, მეორე დილისთვის საუზმეზე დამპატიჟა და მითხრა, რომ ჩემი ყიდვა სურს. ერთი წამითაც არ მიყოყმანია, მაშინვე დავყაბულდი"*, - თქვა ოუენმა.

აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობაშერყეულ ოუენზე დაყრდნობას თვით ინგლისის ნაკრების თავკაცი **ფაბიო კაპელოც** კი ვერ ბედავდა, არადა, სად სანაკრებო და სად - საკლუბო თამაშების რაოდენობა. თუმცა ფერგიუსონი ოუენზე მაინც ფიქრობდა. რისკიან სქოთს ჯერ კიდევ გასულ იანვარს ეტყობოდა, რომ ძველებური სიმაღლეებიდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავის თემას გარს უვლიდა.

სხვათა შორის, სერ ალექსმა მაისშიც გაიხსენა ოუენი, იმსჯელა, აწონ-დაწონა და... თავი შეიკავა - მაგ ბიჭს ურჩევნია, გეზი უფრო პრემიერლიგის ქვედა ნახევრის გუნდებისკენ აიღოსო. მაგრამ, როგორც ხედავთ, გავიდა ორი თვე და ფერგიუსონი ისევ ოუენის გარშემო აწრიალდა.

საერთოდ, ცნობილია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცს ყმაწვილთა შეგროვება და მათგან ძლიერი გუნდის შექმნა ეხერხება, მაგრამ ნურც იმას დავუკარგავთ, რომ ვეტერანებსაც გამოსწურავს ხოლმე მაქსიმუმს.

მაგალითები გნებავთ? ინებეთ - ფრანგი ვარსკვლავი **ლორან ბლანი**, რომელმაც „ოლდ ტრეფორდზე" კარიერის ბოლო პერიოდში ითამაშა და სირცხვილი არ უჭამია; შვედი **ჰენრიკ ლარსონი**, რომელსაც მწვერვალების დასაპყრობად აღარავინ უხმობდა, ფერგიუსონმა კი უხმო და შედეგიც მიიღო. ნუ, ლეგენდარული **ერიკ კანტონა** შედარებით ახალგაზრდა გახლდათ, მაგრამ ფერგიუსონმა „ლიდს იუნაიტედში" ტრიბუნაზე ჩამომჯდარი შეამჩნია და „ოლდ ტრეფორდის" მოედანზე ჩაიყვანა. მერე რაც მოხდა, ყველას დიდებულად მოეხსენება.

რასაკვირველია, მაიკლ ოუენის ამბავი ჩამოთვლილ ფეხბურთელთა ამბებისგან განსხვავებულია, მაგრამ იდეა - მივიწყებული ფეხბურთელის თავისთან წაყვანა - ერთია. და თუ „იუნაიტედი" ოუენის ჯანმრთელად შენახვას მოახერხებს, მაშინ ნახავთ, გოლებსა და შეტევებს - რა რა და, ოუენს მეტოქის კარისკენ ლაშქრობა არასდროს შეშლია. ამ საქმეში ის ყოველთვის უბადლო იყო...

და ბოლოს, „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ჩარლტონისგან" ნახევარ მილიონ ფუნტად 16 წლის **შონ მაკგინტი** იყიდა.

**ილია ბაბუნაშვილი**



მაიკლ ოუენი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რეალი სერ ალექსს თავდამსხმელს უბრუნებს

„რეალსა" და ინგლისის ჩემპიონს, „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის, როგორც ჩანს, დიდი ბიზნესკავშირები გაიბა. საქმე ისაა, რომ მანჩესტერელთა თავკაცს **სერ ალექს ფერგიუსონს** „სამეფო კლუბის" ჰოლანდიელი თავდამსხმელი, **კლაას-იან ჰუნტელაარი** მოსვლია თვალში. თუ მხარეები მორიგდებიან, გამოვა, რომ კლუბებმა თავდამსხმელები გაცვალეს - მოგეხსენებათ, „რეალმა", ივნისში, „მანჩესტერ იუნაიტედისგან" 80 მილიონ ფუნტად **კრისტიანო რონალდო** იყიდა.

რა არის გასაკვირი იმაში, რომ რონალდოს გაყიდვის შემდეგ ფერგიუსონი თავდამსხმელებს ეძებს. როგორც ამბობენ, მას მერე, რაც **ქარიმ ბენზემასა** და **ფრანკ რიბერის** ვარიანტები ჩაეშალა, ინგლისის ჩემპიონის სქოთი მწვრთნელი სწორედ ჰუნტელაარის ვარიანტზე შეჩერდება და მალე მადრიდში ოფიციალურ წერილსაც გაგზავნის. ამაზე დაბეჯითებით გაზეთი The Metro წერს.

მოგეხსენებათ, ევროპის გრანდები კიდევ ერთი თავდამსხმელის, ვალენსიელი **დავიდ ვილიას** შესაძენად ეჯიბრებიან ერთმანეთს, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი" ამ ბრძოლაში არ მონაწილეობს. საერთოდაც, როგორც იცით, თუ ვილიას ვინმე შეიძენს, ეს, სავარაუდოდ, „ბარსელონა" იქნება, მანჩესტერელები კი ვინმე უფრო მოკრძალებულზე შეაჩერებენ არჩევანს.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ალექს ფერგიუსონმა ამ ზაფხულს **კარლოს ტევესიც** დაკარგა - არგენტინელი „მანჩესტერ სიტიში" მიდის.

**ილია ბაბუნაშვილი**


კლაას-იან ჰუნტელაარი

ბაიერნი



მარიო გომესი

# ახალი ხალხის მიზანი: ჩემპიონთა ლიგის მოგება!

## რეკორდმაისტერს მარკუს ბერგის შეძენაც უნდაო...

მიუნხენის „ბაიერნში" ფეხბურთელები ტიტულების მოსაგებად გადადიან. ამ შემთხვევაშიც ასეა: **მარიო გომესი**, **ანატოლი ტიმოშჩუკი**, **დანიელ პრანჯიჩი** და **ივიცა ოლიჩი** ამბობენ, რომ მათთვის რეკორდმაისტერის ფორმის მორგება უდიდესი პატივია და რომ მიუნხენურ გრანდში კიდევ უფრო მეტად სურთ სახელის მოხვეჭა. ბოლო ორ ნომერში ჯერ „ბაიერნის" პირველ ვარჯიშზე გიამბეთ, მერე კი **ლუის ვან გაალის** პირველი პრესკონფერენციის ჩანაწერი შემოგთავაზეთ. ახლა კი დროა, რეკორდმაისტერის ახალწვეულების მოსაზრებებიც გაგაცნოთ.

ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, გერმანიის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგის მოგებააო, ამბობს ბავარიელთა ახალი თავდამსხმელი გომესი და ფაქტია, რომ ამ სიტყვებით მიუნხენური კლუბის ყველა ახალწვეულის სურვილს გამოხატავს. საერთო ჯამში, „ბაიერნმა" ტრანსფერებში 50 მილიონი ევრო დახარჯა. ახალწვეულებიდან, ყველაზე ძვირადღირებული კი სწორედ გომესია, რომელიც მიუნხენელებმა „შტუტგარტიდან" 30 მილიონ ევროდ შეიძინეს. ცხადია, ამის გამო მარიო მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული და მას ყველაზე მეტად სურს იმედების გამართლება - 23 წლის გომესი „ბაიერნის" ყველაზე მოტივირებული ახალწვეულია.

*„მე ვარ ფეხბურთელი, რომელიც მუდამ წინ ისწრაფვის და პროგრესს განიცდის. სწორედ ამიტომ გადმოვედი „ბაიერნში" და მინდა, რომ აქ გატარებული დრო ჩემს კარიერაში საუკეთესო და ძალიან წარმატებული იყოს,"* - ამბობს გომესი.

ცხადია, ტიტულების მოპოვება სურს უკრაინელ საყრდენ ნახევარმცველ **ანატოლი ტიმოშჩუკსაც**. მან 2008 წელს უეფას თასი მოიგო და ფიქრობს, რომ „ბაიერნში" ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი აქვს. *„პირველი შთაბეჭდილებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მიუნხენით და „ბაიერნით" აღფრთოვანებული ვარ. ჩვენ ყველას ძალიან სერიოზული წარმატების მიღწევა გვინდა,"* - ამბობს ტიმოშჩუკი. სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" ყოფილი კაპიტანი „ბაიერნში" 11 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა და ბავარიული გრანდის შეფები მასზე უდიდეს იმედებს ამყარებენ. ფაქტია, რომ ვან გაალის სქემაში უკრაინელს ერთ-ერთი უმთავრესი როლი ექნება. ტიმოშჩუკის კონკურენტი **მარკ ვან ბომელია**. ფაქტია, რომ თუ ვან გაალი მხოლოდ ერთი საყრდენით ითამაშებს (რაც ალბათ ასეც იქნება), მაშინ სავარაუდოდ ჰოლანდიელს მოუწევს სათადარიგოთა სკამზე დაჯდომა. ტიმოშჩუკი ამბობს, მარკს უკვე ვესაუბრე და ჩვენ შორის მტრობა არ დაისადგურებსო. ვან გაალის პრინციპიც ის არის, რომ თითოეული ფეხბურთელი მხოლოდ გუნდზე ფიქრობდეს და მხოლოდ ამის შემდეგ საკუთარ თავზე. მეტსაც გეტყვით: ტიმოშჩუკი და ვან ბომელი უკვე დამეგობრდნენ და დღენიადაგ ერთად მოძრაობენ. ჰოლანდიელიც ამბობს, ერთმანეთს ძალიან კარგად გავუგეთ, რადგან ფაქტობრივად ერთნაირები ვართო.

ყველაზე დიდი კონკურენცია მაინც თავდასხმაშია, სადაც გომესის გარდა, **მიროსლავ კლოზეს**, **ივიცა ოლიჩს** და **ლუკა ტონის** შეუძლიათ თამაში. ოთხივე მათგანი მაღალი დონის ფორვარდია. *„ჩემი მიზანი ის არის, რომ ვარჯიშებზე თავი არ დავზოგო და მწვრთნელს დავუმტკიცო, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსი ვარ,"* - გომესი ისე ლაპარაკობს, როგორც ზოგადად ასეთ დროს და ასეთ ვითარებაში საუბრობენ ხოლმე.

მომავალი სეზონი მარიოსთვის სერიოზული გამოცდაა. ფაქტია, რომ დღემდე ის მხოლოდ „შტუტგარტში" ამართლებდა იმედებს. გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვს** 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე მისი იმედი ჰქონდა, მაგრამ მარიომ კონტინენტის პირველობაზე ვერაფერი გააწყო და მოგვიანებით ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს იმედგაცრუებად შერაცხეს. ამას გერმანიის ნაკრებში მისი 829-წუთიანი უგოლო სერია მოჰყვა, რაც, დაგვეთანხმებით, თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდი შედეგია. გომესმა უგოლო სერია საემიროებთან შეხვედრაში შეწყვიტა. ამრიგად, ბუნდესგუნდის ქომაგებისთვის ის უკვე რეპუტაციაშელახული თავდამსხმელია და სწორედ ამ რეპუტაციის აღდგენას შეეცდება გომესი „ბაიერნში". ფაქტია, რომ საკლუბო დონეზე გოლების გატანა მას აქამდე არასდროს გასჭირვებია.

მოტივაციის ნაკლებობას არც „ჰამბურგიდან" გადაბირებული ივიცა ოლიჩი უჩივის. *„თავდაუზოგავად ვიშრომებ,* - ამბობს ხორვატი ფორვარდი და სათადარიგოთა სკამზე ჯდომის შესახებ არაფრის გაგონება არ სურს, - *ჩვენ, თავდამსხმელები ოთხნი ვართ, ოთხივე ძალიან მაგრები. სხვა დანარჩენს კი უშუალოდ მოედანზე დავამტკიცებ."*

დანიელ პრანჯიჩს „ბაიერნში" ძალიან რომ უნდოდა, ეს იმითაც დაამტკიცა, რომ სატრანსფერო თანხის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი (700 000 ევრო) საკუთარი ჯიბიდან გადაიხადა. სხვა მხრივ, პრანჯიჩი პირდაპირ ამბობს, დაე ვან გაალმა მარცხენა ფლანგზე ნებისმიერ ადგილას დამასაქმოს, ყველგან დიდი სიამოვნებით ვითამაშებო. ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის ბრძოლას აპირებენ **ალექსანდერ ბაუმიოჰანი** და **ანდრეას გიორლიტციც**, მაგრამ ამ ეტაპზე მათი შანსები საკმაოდ მცირეა.

ამასობაში, ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ მიუნხენურ გრანდს კიდევ ერთი ფორვარდის (!) შეძენა სურს. ლაპარაკია შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდ **მარკუს ბერგზე**. ეს ინფორმაცია შვედურმა გამოცემა „აფტონბლადეტმა" გაავრცელა. ბერგზე დაკვირვებას „ბაიერნის" ყოფილი ფეხბურთელი ბიორნ ანდერსონიც ადასტურებს, რომელიც ახლა შვედეთში რეკორდმაისტერის სკაუტია. შეგახსენებთ, რომ ბერგი შვიდი გოლით ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსაზრება

# რაღაც არანორმალური...


მიშელ პლატინი შეშფოთებულია...

უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ გულწრფელად განაცხადა, რომ მადრიდის „რეალი“ ახალი ფეხბურთელების შეძენაში შემაშფოთებელ თანხებს იხდის. ამაში რაღაც არანორმალურია, - ბრძანა მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ.

მას მერე, რაც „ლიონიდან“ ქარიმ ბენზემაც გადაიბირა, „რეალის“ ჯამური დანახარჯი 215 მილიონ ევროს გაუტოლდა. შეგახსენებთ, რომ ბენზემამდე იყვნენ კაკა, კრისტიანო რონალდო და რაულ ალბიოლი.

*„როგორ ფიქრობთ, კლუბს, რომელიც ასეთ არანორმალურ თანხებს იხდის, ფული აქვს? - იკითხა პლატინიმ ფრანგულ გაზეთ „ეკიპთან“ საუბრისას, - მე თუ მკითხავთ, სხვებს თავი რომ დავანებოთ, მარტო კრისტიანო რონალდოს ამბავიც საეჭვოა, მაგრამ თუკი კლუბს ბანკებისგან გარანტია აქვს... პირადად ჩემთვის ფეხბურთელში 90 მილიონი ევროს გადახდა გაუგებარია. მაგრამ დიეგო მარადონას „ბარსელონადან“ „ნაპოლიში“ გადასვლაც კარგად მახსოვს. ეს 1984 წელს იყო. მაშინ იტალიელებმა მარადონაში 6,5 მილიონი გადაიხადეს და ხალხმა ეს უზნეობად მიიჩნია. ვფიქრობ, ამ ყველაფერში რაღაც არანორმალურია. მე ძალიან არ მომწონს, რაც ხდება, განსაკუთრებით ეს თვალისმომჭრელი კონტრაქტები მალი ზიანებს, მაგრამ იძულებული ვარ გავიმეორო, თუკი კლუბებს ფული აქვთ, მე ვერაფერს გავხდები“!*

ილია ბაბუნაშვილი

პენსია

# მონტელამ დაამთავრა...

**ვინჩენცო მონტელამ** პრესკონფერენცია გამართა და კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. 35 წლის ფეხბურთელს კიდევ ერთწლიანი ხელშეკრულება აკავშირებდა „ჯალოროსისთან“, თუმცა კონტრაქტი ნაადრევად გაწყვიტა და ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. აი, რა განაცხადა ვინჩენცომ:

*„თავის მოტყუება არ მიყვარს, ნათლად ვხედავდი, რომ მომავალ სეზონში „რომას“ ვერაფერს შევმატებდი. ამ ასაკში ახალი თავგადასავლების ძიების სურვილი ნამდვილად არ მაქვს და მეც, კარიერის დასრულება გადავწყვიტე. თანაც, „ჯალოროსის“ მესვეურებმა კლუბის მენეჯმენტში მუშაობა შემომთავაზეს, რაზეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. ჯერჯერობით, მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი საქმე ბავშვთა გუნდების კურირება იქნება, რაც ახალი საქმის მიმართ უდიდეს ენთუზიაზმს მძენს. პატარებთან მუშაობა ყოველთვის მინდოდა და ოცნებას ახლა ავისრულებ. „რომა“ ჩემთვის განსაკუთრებული გუნდია და მინდა, მას კიდევ დიდხანს ვემსახურო“.*

შეგახსენებთ, რომ მონტელამ კარიერის საუკეთესო წლები სწორედ „ჯალოროსიში“ გაატარა. დედაქალაქელთა რიგებში 192 შეხვედრა გამართა და 84 გოლი გაიტანა. ვინჩენცო 2001 წელს „რომასთან“ ერთად იტალიის ჩემპიონი გახდა, 2002-ში კი რომაულ დერბიში, „ლაციოსთან“ პოკერი შეასრულა. აღნიშნული შეხვედრა მგლებმა 5:1-ზე მოიგეს.

ლაშა ნიკლაური



სატრანსფერო ამბები

# ურთიერთობათა სესკალაცია

„ბარსელონამ“ სრულიად დაუფარავად, ყოველგვარი დიპლომატიურობის გარეშე დაუწყო არსენალელ **სესკ ფაბრეგასს** „კამპ ნოუზე“ გადაბირება, რითაც ლონდონის გუნდის ფრანგი მწვრთნელი, **არსენ ვენგერი**, ალბათ, უკიდურესად განარისხა.

დიახ, კატალონიელთა პრეზიდენტმა **ჟოან ლაპორტამ** სესკზე აშკარად დაიწყო ლაპარაკი და, როგორც ჩანს, მას ამის საბაბს აძლევს ის, რომ ფეხბურთელი ბარსელონელია, „ბარსას“ ცნობილ ბავშვთა სკოლაში, „ლა მასიაში“ გახლავთ აღზრდილი. მეტიც, კატალონიელებს, სავარაუდოდ, ძველი წყენაც ახსოვთ: 2003 წელს „არსენალმა“ 16 წლის ფაბრეგასი ჯერ გადაიყვანა ლონდონში და მერეღა გაუფორმა პროფესიული კონტრაქტი, რითაც ფული დაზოგა.

ლაპორტამ განაცხადა: *„უამრავჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ სესკი ბარსელონელია, მას დნმ-ში „ბარსელონას“ კოდი აქვს ჩადებული და ეჭვი არ არის, ერთ დღეს „კამპ ნოუზე“ ითამაშებს. ჩვენ ის ძალიან მოგვწონს და მუდმივად ვფიქრობთ მასზე“.*

ასე და ამგვარად, ვენგერს კიდევ ერთი განრისხების საბაბი მიეცა, ამჯერად „ბარსელონაზე“. აქამდე, ესპანეთის ფრონტზე მას ძირითადად „რეალთან“ უწევდა კონფლიქტი. დღეს „ბარსელონა“ ფაბრეგასში 40 მილიონი ფუნტის გადამხდელია, თუმცა გასაგებია რატომაც - არა და არ უნდა თავისი აღზრდილი ბავშვი მთავარ მოქიშპეს, „რეალს“ დაუთმოს. ყველაფერი კი, როგორც ჩანს, იმ წინააღმდეგობრივი ინტერვიუს ბრალია, რომელიც ამ წინა კვირაში ფაბრეგასმა ესპანურ სააგენტო EFE-ს მისცა. ეს ინტერვიუ „ლელოს“ მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი - სწორედ ის ინტერვიუ გახლავთ, რომელშიც ფაბრეგასმა მის ახლანდელ გუნდს, ლონდონის „არსენალს“ იმპოტენტი უწოდა, რის გამოც შემდეგ „მეთოფეთა“ ვებგვერდზე ათასი განმარტების მიცემა მოუხდა. ხსენებული ინტერვიუს მთავარი აზრი ასეთი იყო: ფებრეგასი უკმაყოფილოა, რომ ლონდონელები რა ხანია ვერანაირ ჯილდოს ველარ იგებენ და უნდა ბოლოს და ბოლოს თავადაც დაიმშვენოს მკერდი მედლებით. ამის შემდეგ კი „არსენალის“ კაპიტანმა აშკარა ფლირტი წამოიწყო „ბარსელონასთან“... და რაც ყველაზე უფრო შოკის მომგვრელი იყო, „რეალთანაც“. როგორც ჩანს, ლაპორტაც სწორედ ამითაა პროვოცირებული.


სესკ ფაბრეგასი შესაძლოა ბარსელონაში აღმოჩნდეს

სხვა მხრივ კი „არსენალის“ საქმე ასეა: ვენგერმა ხანგრძლივი კონტრაქტი გაუფორმა 17 წლის **ჯეკ უილშერს** (დაბადებულია ახალწლის დღეს), ხოლო 18 წლის **აარონ რემსიმ** თავისი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე განაცხადა თანხმობა.

უილშერთან დაკავშირებით საინტერესო ის არის, რომ ეს ბიჭი 9 წლიდან „არსენალშია“ და საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშაა. დღეს, როდესაც მასთან კონტრაქტი უკვე გაფორმებულია, უილშერი შეიძლება გახდეს „მეთოფეთა“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა, ვინც პრემიერლიგასა და ევროთასებზე ითამაშებს.

*„ჯეკთან კონტრაქტის გაფორმებამ ძალიან გამახარა, - თქვა ვენგერმა, - გასულ სეზონში მას დიდი პროგრესი ჰქონდა. ჩვენ ყველანი ვაკვირდებით, თუ რა ნიჭიერ ადამიანთან გვაქვს საქმე“.*

ილია ბაბუნაშვილი

ჰერტა

# მეფე არტური ბერლინში

## ჰერტა ვიხნიარეკს მეორე შანსს აძლევს

ოთხშაბათს ბერლინის „ჰერტას“ მთავარმა მწვრთნელმა **ლუსიენ ფავრმა** თქვა, ახალი თავდამსხმელი ძალიან მალე გვეყოლებაო. სიტყვას საქმე მოჰყვა: გუშინ გაცხადდა და დადასტურდა, რომ 32 წლის ფორვარდი **არტურ ვიხნიარეკი** ბილეფელდის „არმინიადან“ ჰერტაში ბრუნდება. პოლონელი გოლეადორი გერმანიის დედაქალაქის გუნდში 2003-დან 2006 წლამდე თამაშობდა. ვიხნიარეკი „ჰერტას“ მეორე ახალწვეულია მცველ **კრისტოფ იანკერის** შემდეგ, რომელიც ბერლინელებმა „ჰოფენჰაიმიდან“ გადაიბირეს.

ვიხნიარეკმა „ჰერტასთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ხუთშაბათს სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. როგორც გაირკვა, „ჰერტამ“ ვეტერანი პოლონელი თავდამსხმელის სანაცვლოდ, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ „არმინიას“ მილიონ ევროზე ნაკლები უნდა გადაუხადოს. *„არმინიაში თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, მაგრამ მეორე ბუნდესლიგაში თამაში არ მსურს. ბერლინში კი მინდა ყველას დავუმტკიცო, რომ ამ გუნდისთვის შესაფერისი თავდამსხმელი ვარ. მიხარია, რომ მეორე შანსი მეძლევა. ამ შანსს აუცილებლად გამოვიყენებ,“* - განუცხადა ვიხნიარეკმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ფაქტია, რომ მას პირველად ბერლინში არაფერი გამოუვიდა, რადგან 44 მატჩში მხოლოდ 4 გოლის გატანა შეძლო, რაც, დაგვეთანხმებით, თავდამსხმელისთვის ცუდი შედეგია. თუმცა აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ბერლინელთა იმჟამინდელი თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** „მეფე არტურს“ მაშინ ხშირად მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე ათამაშებდა, რითაც ფეხბურთელი ძალიან უკმაყოფილო გახლდათ. მოედანზე მისი სასურველი ადგილი ცენტრფორვარდის პოზიციაა.

ბილეფელდურ კლუბში კი პოლონელმა ძველი დიდება დაიბრუნა. მართალია, გასულ წელს „არმინიამ“ ბუნდესლიგაში ბოლო ადგილი დაიკავა, მაგრამ ვიხნიარეკმა მაინც 13 გოლის გატანა შეძლო და მთელ გუნდში ფაქტობრივად ერთადერთი ფეხბურთელი გახლდათ, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. „ჰერტას“ ძირითად შემადგენლობაში მას ამ ეტაპისთვის ადგილი გარანტირებული აქვს, რადგან ბერლინიდან ორი წამყვანი ფორვარდი წავიდა: **მარკო პანტელიჩი** და **ანდრეი ვორონინი**.

გოტფრიდ ლენცი


არტურ ვიხნიარეკი

# კაკას ჩაბიზმი

მადრიდის „რეალმა“ „ლივერპულს“ **ჩაბი ალონსოს** თაობაზე სრულიად ოფიციალური, ყველა წესისა და რიგის დაცვით შედგენილი წინადადება გაუგზავნა და პასუხს ივლისის შუისკენ ელის. ამასთან, ესპანეთის „სამეფო კლუბს“ კარგად მოეხსენება, რომ ალონსოს ყოფილი გუნდი, „რეალ სოსიედადი“ წილშია - ანუ, როდესაც „სოსიედადი“ ფეხბურთელს „ლივერპულს“ აძლევდა, კონტრაქტში ჩაიწერა, რომ „ლივერპულის“ მიერ მისი გაყიდვის შემთხვევაში, გარკვეული თანხა „სოსიედადსაც“ უნდა შეხვედროდა. ჩაბი ალონსო „ლივერპულში“ ხუთი წლის წინ 10, 5 მილიონ ფუნტად გადავიდა.

დღეს, ალონსოს ფასი 35 მილიონი ფუნტი გახლავთ, თუმცა „რეალს“ იმედი აქვს, რომ **რაფა ბენიტესი** ცოტა ხანსაც დაფიქრდება და დააკლებს. მიზეზი: მადრიდელები თანხის ერთბაშად გადახდას აპირებენ, ეს კი, მათი აზრით, დაკლებად ღირს. საინტერესოა, რომ ალონსოს ყიდვისკენ „რეალს“ მისმა ახალმა შენაძენმა, ბრაზილიელმა **კაკამ** მოუწოდა.

*„მე მის წინააღმდეგ ჩემპიონთა თასის ორ ფინალში მითამაშია და ვიცი, რა ძლიერი ფეხბურთელიცაა. გარდა ამისა ის ესპანელია და ვფიქრობ, მისი ყიდვა ძალიან სწორი ნაბიჯი იქნება“,* - თქვა 27 წლის ვარსკვლავმა, რომელშიც „რეალმა“ 62 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

ილია ბაბუნაშვილი

## უცხოური ფეხბურთი

**სატრანსფერო ამბები**


პიტერ კრაუჩი

# კრაუჩინარება პორტსმუთიდან

„ფულჰემი“ ხაზინაში ფულს ბეჯითად ითვლის, რათა 10 მილიონი ფუნტი მოქექოს და „პორტსმუთისგან“ ცნობილი ფორვარდი, **პიტერ კრაუჩი** იყიდოს. ამბობენ, რომ კრაუჩის ყიდვაზე არც მეტი, არც ნაკლები, „მილანიც“ ფიქრობს. ლონდონელთა მწვრთნელს, **როი ჰოჯსონს** ეს ტანხმელი და ტანმაღალი თავდამსხმელი სამომავლო ნაბიჯის გადასადგმელად შეუგულებია - მოგეხსენებათ, „ფულჰემი“ პრემიერლიგაში მეშვიდე ადგილზე გავიდა, ევროლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა და ახლა მეტზე ოცნებობს.

...და „მილანი“ საიდანღა ამოტივტივდა? საქმე ის გახლავთ, რომ „როსონერის“ პირველი სამიზნე სევილიელი **ლუიშ ფაბიანოა**, მაგრამ თუ ბრაზილიელი ვერ იყიდა, მაშინ კრაუჩზე გადაერთვება. აღსანიშნავია, რომ ინგლისელ ფორვარდს მილანელებმა შემოუთვალეს, რომ „სან სიროზე“ ის გაცილებით მეტს მიიღებს, ვიდრე „პორტსმუთში“ იღებდა - მისი ამჟამინდელი ჯამაგირი კვირაში 70 ათასი ფუნტის ტოლია.

ერთი რამ კი კრაუჩისთვისაც და მისი ახლანდელი თანაგუნდელებისთვისაც ცხადია - „პორტსმუთში“ დარჩენა არ შეიძლება. გუნდი, რომელიც პრემიერლიგაში მე-14 ადგილზე გავიდა, უპატრონოდაა, ახალი სეზონი კი ნელ-ნელა, მაგრამ ახლოვდება. კლუბის ყიდვა არაბ ბიზნესმენს, დოქტორ **სულეიმანს** სურდა, მაგრამ გავრცელდა ხმები, რომ დოქტორი სულეიმანი იმავე ორგანიზაციის წევრია, რომელიც „მანჩესტერ სიტის“ ფლობს და პროცესი შეყოვნდა - პრემიერლიგაში არ შეიძლება ერთ პატრონს ორი კლუბი ჰყავდეს.

რაც შეეხება როი ჰოჯსონს, მას კრაუჩის გარდა „ჩელსის“ **ფრანკო დი სანტოსა** და „მანჩესტერ სიტის“ **ჟოს** ყიდვა უნდა, მაგრამ ჯო „ევერტონისა“ უფრო გახდება - აქეთკენ მიდის საქმე. კიდევ, „ფულჰემის“ თვალსაწიერში მოხვდა 30 წლის **ჯონათან გრინინგი** „ვესტ ბრომვიჩის“ კაპიტანი. გრინინგი გასულ სეზონში „ალბიონის“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეთაგანი გახლდათ, მაგრამ გუნდი, მოგეხსენებათ, პრემიერლიგიდან გავარდა, ასე რომ, ისევ უმაღლეს ეშელონში დაბრუნების შანსზე ნახევარმცველმა საეჭვოა უარი განაცხადოს. გრინინგში „ფულჰემი“ სავარაუდოდ 3 მილიონ ფუნტს გადაიხდის.




**დიდი ტრანსფერის მოლოდინში**

# საით, დავიდ ასტურიელო?

„ბარსელონას“ „ვალენსიასთან“ **დავიდ ვილიას** საქმის მოგვარება მომდევნო კვირაშივე სურს, კატალონიის გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები კი ერთსა და იმავეს ღაღადებენ: ვალენსიელებს ბანკების დიდძალი ვალი დაგროვებიათ და ამ თანხის გადასახდელად მათ სხვა გზა არ აქვთ, ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი უნდა გაყიდონ.

„ვალენსიას“ პრეზიდენტი, **მანუელ ლორენტე** ოფიციალურად უკვე დიდი ხანია კატეგორიულად იმეორებს, ვილია არ იყიდება, მაგრამ გაზეთ „სპორტის“ ვერსიით, კლუბში ყველამ კარგად იცის, რომ ვალებიდან ამოსასვლელად საუკეთესო გზა თავდამსხმელის გაყიდვაა.

ჯამში, „ვალენსიას“ ვალი 547 მილიონ ევროს შეადგენს. ეს თანხა, ბუნებრივია, გასასტუმრებელია, ხოლო ერთ-ერთი მევალე, „ბანკახა“ (საზოგადოებრივი ორგანიზაციაა), თანხის არცთუ მცირე ნაწილის დაფარვას ახლავე ითხოვს. გვარიანად დიდი ფულის გადახდას ფეხბურთელების გაქირავება არ შველის, გაყიდვა უნდა. ჰოდა, „ბარსელონას“ აქტიურობაც სწორედ სულზე მისწრებაა. კატალონიელები ცალკე ფულს იძლევიან და ცალკე კომბინაციას ამზადებენ, რომელშიც ურუგვაელი **მარტინ კასერესი** და ბრაზილიელი **კერისონიც** მონაწილეობენ. კასერესის საქმე გასაგებია, ეს ცენტრალური მცველი „ბარსას“ საკუთრებაა, მაგრამ კერისონი ჯერ „პალმეირასის“ ფეხბურთელია და რანაირად უპირებენ ვილიას კომბინაციაში შეჩურთვას, მთლად ნათელი არ არის.

ტრანსფერზე სალაპარაკოდ ვილია და „ბარსელონას“ დირექტორები, **ჩიკი ბეგერისტაინი** და **რაულ სანლეი** რამდენიმე დღის წინ ასტურიაში, ვილიას მშობლიურ კუთხეში შეხვდნენ ერთმანეთს. ფეხბურთელის ასეთ თავნებობას „ვალენსიას“ შეფები საკმაოდ ცუდად შეხვდნენ, თუმცა თავადვე მიხვდნენ, რომ გაბრაზების მეტს ბევრსაც ვერაფერს გააკეთებდნენ. როგორც „ელ მუნდო დეპორტივო“ წერს, ახლა კატალონიელები მოთმინებით ელოდებიან ზარს ვალენსიელთაგან. „ბარსელონას“ ოფისში დარწმუნებულები არიან, რომ მორიგი პირველი ნაბიჯი „მესტალიადან“ უნდა წამოვიდეს, საკუთრივ ვილიამ კი ნათლად განაცხადა, რომ სიამოვნებით ითამაშებს „ბარსაში“. როგორც „სპორტს“, ასევე ხსენებული „ელ მუნდო დეპორტივოს“ ეჭვი არ ეპარებათ, რომ ვილიას კატალონიის დედაქალაქში გადასვლას ხელს ველარაფერი შეუშლის. გაზეთებმა თავიანთი კორესპონდენტები ასტურიაში მიმოფანტეს და ინფორმაცია ყველასგან გამოწურეს - ვილიას ოჯახის წევრებისგან, ახლობლებისგან, ნათესავებისგან...

„სპორტმა“ გაარკვია, რომ ფეხბურთელს ოჯახის წევრებისთვის უთქვამს, „ბარსელონაში“ უეჭველად გადავალ, ოღონდ მინდა ყველაფერი მანამდე მოგვარდეს, სანამ „ვალენსიაში“ ჩასვლა მომიწევსო.

ზემოთ ვილიასა და „ბარსას“ დირექტორების შეხვდრა ვახსენეთ. იმ შეხვედრაზე ფეხბურთელი და კლუბი სეზონში 7.5 მილიონ ევროზე შეთანხმებულან, კლუბთა შორის გარიგება კი სხვა თემაა, აქ 40-50 მილიონ ფუნტზეა ლაპარაკი.

**ილია ბაბუნაშვილი**


მარცხნივ დავიდ ვილია

**რას არ გაიგებ...**

# ტერი და მანჩესტერი?

„ჩელსისაც“ გაუბედეს, კაცო? ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ლონდონელმა „ლურჯებმა“, რომლებიც თავად ყიდულობენ ყველას და ყველაფერს, „მანჩესტერ სიტისგან“ ერთ-ერთი ფეხბურთელის თაობაზე წინადადება მიიღეს და უარის შეთვლა მოუხდათ. თან ვის გაყიდვას სთხოვდნენ, არ გაინტერესებთ? არც მეტი, არც ნაკლები - **ჯონ ტერის**. მანჩესტერელები, რომლებიც, მოგეხსენებათ, არაბი შეიხების ფულით მანიპულირებენ, **რომან აბრამოვიჩის** კლუბს ტერის სანაცვლოდ დაახლოებით 30 მილიონს სთავაზობდნენ.


ჯონ ტერი მანჩესტერ სიტიმ მოიკითხაო...

საქმე ასე იყო: „ჩელსის“ ცნობილი აღმასრულებელი შეფი, **პიტერ კინიონი** მანჩესტერელ კოლეგას, **გერი კუკს** შეხვდა, რათა ფორვარდ **დენიელ სტარიჯის** „სიტიდან“ „ჩელსიში“ გადასვლის დეტალები შეეთანხმებინათ და უცებ... მაგიდასთან თითქოს ყუმბარა გასკდაო, კუკმა ტერიზე დაიწყო ლაპარაკი. მოგვიანებით, „ჩელსის“ საიტზე გამოქვეყნდა კლუბის ოფიციალური განცხადება: *„ვარწმუნებთ ყველა გულშემატკივარს, რომ კლუბმა „მანჩესტერ სიტის“ ჯონ ტერის მიყიდვაზე კატეგორიული და ამომწურავი უარი განუცხადა“.*

ბუნებრივია, თავისი პოზიცია გამოთქვა საკუთრივ ტერიმაც, რომელსაც, როგორც ჩანს, გარკვეული ეჭვი გასჩენია: *„უპირველეს ყოვლისა მინდა დავრწმუნდე, რომ გუნდში ვარ, რადგან როდესაც ახალი მწვრთნელი მოდის, მას ახალი იდეები მოაქვს და ასეთ დროს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ხარ და რა დამსახურებები გქონია წარსულში“.*

მოგეხსენებათ, „ლურჯებს“ ახალი მწვრთნელი ჰყავთ, იტალიელი **კარლო ანჩელოტი**, რომელსაც შესაძლოა ძველი ფეხბურთელი, თუნდაც ძალიან გამოცდილი, თვალში მართლაც არ მოსდიოდეს ან... ვთქვათ, იგივე ტერი ფეხბურთელად კი უნდოდეს, მაგრამ კაპიტნად აღარ.

*„ძალიან მინდა მომავალ სეზონშიც ვუკაპიტნო გუნდს, მაგრამ, არ არის გამორიცხული, ანჩელოტის სხვა კანდიდატურა ჰყავდეს, - თქვა ლონდონელთა... თუმცა, განა მარტო ლონდონელთა? ინგლისის ნაკრების კაპიტანმა, - ვიმეორებ, ახალ მწვრთნელს ახალი იდეები მოაქვს და ასეთ დროს წარსულს მნიშვნელობა აღარ აქვს. მაგალითისთვის ინგლისის ნაკრებში მაიკლ ოუენის ამბავი გაიხსენეთ. ამხელა ფეხბურთელს ყურადღებასაც აღარ აქცევენ“.*

„ჩელსი“ სეზონისთვის მომზადებას ამერიკაში შეკრებით იწყებს. უკვე ცნობილია, რომ იქ, ამერიკაში „ლურჯები“ ამხანაგურ მატჩებს გამართავენ ანჩელოტის ყოფილ გუნდ „მილანთან“ და „ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელის, **ჟოზე მოურინიოს** გუნდთან, „ინტერთან“. ლონდონელები ყოფილი მწვრთნელის გუნდს 21 ივლისს, „პასადენა როუზ ბოულზე“ დაუპირისპირდებიან.

რაკიღა სიტყვა მოურინიოზე ჩამოვარდა - ჯონ ტერიმ უარყო ყოფილი თანაგუნდელის, ფრანგი **კლოდ მაკელელეს** მიერ გავრცელებული ხმები, თითქოს პორტუგალიელი მწვრთნელის „ჩელსიდან გაშვებაში“ გარკვეული როლი მანაც ითამაშა.

*„ძალიან უცნაური იყო კლოდ მაკელელესგან მოურინიოს გაშვებაში ჩემი დადანაშაულება. ბოლოს და ბოლოს, არასდროს დამიმალავს და ხმამაღლა მითქვამს როგორც „ჩელსის“ ქომაგებისთვის, ასევე პირადად პორტუგალიელისთვის, რომ მასზე უკეთესი მწვრთნელი ცხოვრებაში არ მყოლია. მოურინიოს გაშვება-დარჩენის ამბავი ჩემთვის არასდროს უკითხავთ. მე, დიდიე დროგბასა და ფრენკ ლამპარდთან ერთად გახლდით ის ადამიანი, რომელმაც ღამის ორ თუ სამ საათზე დაურეკა აბრამოვიჩს და მოურინიოს დატოვება სთხოვა“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

გამოკითხვა

# ოცნების იტალია

## ყველა დროის საუკეთესო სკუადრა აძურა



სანდრო მაცოლა



ჯიჯი რივა

საფეხბურთო სეზონი დასრულდა და სპორტული პრესის დიდი ნაწილი სატრანსფერო სიახლეებს ეთმობა. ამასთან, ქვეყნდება ანალიტიკური, გასართობი და თავშესაქცევი სტატიები. ამას წინათ, „სქაი იტალიამ“ გამოკითხვა ჩაატარა, თუ ვინ არის იტალიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი. პირველ ადგილზე რობერტო ბაჯო გავიდა, მეორეზე დინო ძოფი, მესამეზე კი სანდრო მაცოლა. თუმცა, უფრო საინტერესოდ ერთი მასალა გვეჩვენა. ჟურნალისტებს შორის გამოკითხვა ჩატარდა და შედგა იტალიის ეროვნული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო შემადგენლობა. ვფიქრობთ, თქვენთვისაც საინტერესო იქნება ოცნების „სკუადრა აძურასთან“ გაცნობა. ბოლოს და ბოლოს, ლაპარაკია მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ, ზესაფეხბურთო ქვეყანაზე.

### 1. დინო ძოფი (1968-83, 112 თამაში)

თამამად შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე. იტალიელებს არასდროს აკლდათ დიდი კიპერები და ამის ნათელი მაგალითი **ჯიჯი ბუფონია**, მაგრამ ალბათ მაინც ყველასგან გამორჩეული სწორედ **ძოფი** გახლდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დინო ერთადერთი იტალიელი ფეხბურთელია, ვისაც ევროპის ჩემპიონატიც აქვს მოგებული (1968) და მსოფლიო პირველობაც (1982). საგულისხმოა, რომ მუნდიალის ტრიუმფისას ძოფი 40 წლის გახლდათ. ამას გარდა, კიდევ სამ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა: 1970, 1974 და 1978 წლებში. ასევე, იასპარეზა 1980 წლის ევროფორუმზე. გარდა ამისა, ძოფი რეკორდის ავტორია, 1972-74 წლებში მან განუმეორებელი შედეგი აჩვენა და ნაკრების კარი 1143 წუთის განმავლობაში მშრალად შეინახა.

### 2. კლაუდიო ჯენტილე (1975-84, 71 თამაში)

**ჯენტილეს** ტიპის მოთამაშე ფეხბურთის ისტორიაში თითზე ჩამოსათვლელი თუ ყოფილა. მებრძოლი, თავდაუზოგავი და მეტად ხისტი ფეხბურთელი, რომლის წინაშეც ფორვარდები ძრწოდნენ. დიახ, ძრწოდნენ, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. კლაუდიო 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფალური გუნდის გამორჩეული წევრია. ბევრის აზრით, **პაოლო როსისთან** ერთად, მან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა „სკუადრა აძურას“ ტრიუმფში. გულშემატკივარს ყველაზე კარგად ჯენტილესა და **მარადონას** დუელები დაამახსოვრდა. არგენტინელს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კლაუდიოსთან დაპირისპირებას, სამ მცველთან ერთდროულად ჭიდილი ერჩივნა. ასევე, ჯენტილემ იასპარეზა 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატსა და 1980 წლის ევროპირველობაზე.

### 3. ჯაჩინტო ფაკეტი (1963-77, 94 თამაში, 3 გოლი)

„ინტერის“ ლეგენდა, რომელმაც კლუბსა და ნაკრებში ერთი დიდი ეპოქა შექმნა. „ნერაძურის“ ტიფოზებისთვის ის დღემდე ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია, რაც თავისთავად ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. **ფაკეტი** 14 წლის განმავლობაში ემსახურა „სკუადრა აძურას“ და მთელი ამ დროის განმავლობაში, შეუცვლელი იყო. სწორედ მან უკაპიტნა „აძურას“ 1968 წლის ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც იტალიის ნაკრების ტრიუმფით დასრულდა. ფინალურ შეხვედრაში, რომელშიც აპენინელებმა იუგოსლავიის გუნდი 2:0-ზე დაამარცხეს, ფაკეტი უნაკლო თამაშით გამოირჩა. ჯაჩინტო 2006 წლის 4 სექტემბერს 64 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

### 4. გაეტანო შირეა (1975-86, 78 თამაში, 2 გოლი)

ალბათ, ყველაზე დიდი ლიბერო ფეხბურთის ისტორიაში **ფრანც ბეკენბაუერთან** ერთად. ტურინის „იუვენტუსის“ ტიფოზები მას გუნდის გონებას უწოდებდნენ. დიახ, **შირეამ** საუკეთესო წლები სწორედ „ვეკია სენიორაში“ გაატარა და გულშემატკივრებს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა. „იუვეს“ მაშინდელი დაცვის ხაზი მართლაც შოკის მომგვრელი იყო: კაბრინი, ჯენტილე, შირეა, მათ უკან კი თვით დინო ძოფი. შირეა ხშირად გვევლინებოდა შეტევის ორგანიზატორის როლშიც, უკნიდან მოჰქონდა ბურთი და შესანიშნავ პასებს არიგებდა. სწორედ მისი აქტიურობის შემდეგ გაიტანა თავისი ცნობილი გოლი **მარკო ტარდელიმ**, როდესაც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გერმანელების კარი მეორედ აიღო. **გაეტანო ფეიარპლეის** პრინციპების დამცველი იყო და ყოველთვის სუფთად თამაშობდა. შირეა 1989 წელს ავტოავარიაში ტრაგიკულად დაიღუპა.

### 5. ფრანკო ბარეზი (1982-94, 81 თამაში, 1 გოლი)

შირეას მსგავსად, ის ცენტრალური მცველი გახლდათ და გუნდის თამაშს უკნიდან დირიჟორობდა. ვისაც **ბარეზის** თამაში აქვს ნანახი, არ შეიძლებოდა არ აღფრთოვანებულიყო. ფრანკო ტაქტიკურად უზადოდ გახლდათ განსწავლული, მოედნის იდეალური ხედვით და უბადლო ტექნიკით გამოირჩეოდა. „მილანში“ მან მთელი ეპოქა შექმნა და გულშემატკივრებისგან დაფასდა კიდეც. გამოკითხვის შედეგად, იგი „როსონერის“ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. „მილანის“ მსგავსად, ეროვნულ ნაკრებსაც კაპიტნობდა და დღემდე ითვლება გუნდის თავის იდეალურ მაგალითად. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაში, პენალტების სერიაში დარტყმა გააცუდა, თუმცა ეს მის ბრწყინვალე კარიერას ვერ შებღალავს. მარტო ის რად ღირს, რომ „როსონერისთან“ ერთად სამჯერ გახდა ჩემპიონთა თასის (1989-90-94) და ექვსჯერ სკუდეტოს მფლობელი (1979-88-92-93-94-96).

### 6. პაოლო მალდინი (1988-02, 126 თამაში, 7 გოლი)

იტალიის ნაკრების და „მილანის“ კიდევ ერთი ლეგენდარული კაპიტანი. „როსონერიში“ მან მთელი ეპოქა შექმნა, რაზეც მისი ტიტულებიც ნათლად მეტყველებენ: ხუთი ჩემპიონთა თასი, შვიდი სკუდეტო, ორი იტალიის თასი, ხუთი იტალიის სუპერთასი, ხუთი ევროპის სუპერთასი, ორი საკონტინენტაშორისო თასი, ერთი მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი. ვფიქრობთ, აქ სიტყვები უბრალოდ ზედმეტია. **პაოლო** შეუცვლელი გახლდათ ეროვნული ნაკრებისთვისაც. „სკუადრა აძურაში“ მან 126 შეხვედრა ჩაატარა და ამ მაჩვენებლით, **ფაბიო კანავაროსთან** ერთად, რეკორდსმენია. მალდინიმ ოთხ მუნდიალზე იასპარეზა: 1990 წელს ბრინჯაოს მფლობელი გახდა, 94-ში კი ვერცხლიც დაისაკუთრა. ასევე იასპარეზა 1998 და 2002 წლების მუნდიალებზე. გარდა ამისა, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი და ვერცხლის მედლის პატრონია.

### 7. ბრუნო კონტი (1980-86, 47 თამაში, 5 გოლი)

მას ბევრი 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევს. მართლაც ძნელია იმ წვლილის აწონა, რომელიც ამ მოთამაშემ „აძურას“ გაჩემპიონებაში შეიტანა. პერუს კარში მის მიერ გატანილი გოლით იტალიამ ჯგუფური ეტაპი გადალახა. ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა მეორე ჯგუფურ რაუნდში, ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ. გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ისტორიული მატჩი, რომელიც „აძურას“ მინიმალური გამარჯვებით დასრულდა, 3:2. პაოლო როსიმ სწორედ კონტის პასით გაუტანა ერთ-ერთი გოლი სელესაოს. კონტის და როსის გმირობა ნახევარფინალშიც გაგრძელდა, პოლონელებთან გატანილ მეორე გოლს როსი სწორედ ბრუნოს უნდა უმადლოდეს. **კონტიმ** არც ფინალში მოისვენა და უკვე **სანდრო ალტობელის** უპასა საგოლედ. ვფიქრობთ, მეტის დამატება საჭირო აღარ არის.

### 8. ანდრეა პირლო (2002-დღემდე, 46 თამაში, 6 გოლი)

ყველაზე შემოქმედებითი საყრდენი ნახევარმცველი – ასე ახასიათებენ მას საფეხბურთო ექსპერტები. პირლო „მილანის“ და ეროვნული ნაკრების შეტევების სულის ჩამდგმელია და ეს მაშინ, როდესაც ის სულაც არ გახლავთ შემტევი ამპლუის ფეხბურთელი. **ანდრეას** მოედნის იდეალური ხედვა აქვს და შესანიშნავ პასებს არიგებს. 2006 წლის მუნდიალის ტრიუმფში ლომის წილი დაიდო. გავიხსენოთ ნახევარფინალური შეხვედრა გერმანელებთან და მისი ბრწყინვალე გადაცემა 119-ე წუთზე, რომელსაც **ფაბიო გროსოს** შედეგიანი დარტყმა მოჰყვა. ფიფამ პირლო საფრანგეთთან გამართული ფინალური შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა, რაც ასევე ბევრ რამეზე მეტყველებს. შეგახსენებთ, რომ მარკო მატერაცის მიერ ფაბიან ბარტეზის კარში გატანილი გოლი სწორედ პირლოს ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა.

### 9. სანდრო მაცოლა (1963-74, 70 თამაში, 22 გოლი)

70-იანი წლების მართლაც უძლიერესი იტალიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი. იმ ფორმაციის „აძურას“ ბევრი ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად მიიჩნევს. **მაცოლამ** სამ მუნდიალზე იასპარეზა: 1966, 1970 და 1974 წლებში. განსაკუთრებით მძლავრი „სკუადრა აძურა“ მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო, რომელშიც ვერცხლის პრიზიორი გახდა. თუმცა, იტალიის უმთავრესი გუნდი იმ მუნდიალის ფავორიტად მიიჩნეოდა და მიღწეულ მეორე ადგილს აპენინებზე განსაკუთრებული სიხარულით არავინ შეხვედრია. სანდრომ დიდი წვლილი შეიტანა „აძურას“ 1968 წლის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებაში. ეროვნულ გუნდში ის **ჯანი რივერასთან** და **ლუიჯი რივასთან** ერთად, ბრწყინვალე შემტევ ტრიოს ქმნიდა. მაცოლას საკლუბო მიღწევები ცალკე საუბრის თემაა. სანდრო, „ინტერთან“ ერთად ოთხჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი (1963-65-66-71) და ორჯერ ჩემპიონთა თასის მფლობელი (1964-65).

### 10. რობერტო ბაჯო (1988-04, 56 თამაში, 27 გოლი)

დავუმატოთ ერთმანეთს **პელეს** და მარადონას ნიჭი და მივიღებთ **რობერტო ბაჯოს**. ასეთი შინაარსის ფრაზები იტალიელ გულშემატკივრებში ძალიან პოპულარულია. ბევრი მას მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნევს. რობი არის ფეხბურთელი, რომელსაც ალბათ ყველაზე მეტი პირადი ქომაგი ჰყავდა ბოლო ოცწლეულში. ბაჯომ სამჯერ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატებზე: 1990, 1994 და 1998 წლებში. ამერიკაში გამართული მუნდიალი მისი კარიერის მწვერვალად შეგვიძლია მივიჩნიოთ. პლეი ოფებში ხუთი გოლი გაიტანა (ნიგერიასთან, ესპანეთთან და ბულგარეთთან) და „აძურა“ ფაქტობრივად მარტომ გაიყვანა ფინალში. ის, რაც გადამწყვეტ პაექრობაში, თერთმეტმეტრიანების სერიაში მოხდა, ყველას კარგად მოგეხსენებად. თუმცა, ამას ოდნავად არ შეუბღალავს 1993 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული ცხენისკუდას ბრწყინვალე კარიერა.

### 11. ლუიჯი რივა (1965-74, 42 თამაში, 35 გოლი)

იტალიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო გოლეადორი. **რივა** სრულიად დამსახურებულად მოხვდა აღნიშნულ თერთმეტეულში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შედეგიანი დარტყმების რაოდენობით მას ვერავინ შეედრება. ვისაც მისი თამაში აქვს ნანახი, ყველა თანხმდება, რომ ასეთი დამგვირგვინებელი მსოფლიო ფეხბურთს სულ რამდენიმე თუ ჰყოლია. აღსანიშნავია, რომ რივამ საკლუბო კარიერა მოკრძალებულ „კალიარის“ შესწირა. სარდინიულ გუნდში თოთხმეტი წლის განმავლობაში ასპარეზობდა და 315 შეხვედრაში 164 გოლი გაიტანა. რივა 1968 წლის ევროტრიუმფის მონაწილეა. ფინალურ შეხვედრაში სწორედ მან გაუტანა იუგოსლავიის ნაკრებს მეორე გოლი. თუმცა, ყველაზე დასამახსოვრებელი გოლი ლუიჯიმ მაინც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების წინააღმდეგ გაიტანა. ალბათ გახსოვთ 1970 წლის მუნდილის ნახევარფინალური თრილერი და 4:3 „სკუადრა აძურას“ სასარგებლოდ. ეს შეხვედრა ფიფამ ყველა დროის საუკეთესო მატჩად მონათლა.

ბოლოს კი იმ ფეხბურთელებსაც გაგაცნობთ, რომლებიც გამოკითხვის შედეგად სარეზერვო შემადგენლობაში მოხვდნენ. მაშ ასე, სრულყოფილი სურათის შესაქმნელად, სათადარიგოთა სკამსაც გადავხედოთ: **ჯანლუიჯი ბუფონი, ვალტერ ძენგა, ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა, ანტონიო კაბრინი, მარკო ტარდელი, სილვიო პიოლა, რობერტო ბეტეგა, ჯანი რივერა, ჯუზეპე მეაცა, პაოლო როსი, კრისტიან ვიერი.**




რობერტო ბაჯო

**ლაშა წიკლაური**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

თბილისში გრძელდება ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ფინიში



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის მეორე დღე ჩვენი ბერძენ-რომაელებისთვის ძალზე წარმატებული გამოდგა - მასპინძლებმა ოთხიდან სამ ფინალში იჭიდავეს, საბოლოოდ კი 2 ოქრო და 1 ვერცხლი მოიპოვეს. ევროპის ჩემპიონები მინდია ნულუკიძე (50) და ვლადიმერ ქარჩავა (96) გახდნენ, ვერცხლი კი არჩილ თურმანიძეს (60) ერგო. სულ ჩვენი ნაკრების მონაგარი ოთხი მედალია - ჩემპიონატის პირველ დღეს ქემალ ხარაბაძემ (55) ბრინჯაო მოიპოვა.

### 60 კგ

ნაკრების თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** ნულუკიძე ბოლო დღეს ჩართო გუნდში, სანაცვლოდ კი ახალგაზრდებში საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **ზურაბ მაჭარაშვილი** დატოვა ნაკრების მიღმა. რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, თავადაც ხედავთ. სხვათა შორის, ამ წონაში ფინალური შეხვედრის დასრულების შემდეგ მაჭარაშვილი ადეიშვილთან მივიდა და წარმატება გულიანად მიულოცა.

ფინალამდე ნულუკიძემ ძალიან ძლიერი საჭიდაო ქვეყნების წარმომადგენლები დაამარცხა - აზერბაიჯანელი **ხურშუდ ბაბაშოვი**, რუსი **ალიულა იაფუნაევი** და სომეხი **სარგის ხაჩატრიანი**. აქედანაც კარგად ჩანს, რამდენად ძლიერად ჩაატარა ტურნირი. თანაც, რუსი ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია, აზერბაიჯანელი - მესამე პრიზიორი. თუმცა ნულუკიძემ ყველაზე იოლად სწორედ ამათ მოუგო - ძირითად დროში, სომეხთან კი დამატებითი დასჭირდა. მან ხაჩატრიანთან პირველი პერიოდი წააგო, მაგრამ ჯერ მეორე მოუგო სუფთად, მესამეში კი ოქროს ქულა იკმარა.

ფინალში თურქი **ტოლგაჰან კარატასი** გულღვარძლიანი მოჭიდავე გამოდგა და მთელი შეხვედრა უკადრებელის კადრებაში იყო. ალბათ, არც იმაში შევცდებით, რომ პირველი პერიოდის მოგებაში მსაჯიც გვარიანად წაეხმარა - პირველი წუთის მიწურულს გდება მან კი დაიწყო, მაგრამ ნულუკიძემ წარმატებით გადაისროლა, თუმცა გერმანელმა არბიტრმა ქულა მაინც თურქს მისცა. ეს მომენტი განიხილეს, მაგრამ გადაწყვეტილება არ შეცვალეს. კარატასმა მარტივი ტაქტიკა აირჩია - ჯიქურ მიწოლით ჩვენებურის წრიდან გაყვანას ცდილობდა, ეს კი ყოველთვის უკუგდებას უპირისპირებდა, მაგრამ უშედეგოდ. აშკარა იყო - ნულუკიძეს მეორე პერიოდში ტაქტიკა უნდა შეეცვალა და ასეც მოიქცა - უფრო მეტოქის ხალიჩიდან აყვანას მიეძალა და ერთ მომენტში მშვენივრადაც ჩაჩეხა. ამ პერიოდში ჩოქბჯენში ჩადგომა თურქს უწევდა, სადაც ჩვენებურმა კიდევ ერთხელ გამოავლინა კარგი მომზადება და კარატასი შედეგიანად დაატრიალა. მესამე პერიოდში თურქმა უხეშობას უმატა, რაკი ქართველის მიძალებას ვერ უმკლავდებოდა და მსაჯსაც გვარიანად ეკამათებოდა. გალმა შეედავე, გამოლმა შეგრჩებაო, ამაზეა ნათქვამი - თურქს ფეხში ხელის წავლება არ დაუკლია, თავის ჩარტყმა და მუჯლუგუნები, მაგრამ მსაჯს ისე ედავებოდა, თითქოს უმოწყალოდ ჩაგრავდნენ. დამატებით პერიოდში მოჭიდავეებს ჟინი არ აკლდათ, მაგრამ რაღაც ისე ეტყობოდა, ორივე უფრო ჩოქბჯენს ელოდებოდა, ეს კი ჩვენი კოზირი ჩანდა - ნულუკიძემ თავის ჯერზე ხომ შედეგიანად დაატრიალა, პირველ პერიოდში თავიც კარგად დაიცვა. დაბლა ჩადგომა ამჯერადაც თურქს ერგო, ჩვენებურმა კი შანსი ხელიდან არ გაუშვა და საკმაოდ ძნელ ბრძოლაში იზეიმა ჩემპიონობა. ხულოელი სპორტსმენი, რომელსაც **ლევან შავაძე** და **გელა ჯანელიძე** ავარჯიშებენ, აქამდე ჭაბუკებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი იყო.

### 60 კგ

ამ წონაში შარშან ევროპის ჩემპიონი გვყავდა - **უჩა შავაძე** და ეს ტიტული კინალამ ზედიზედ მეორედაც მოვიპოვეთ. საამისოდ **არჩილ თურმანიძეს** ფინალური შეხვედრის მოგება დააკლდა აზერბაიჯანელ **ჰასან ალიევთან**. ნუ გვიწყენს თურმანიძე, მაგრამ ეს წაგება საკუთარ თავს უნდა დააბრალოს - ვერც იმ აგრესიულ, შემტევ სტილში იჭიდავა, რაც მწვრთნელებმა დაავალეს და თითქოს რაღაც შებოჭილიც იყო. მან მეტოქეს თვითონ ვერაფერი ხიფათი შეუქმნა, სამაგიეროდ კი ორივე პერიოდში თითო ქულა ჩოქბჯენში დაკარგა - ალიევს ვერც გაექცა და ვერც აიყვანა. ძალიან კი შეგვეცოდა, როცა სპორტსმენთა გასასვლელში მაგიდაზე დამხობილი გულამომჯდარი იოხებდა გულს, მაგრამ მომავალში მეტი შემართება მართებს. თურმანიძემ ფინალამდეც მძიმე გზა გაიარა და ორ შეხვედრაში დამატებითი დრო დასჭირდა - რუს **ვიშხან კაგერნმანოვთან**, დანიელ **ფრედრიკ ბჯერეჰუუსთან**, ხოლო სომეხ **რობერტ ჰოვანისიანს** და ფინელ **ჯუსი-პეკა ნიბმისტოს** ორ სეტში მოუგო. იმედია, ხელვაჩაურელი სპორტსმენი წაგებიდან სწორ დასკვნებს გამოიტანს და მომავალში ოქროთი გაგვახარებს, თუმცა ურიგო შედეგი არც ევროპული ვერცხლია. უბრალოდ, მეტად რომ ეცადა, აჯობებდა. სხვათა შორის, მას ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების წევრი **ზაზა სილაგაძე** ავარჯიშებს, პირველი მწვრთნელი კი **დიმიტრი ქინქლაძე** გახლდათ.

### 74 კგ

ეს იყო ერთადერთი წონა, სადაც გუშინ უმედლოდ დავრჩით - **გოგა აფრიამაშვილი** პირველივე შეხვედრაში დამარცხდა ფრანგ **იან მარია ჟოსესთან** და გავარდა.

### 96 კგ

მეორე ოქროს მედალი ოზურგეთელმა **ვლადიმერ ქარჩავამ** მოგვიტანა, რომელიც, ალბათ, ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეულად ძლიერი მოჭიდავეა. თანაც - ლამაზი სტილის ფალავანი. სანახაობრივად საკმაოდ გალარიბებულ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას სწორედ ასეთი სტილის სპორტსმენები სძენენ სილამაზეს და ესთეტიკურობას. ზედა წონებში იშვიათია მოჭიდავე, რომელიც დგომში ამდენ ილეთს გააკეთებს. ქარჩავამ ტურნირზე ჩატა-

ვლადიმერ ქარჩავა









ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

თბილისში გრძელდება ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ოქროთი და ვერცხლით



მინდია წულუკიძე



არჩილ თურმანიძე











რებული ოთხივე შეხვედრა წმინდად მოიგო. ამათგან - ქულებით მხოლოდ ერთში იმარჯვა, დანარჩენები კი ბეჭებით დააბერტყა - ბერძენი **ლეოკრატის კესიდისი**, გერმანელი **ცოსკუნ ეფე** და ფინალში რუმინელი **ალინ ალექსუსი**. თანაც, პირველი ორის დასამარცხებლად თითო წუთიც არ დასჭირდა - პირველივე პერიოდში მოუგო, რუმინელმა კი ერთი პერიოდი და მეორის ნახევარი გაუძლო. თუმცა ქარჩავას უპირატესობა აშკარა იყო და ყოველმხრივ დაჩაგრა მეტოქე, ბოლოს კი ხანმოკლე ძიძგილაობა ეფექტური გდებით დაავგვირგვინა.

ქარჩავამ გდებით მხოლოდ ბელარუსი **მიკალაი დანილაუ** ვერ დაჯაბნა. მეტიც - დამატებითი დრო მხოლოდ მასთან დასჭირდა და აკი ყველაზე უხერხულ მეტოქედაც ის დაასახელა. თუმცა ეს დამატებითი დროც ღირდა საჭიდაოდ - მესამე პერიოდი 6:0 გადაურბინა.

აღსანიშნავია, რომ ქარჩავასაც სილაგაძე ავარჯიშებს, ოზურგეთში კი **თენგიზ მუჯირი** წვრთნიდა. ის ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული და ილეთსაც გრძნობს. თან, წონის კვალობაზე სწრაფია და არც მოქნილობა დაეწუნება. რაც მთავარია, ჭიდაობის ვაჟკაცური სტილით და შემტევი ხასიათით დაგვამახსოვრა თავი. თუ ასეთი შემართებით გააგრძელა, სულ მალე **რამაზ ნოზაძეს** სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

ჩემპიონები „მერსედეს-ბენცის" წარმომადგენელმა საქართველოში შპს „აკამ" და „კავკასიის ფონდმა" ფულადი პრემიებით დააჯილდოვა. საჩუქრები ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამაც გასცა და FILA-ს ოქროს მედლებით ამჯერად მსოფლიო ჩემპიონები - **მიხეილ სალაძე** და **თეიმურაზ აფხაზავა**, ვეტერანი მოჭიდავე **მერაბ ლუდუშაური** და ბერძენ-რომაელთა ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **ვლადიმერ ადეიშვილი** დააჯილდოვა. გუნდურ ჩათვლაში რუსებმა გაიმარჯვეს, მეორე თურქები იყვნენ, მესამე - აზერბაიჯანელები, ჩვენები კი მეოთხეზე გავიდნენ.

დღეს ევროპის ჩემპიონატში „თავისუფლები" ჩაებმებიან და დღესვე იჭიდავებს ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი იმედი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55). პირველ წრეში ის სლოვაკ **არგისტი კოსტანიანს** ეჭიდავება. დღესვე იასპარეზებენ **გოგა ხუჭუა** (66), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **გიორგი საკანდელიძე** (120). დღეს ბედმა მეტოქეებად სლოვაკები გვარგუნა - მარსაგიშვილი **მარტინ ჩირანკას** ხვდება, საკანდელიძე - **მარიან ჰუტნანს**. ძალიანაც კარგი - სლოვაკებს ძლიერი მოჭიდავეები არ უნდა ჰყავდეთ. რაც შეეხება ხუჭუას, ის პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი ბულგარელ **ივან დუბოლსკის** დაეჭიდება.

**ქვარცხლბექი**

**50 კგ.**

1. მინდია წულუკიძე (საქართველო)
2. ტოლგაჰან კარატასი (თურქეთი)
3. ნიკოლაუ ვიჩევი (ბულგარეთი)
3. ხურშუდ ბაბაშოვი (აზერბაიჯანი)

**60 კგ.**

1. ჰასან ალიევი (აზერბაიჯანი)
2. არჩილ თურმანიძე (საქართველო)
3. რაჰმან ბილიჩი (თურქეთი)
3. ვიშხან კაგერმანოვი (რუსეთი)

**74 კგ.**

1. ბილან ნალგიევი (რუსეთი)
2. ივაილო საიკოვი (ბულგარეთი)
3. რუსლან ოლეძსენკო (უკრაინა)
3. მეჰმეთალი კუცუკოსმანი (თურქეთი)

**96 კგ.**

1. ვლადიმერ ქარჩავა (საქართველო)
2. ალინ ალექსუსი (რუმინეთი)
3. საბუჰი ჰუმბატოვი (აზერბაიჯანი)
3. ცოსკუნ ეფე (გერმანია).

ირაკლი თავაძე



ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტორეპორტაჟი

## მილოცვები



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 45 წელს ულოცავს ვეტერან ფალავანს, თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს (1992) და მეორე პრიზიორს (1988), მსოფლიოს ხუთგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონს, სეოკ-ის ყოფილ პირველ ვიცე-პრეზიდენტს, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერს ლერი ხაბელოვს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 45 წელს ულოცავს თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და მეორე პრიზიორს, მსოფლიოს ხუთგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონს, მსოფლიო თასის მფლობელს, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულს, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილ პირველ მოადგილეს, ღირსების და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერს ლერი ხაბელოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი




მანუჩარ მარკოიშვილი

საქართველოს ნაკრები. შემადგენლობა. უკანა ხაზი

# ელისი თუ მარკოიშვილი? ცინცაძე თუ...

## საკალათბურთო ტრილოგია, ნაწილი პირველი

ეს ცენტრია, ის გამთამაშებელი, მძიმე და მსუბუქი ფორვარდები... ასეთი ფრაზები ხშირად წაგიკითხავთ. კალათბურთელთა ასე დახარისხება შეიძლება მწვრთნელების მოგონილია, მაგრამ ჟურნალისტების გავრცობილია. მასმედიელებს ძალიან გვიყვარს მოთამაშეთა ამპლუების მიხედვით დალაგება, არადა, დღეს კალათბურთი უნივარსალიზმისკენ მიისწრაფვის და ამპლუებად დანაწილებაც ერთგვარად პირობითი ამბავია.

მაგალითად, **მანუჩარ მარკოიშვილი** „კიევში" გამთამაშებლადაც თამაშობდა, მსროლელადაც და მსუბუქ ფორვარდადაც. **თორნიკე შენგელიაზე** ესპანელები წერენ – კარგი მსუბუქი თავდამსხმელია, მაგრამ მძიმე ფორვარდის ამპლუისთვისაც შესაბამისი მონაცემები აქვსო. თავად შენგელიამ კი გვითხრა – ზოგჯერ მსროლელად ვთამაშობო... **ნიკა ცქიტიშვილისა** და **ვიქტორ სანიკიძის** ამპლუებზე ნუღარ იკითხავთ – სადაც ბურთია, ისინიც იქ არიან.

დღეს საკალათბურთო „ტრილოგიის" პირველ ნაწილში საქართველოს ნაკრების უკანახაზელებზე ვაპირებთ საუბარს. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, შესაძლებელია ნაკრების მატჩებისას უკანახაზელის ფუნქციების შესრულება ფორვარდს დაევალოს, თუნდაც ვიქტორ სანიკიძეს... მასსა და სხვა თავდამსხმელებზე მომდევნო ნაწილში ვისაუბრებთ.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **იგორ კოკოშკოვმა** ივნისის ბოლოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა გამოაცხადა. უკანა ხაზის (გამთამაშებლები და მსროლელები) მოთამაშეთაგან გუნდში ექვსი კალათბურთელი მოხვდა: **ტაირონ ელისი, გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე, კოტე ტულუში,** მანუჩარ მარკოიშვილი და **ანატოლი ბოისა.**

### ნაკრებს მიღმა

ვიდრე ექვსეულის სანაკრებო როლზე ვისაუბრებდეთ, იმ კალათბურთელთა გვარები ჩამოვთვალოთ, რომელთა გამოძახებაც შეიძლებოდა, მაგრამ სიაში ვერ მოხვდნენ.

დავიწყოთ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებით. გუნდში ორი უკანახაზელი ლიდერია – **კოკა ტომარაძე** და **ბექა ნივნივაძე.** ბექა გამთამაშებელია, კოკა – მსროლელი. ორივე 1990 წელსაა დაბადებული. მათი არგამოძახება ნაკრების უკანა ხაზში არსებული კონკურენციითა და მათი ახალგაზრდული ასაკითაა გამოწვეული. ზემონახსენებ ექვსეულში მინიმალური ასაკი 23 წელია. არის კიდევ ერთი მოთამაშე, რომელმაც განვლილი სეზონი კარგად ჩაატარა - **ლაშა ფარლალავა.** იგი ამერიკის კოლეჯების ლიგაში „ჰავაის" ღირსებას იცავდა. იგი ნაკრებში შარშან იყო გამოძახებული, მაგრამ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს ჯერაც არ უნახავს. არადა, ამერიკაში ყველა ყველას იცნობს და ფარლალავას თამაშს თუ არ ნახავდა, შეიძლებოდა „ჰავაელთა" მწვრთნელისთვის ეკითხა აზრი...

2004-ში ეროვნული გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა ჭაბუკთა ნაკრების წევრი გიორგი ცინცაძე იყო. წლეულს, რომ არა სერიოზული კონკურენცია, იგორ კოკოშკოვს შეიძლება მსროლელი ბექა ჩიკვილაძისთვის დაეძახა, რომელიც 18-წლამდელთა ლიდერია – ისრაელთან 3 მატჩში 67 ქულა ჩააგდო.

ჩიკვილაძემ, ტომარაძემ, ნივნივაძემ და ფარლალავამ თუ პროფესიული ზრდა განაგრძეს, ნაკრების მწვრთნელმა გაისად მაინც უნდა შეხედოს.

### ექვსი ორი პოზიციისთვის

უკანა ხაზი გამთამაშებლებისგან და მსროლელებისგან შედგება. ბურთის გათამაშება ყველა კალათბურთელს შეუძლია, აკი ვთქვით, 197 სმ სიმაღლის მანუჩარ მარკოიშვილი „კიევში" ზოგჯერ პირველ ნომრად თამაშობდაო. თუმცა, ეროვნულ გუნდში მას ეს ფუნქცია არ დაეკისრება, რადგან ნაკრებში არიან გიორგი ცინცაძე, ტაირონ ელისი, ლაშა გამყრელიძე და კოტე ტულუში. სხვათა შორის, შარშან ელისსაც იშვიათად უწევდა ბურთის გათამაშება, რადგან კოკოშკოვის ხელში ბოლომდე გაიხსნა გიორგი ცინცაძე. სასტარტო პირველი ნომერი სწორედ ბუ არის. იგი 2008 წლის სექტემბერში 4 მატჩში საშუალოდ 29.5 წუთს თამაშობდა, 7 ქულას, 6.5 პასსა და 1.5 ჩაჭრას აგროვებდა. პასების მიხედვით გიორგი ცინცაძე ქვედა ეშელონში საუკეთესოა. ბუს უმეტესად ლაშა გამყრელიძე ცვლიდა, რომელიც ოთხ მატჩში მოედანზე საშუალოდ 17 წუთს ატარებდა, 3 ქულას და 1.3 პასს აგროვებდა.

კოტე ტულუშმა ოთხივე შეხვედრაში კი მიიღო მონაწილეობა, მაგრამ სათამაშოდ ძალიან ცოტა დრო ეძლეოდა: 4.5 წუთი.

ძნელი სათქმელია, მწვრთნელი წლეულს უკანა ხაზში რას შეცვლის, მაგრამ ერთი ფაქტია – ვიდრე არ დაილევა, გიორგი ცინცაძე მოედნიდან არ გავა. მას „ტარტუ როკში" წარმატებული სეზონი ჰქონდა: ბალტიის ლიგაში (23 მატჩში) 34.3 წუთში საშუალოდ 15.1 ქულას და 5.1 პასს ითვლიდა. სხვათა შორის, შედეგიანი გადაცემების საშუალო მაჩვენებლით იგი ბალტიის თასზეც საუკეთესო იყო. ესტონეთის ჩემპიონატში ბუს მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 30 თამაში, 10.5 ქულა, 4.2 პასი.




გიორგი ცინცაძე




ტაირონ ელისი

...და რაც მთავარია, ცინცაძე 2008-09 წლების სეზონის ესტონეთის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

ნაკრებში გიორგის შემცვლელი ლაშა გამყრელიძე კი საქართველოს ჩემპიონატის MVP გახდა. იგი 23 მატჩში, 26.9 წუთში 14.3 ქულას, 1.4 ჩაჭრას და 5.8 შედეგიან გადაცემას აკეთებდა. ლაშა სუპერლიგის საუკეთესო მეპასე გახდა.

გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა კოტე ტულუშმა, რომელიც „ენერჯიში" უმთავრესად მსროლელის ფუნქციებს ასრულებდა. მისი მონაგარი ასეთი იყო: 26.5 წუთი, 15 ქულა, 3.9 პასი, 5.3 მოხსნა, 1.5 ჩაჭრა.

მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვიც** სერიოზულად დაფიქრდება უკანა ხაზში ვინ შეუწყვილოს გიორგი ცინცაძეს. შარშან მსროლელად ტაირონ ელისი თამაშობდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ ტრავმის გამო განაცხადში არ იყო მანუჩარ მარკოიშვილი. მან კოჭი მოირჩინა და გასულ სეზონში უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელიც გახდა. არის ერთი ვარიანტი: ხუთეულში მსროლელად ელისი დადგეს, ხოლო მანუჩარმა მსუბუქი ფორვარდობა იკისროს. მაგრამ სად წავიყვანოთ დანარჩენი თავდამსხმელები, სანიკიძე, **ბოისა,** ცქიტიშვილი, **შენგელია?**

მართალია, ჩიხში შევედით, მაგრამ რაც უფრო გრძელი იქნება ჩიხი, მით უკეთესი – უნდა გვიხაროდეს, რომ გუნდში ისეთი კონკურენციაა, ბოლო წლებში რომ ვერც დაგვესიზმრებოდა.

მარკოიშვილი-ელისის საკითხსაც აქვს გადაწყვეტა: ერთი მატჩს სასტარტო შემადგენლობაში დაიწყებს, მეორე – სათადარიგოთა სკამიდან.

ისევე როგორც ცინცაძეს, მანუსაც საუკეთესო სეზონი ჰქონდა – უკრაინის ჩემპიონატში მართალია მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ როგორც ვთქვით, MVP–ს ჯილდო მიიღო. უკრაინის პირველობაზე მარკოიშვილი 29.5 წუთში (39 მატჩში) 12.5 ქულას, 3.2 მოხსნას, 2.7 პასსა და 1.4 ჩაჭრას აგროვებდა. ევროჩელენჯზე მანუჩარმა პირადად გაიყვანა გუნდი ნახევარფინალში – ჯგუფში „გალათასარაი" ჩატოვა. თუმცა, პლეი ოფში „კიევს" გამოცდილება აღარ ეყო და გზა მომავალ ჩემპიონ „შალონს" დაუთმო.

ევროჩელენჯზე მანუს მონაგარი ასეთი იყო: 13 მატჩი, 30.5 წუთი, 12.4 ქულა, 2.5 მოხსნა, 2.2 პასი, 1.2 ჩაჭრა.

როგორც ხედავთ, მანუჩარი სტაბილურად თამაშობდა როგორც ერთ, ასევე მეორე ტურნირში. მას თითქმის იდენტური მონაგარი ჰქონდა საქართველოს ნაკრებში ევრო-2007-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე: 27.5 წუთი, 12.6 ქულა, 2.6 მოხსნა, 1.5 პასი, 1 ჩაჭრა.

ტაირონ ელისი გასულ სექტემბერს საქართველოს ნაკრების მეორე სნაიპერი იყო. მეორე ნომერს სწორედ იმიტომ ჰქვია მსროლელი, რომ იგი გამთამაშებლისგან განსხვავებით თამაშის ორგანიზებისგან თავისუფალია და სროლისთვის ინახავს ენერგიას. ელისი 2008 წელს გამართულ ოთხ მატჩში საშუალოდ 32 წუთს თამაშობდა, 17.5 ქულას, 4 მოხსნას, 2.5 ჩაჭრასა და 2 პასს აგროვებდა.

მას საუკეთესო სეზონი ნამდვილად არ ჰქონია. „კახასოლმა" ესპანეთის ჩემპიონატშიც არადამაჯერებლად ითამაშა და ევროჩელენჯზეც. თუმცა, ელისის მონაგარი მაინც სტაბილური იყო. ესპანეთის ჩემპიონატში: 32 მატჩი, 27.3 წუთი, 11.3 ქულა, 2.5 მოხსნა, 1.7 პასი, 1.3 ჩაჭრა. ევროჩელენჯზე: 12 მატჩი, 25.2 წუთი, 8.8 ქულა, 2.2 პასი.

მსროლელის პოზიციაზეა ანატოლი ბოისაც, რომელიც ევრო-2007-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე ნაკრების სასტარტო ხუთეულის წევრი იყო. ტოლიკამ შარშანაც ოთხივე მატჩში მიიღო მონაწილეობა: 5.5 წუთი, 0.8 ქულა, 1.0 მოხსნა.

საქართველოს ნაკრების ფორვარდებზე მომდევნო კვირას გესაუბრებით.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი




ოქსანა კალაშნიკოვა

## კალაშნიკოვამ ნავსი გატეხა

18 წლის ოქსანა კალაშნიკოვა (276) პროფესიულ ჩოგბურთში მეორე სრულფასოვან სეზონს ატარებს, მისი პროგრესი კი აშკარაა - ოქსანა უკვე მესამე ასეულშია და წინსვლას განაგრძობს. იგი შესაშურ ფორმაშია. არადა, თავიდან თითქოს, ჩვენებურმა ალღო ვერ აუღო დიდებში თამაშს, ახალგაზრდულ ასპარეზზე მსოფლიოს მე-11 ჩოგნობამდე (2007 წლის სექტემბერი) აღზევებული კალაშნიკოვა პროფესიონალებში მხოლოდ წყვილებში ყოჩაღობდა. თუმცა დრომ, ნიჭმა და იმანაც, რომ ცაცია, 186 სმ სიმაღლის ჩოგბურთელის მონადინებამ თავისი გაიტანა. ორშაბათიდან ოქსანა საქართველოს მესამე ჩოგანიც გახდება...

კალაშნიკოვა პოლონეთის ქალაქ ტორუნის საერთაშორისო ტურნირ „ბელა კაპზე" (25 ათასი $) ასპარეზობს, სადაც მე-8 ნომრად არის განთესილი. ჩვენებური მერვედფინალში თანატოლ პოლონელს, **კატარჟინა პიტერს** (527) ხვდებოდა, რომელსაც აქამდე სამჯერ ეთამაშა და სამჯერვე დამარცხდა. ოქსანამ ნავსი გატეხა, თანაც პიტერს ისე მოუგო, ორ გეიმზე მეტი არ დაანება - 6:2, 6:0. მეოთხედფინალში კალაშნიკოვას მეტოქე ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი სლოვაკი **ლენკა ტვაროშკოვა** (217) იყო. ჩვენებური მცირე სენსაციის ავტორი გახდა, სლოვაკი მეტოქე 6:4, 6:4 დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. დღეს ოქსანა კალაშნიკოვა მე-6 ნომრად განთესილ სერბ **ბოჟანა იოვანოვსკის** (263) ეთამაშება. იოვანოვსკი და კალაშნიკოვა ერთხელ ახალგაზრდულ ასპარეზზე შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინ სერბმა ჩოგბურთელმა სამ სეტში იმარჯვა. კალაშნიკოვამ ტორუნში 24 სარეიტინგო ქულა უკვე გაინაღდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი

## საქა-რთველო მერვედფინალში დამარცხდა

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალში დაასრულა ასპარეზობა ქალთა შორის პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ.**

ჩვენი ფრენბურთელები ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, მე-4 ნომრად განთესილ **იუნგზი-ბრანაგის** ამერიკულ დუეტს დაუპირისპირდნენ და ორ სეტში დამარცხდნენ - 12:21, 14:21.

შედეგად საქა-რთველომ რეიტინგში 400 ქულა მიითვალა და საპრიზო ფონდიდან 11 ათასი ამერიკული დოლარი გამოიმუშავა.

მორიგ ტურნირში საქა-რთველო და **გეორ-გია** 6 ივლისიდან შვეიცარიის ქალაქ გშტაადში ჩაერთვებიან.

**ბესიკ ჯანგავაძე**




საქა-რთველო

ჭადრაკი

# ნინგბო და ნოვი სადისთვის



შემადგენლობა უცვლელია

წლეულს, საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრებები ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში იასპარეზებენ: 3-14 სექტემბერს ჩინური ნინგბო ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. მედლებისთვის იბრძოლებენ: **საქართველო, რუსეთი, უკრაინა, აშშ, პოლონეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ალჟირი, კუბა და სომხეთი.** ქალთა და ვაჟთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი კი 21-31 ოქტომბერს ნოვი სადში (სერბეთი) გაიმართება.

ზემოაღნიშნული ტურნირებისთვის ქართველი დიდოსტატები სპეციალური გეგმით მოემზადებიან.

გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის სხდომაზე ნაკრები გუნდების შემადგენლობები დამტკიცდა. ქალთა გუნდი, რომელმაც შარშან მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა მოიგო, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩა. ჩინეთში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ **მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი** და **სოფიკო ხუხაშვილი**. გუნდს ისევ დიდოსტატი **ნინო გურიელი** უკაპიტნებს. მწვრთნელებად **ზურაბ სტურუა** და **დავით არუთინიანი** დაამტკიცეს. შეგახსენებთ, რომ შარშან საჭადრაკო ოლიმპიადისთვის ქალთა ნაკრებს **თორნიკე სანიკიძე** წვრთნიდა, რომელმაც წლეულს თავად დაიბევა ადგილი ვაჟთა გუნდში და ევროპის ჩემპიონატისთვის **ბაადურ ჯობავასთან, მერაბ გაგუნაშვილთან, ლევან ფანცულაიასთან** და **მიხეილ მჭედლიშვილთან** ერთად მოემზადება **ხვიჩა სუპატაშვილის** ხელმძღვანელობით. გუნდს კაპიტნობას დიდოსტატი **თამაზ გიორგაძე** გაუწევს.

ვაჟა დანელია

მეზობლებთან

# ქართული დესანტის მონაგარი

ბურსაში დამთავრდა თურქეთის 2009 წლის საკლუბო ჩემპიონატი, რომელიც ორ ეტაპად გაიმართა. 29 ქულით პირველი-მეორე ადგილები, დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით, სასპორტო კლუბმა **„ტრუვა სანტრაჩმამა“** და **„ბეშიქთაშმა“** გაინაწილეს. გუნდებმა 14-14 მატჩი მოიგეს და მხოლოდ ერთმანეთს დაუზავდნენ.

საგულისხმოა, რომ თურქეთის საკლუბო ჩემპიონატში 19-მა ქართველმა მოჭადრაკემ იასპარეზა. გაცნობებთ მათს მონაგარს კლუბების მიხედვით: **„იეშილკოი სფორი“**: თორნიკე სანიკიძე — 11 ქულა (15 შეხვედრიდან); დავით არუთინიანი: 8,5(15), მაია ლომინეიშვილი 1,5(4); **„თურქ ჰავა იოლარი“**: მერაბ გაგუნაშვილი — 8(15), სალომე მელია — 9,5(14), მარიამ დანელია — 14(15); **„თარსის ზეკა სანტრაჩი“**: მიხეილ მჭედლიშვილი — 8,5(13), ანა მათანაძე — 6,5(9), ქეთი წანალაშვილი — 7,5(8); **„ერ-ბაკის სფორი“**: თამაზ გელაშვილი — 8(14), ლევან აროშიძე — 8,5(14), ნინო ხურციძე — 3,5(5), ნაზი პაიკიძე — 2,5(3). **„ბეშიქთაში“**: ლევან ფანცულაია — 10(13); **„ანტალია კალისფორი“**: კონსტანტინე შანავა — 5(7); **„ანტალია სატრანჩ ვე ბრისი“**: ბაჩანა მორჩიაშვილი — 9(15), **„ანტალია რამაზან სავაჩსფორი“**: ბელა ხოტენაშვილი — 10,5(15); სოფიო ტყეშელაშვილი — 9(15), **„პამუკალის უნივერსიტეტი“**: სოფიო გურამიშვილი — 4,5(6).

ვაჟა დანელია

პარლამენტის სპორტის კომიტეტში

# წინ, უკეთესობისკენ...

გუშინ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტში ამ კომიტეტის საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. საბჭო მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და ბავშვთა სპორტის საკითხს კიდევ ერთხელ დაუბრუნდა. როგორც ცნობილია, ჩვენი საზოგადოებისთვის პრობლემის მოგვარებაში, იუნისეფის ფინანსური მხარდაჭერით, ბრიტანელი ექსპერტებიც ჩაებნენ. უცხოელთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები ექსპერტების თბილისში სტუმრობისას ფართოდ განიხილეს ქართველ სპეციალისტებთან ერთად. მუშაობა დოკუმენტზე კვლავ გრძელდება. ახლა ღრმა ანალიზით კონცეფციის შემუშავება დგას დღის წესრიგში. დღე-დღეზე საბოლოოდ გადაწყდება, კვლავ იუნისეფის თანადგომით, 5-6 თვით ქართველ ექსპერტთა მოწვევა დოკუმენტზე სამუშაოდ.

სხდომაზე ზოგადად გაეცნენ აგრეთვე „სპორტის შესახებ საქართველოს“ კანონის ახალ რედაქციას, რომლის განხილვა წინა დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტშიც შედგა. საბჭოს წევრებმა ორი კვირის შემდეგ უნდა წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები კომიტეტში, რის შემდეგ კანონპროექტის ფართო განხილვა დაიწყება.

საბჭოს მუშაობას უძღვებოდა მისი თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე**. მანვე შეაჯამა სხდომის შედეგები.

თენგიზ თომაშვილი

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი

# ლელო ისევ დაუმარცხებელია

**უნივერსიტეტი–ლელო 10:38**

უნივერსიტეტი (15-9) ფერაძე (ჯინაშვილი 41), ხუციშვილი, ნუცუბიძე, მორჩაძე (ლუკა კილასონია 60), ნადარეიშვილი, ბაირამაშვილი (ჯიმუხაძე 55), ა.ზაზახიძე. (1-8) ქორიძე, გ.კაკოვინი, ვ.კაკოვინი, მასხარაშვილი (გ.სურგულაძე 44), დარასელია, ვ.ტუჩაშვილი, ლადო კილასონია (გ.ზაზახიძე 60), ჩილაჩავა.

*ლ: ლუკა კილასონია. გ: ნუცუბიძე. ს: ფერაძე*

სინბინი: ნადარეიშვილი.

ლელო (15-9) მჭედლიშვილი, ზაალიშვილი, კორკელია, მანჯავიძე, თოდუა (ფოფხაძე 50), ყიასაშვილი (ლამბაშიძე 48), ჭინჭარაული. (1-8) სანიკიძე (ცხოვრებაშვილი 46), ჭყონია, მირცხულავა, ჯალაღონია (ხორბალაძე 45), ვ. მაისურაძე, კოლელიშვილი (სარდანაშვილი 41), აზალაძე, იორდანიშვილი (მძინარიშვილი 41, კვერნაძე 67)

*4ლ: ზაალიშვილი (2), თოდუა, მირცხულავა. 3გ: ყიასაშვილი. 4ს: ყიასაშვილი, მჭედლიშვილი (3).*

სინბინი: კოლელიშვილი, კორკელია.

მსაჯი: უ. ნარიმანიძე

საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის „ლელომ“ ზედიზედ მეშვიდე შეხვედრა მოიგო და ისევ დაუმარცხებლად აგრძელებს ასპარეზობას. ამჯერად ლელოელებმა გათამაშების აუტსაიდერი „უნივერსიტეტი“ დაამარცხეს - 38:10.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში დასაწყისშივე უნივერსიტეტელმა **ირაკლი ფერაძემ** საჯარიმოდან გახსნა, მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობას „ლელო“ ფლობდა. მოწინააღმდეგის მიერ გატანილ საჯარიმოს ლელოელებმა მეხუთე წუთზე ულამაზესი კომბინაციით გატანილი ლელოთი უპასუხეს. მათ დერეფანი მეტოქის ათმეტრიან ხაზთან მოიგეს. მოლი შეკრეს და ოდნავ წინ წაიწიეს. მერე ცხრა ნომერმა **გიორგი ჭინჭარაულმა** ბურთი ათ ნომერ **ირაკლი ყიასაშვილს** მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაუტანა. ამან კიდევ უფრო მარცხნივ **ზურაბ ზაალიშვილს** გაატანა, რომელმაც მეტოქის ხაზი გაჭრა და კიდისკენ გარემარბ **ალექსანდრე თოდუას** გადააწოდა. ამ უკანასკნელის შეჩერება უნივერსიტეტელებმა ვერაფრით შეძლეს. გარდასახვა ყიასაშვილმა დაარტყა ზუსტად. რამდენიმე წუთში მანვე საჯარიმოც გაიტანა და „ლელო“ 10:3 დაწინაურდა.

21-ე წუთზე „ლელომ“ კიდევ ერთი გააზრებული კომბინაცია გაითამაშა. შერკინება „უნივერსიტეტის“ ოცდაორმეტრიანი ზონის მისადგომებთან დაინიშნა. იქიდან ბურთი ჭინჭარაულმა გამოიტანა და მოულოდნელად მარჯვენა, მოკლე ფრთაზე შეუტია. რამდენიმე მეტრი გაიარა და ბურთი ფეხით გარემარბ ზურა ზაალიშვილს შეუცურა. ამან მოწინააღმდეგის დაბნეულობით კარგად ისარგებლა, ერთ-ერთ უნივერსიტეტელს ბურთი ცხვირ წინ ააცალა და ლელოში შეხტა. ყიასაშვილმა ისევ გარდასახა - 17:3.

მესამე ლელო „უნივერსიტეტმა“ მოწინააღმდეგეს ორ წუთში სინით მიართვა. მათ დერეფანი მოედნის საკუთარ ნახევარზე მოიგეს და მარცხნივ, გრძელ ფრთაზე ხელდახელ ჩათამაშება სცადეს. აქ ლელოელი ზაალიშვილი გაისარჯა ყურადღებით, მან მეტოქის გადაცემა ჩაჭრა და ლელომდე 30 მეტრი ირბინა. ყიასაშვილი გარდასახვისას ისევ ზუსტი იყო - 24:3.

თამაში ფაქტობრივად მოგებული იყო. თუმცა ბრძოლა წამითაც არ შეჩერებულა. მეორე ტაიმში გუნდებმა თითო ლელო გაიტანეს. ამის გარდა „ლელომ“ კიდევ სამი საჯარიმო მიითვალა, რომელიც ფულ ბეკმა **უჩა მჭედლიშვილმა** გაიტანა და მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა - 38:10.

**X რაუნდი**

| | |
|---|---|
| აკადემია (თბ)-ვისოლი ყორჩები (თბ) | 19:18 |
| აია (ქუთ)-ლოკომოტივი (თბ) | 13:14 |

**4 ივლისი**

ბათუმი XV (ბთ) - ხარები (რუს)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 7 | 7 | 0 | 0 | +122 | 14 |
| 2.ლოკომოტივი | 7 | 6 | 0 | 1 | +28 | 12 |
| 3.აკადემია | 10 | 6 | 0 | 4 | -1 | 12 |
| 4.ვის.ყორჩები | 6 | 4 | 0 | 2 | +22 | 8 |
| 5. ბათუმი XV | 9 | 4 | 0 | 5 | -25 | 8 |
| 6.აია | 8 | 2 | 0 | 6 | +9 | 4 |
| 7.ხარები | 9 | 2 | 0 | 7 | -53 | 4 |
| 8.უნივერსიტეტი | 8 | 1 | 0 | 7 | -98 | 2 |

ბესიკ ჯანგავაძე

კონტინენტალური თამაშები

# ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალები: რა გზა გავიარეთ და რას მივაღწიეთ

19-24 ივლისს ფინურ ტამპერეში ევროპის ახალგაზრდობის X ოლიმპიური ფესტივალი ტარდება. ეს მასობრივი კონტინენტალური თამაშები სათავეს 1991 წლიდან იღებს და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახლანდელი პრეზიდენტის, ბელგიელი **ჟაკ როგეს** პირმშოა. როგე იმხანად ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციას ხელმძღვანელობდა და ევროპელი მოზარდებისთვის დიდი ოლიმპიადების ანალოგიური შეჯიბრების ჩატარების იდეა დაებადა. სიტყვა საქმედ მალევე აქცია და რაკი თანამემამულეს მშობლიური ბრიუსელის მერიაც მხარში დაუდგა, პირველი თამაშებიც იქ გაიმართა. თავიდან როგემ ზაფხულის თამაშებზე იზრუნა, თუმცა ეს ერთგვარი საჯილდაო ქვა იყო - იდეა თუ გაამართლებდა, მერე ზამთრის ფესტივალებზეც იფიქრებდა. იდეამ კი რაოდენ გაამართლა, უბრალო სტატისტიკიდანაც კარგად ჩანს - თუ ბრიუსელში 33 ქვეყნის 1491 ნორჩი ათლეტი მონაწილეობდა, ორი წლის შემდეგ ჰოლანდიურ ვალკენსვაარდში უკვე 43 ქვეყნის 1587 სპორტსმენი გამოდიოდა. მოგვიანებით ეს მაჩვენებლები უმნიშვნელოდ მერყეობდა, მაგრამ უმეტესად - ზრდის ტენდენციით, რეკორდული კი ჯერჯერობით ბოლო ფესტივალი გამოდგა - 2007 წელს - ბელგრადში 49 ქვეყნის 3000 ათლეტი ასპარეზობდა. მონაწილეთა რაოდენობა ამდენივე იყო ბელგრადის წინ - იტალიურ ლინიანოშიც, მაგრამ იქ ერთით ნაკლები ქვეყანა გამოდიოდა.

მოკლედ, ასეთი მასშტაბურობის პირობებში ზამთრის ფესტივალის დაარსება მოსალოდნელიც იყო. დიდხანს არც როგმა გვალოდინა - 1993 წლიდან ისიც ტარდება. ევროპაში როგის იდეა იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში გადაბარგებულმა ბელგიელმა თან წაიღო და გაისად სინგაპური მსოფლიო ახალგაზრდულ პირველ ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს.

საქართველოსთვის ამ ტურნირის ათვლა 1993 წლიდან, ანუ მეორე ფესტივალიდან იწყება. სამწუხაროდ, ბრიუსელში გამართულ I ფესტივალში ჩვენი დელეგაცია არ მონაწილეობდა - სამოქალაქო ომით დაზაფრულ, დამშეულ და ჩაბნელებულ ქვეყანას მაღალი იდეალებისთვის არ ეცალა. მდგომარეობა დიდად დალაგებული იქნებ არც 1993 წელს ყოფილა, თუმცა საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მარაქაში გასარევად სახსრები როგორლაც მოიძია და ვალკენსვაარდში დიდი წვალებით მაინც ჩავიდა. ჩვენები იქ საკმაოდ სოლიდური დელეგაციით წარდგნენ - 59 ათლეტი სპორტის 7 სახეობაში. ამ ფესტივალის ისტორიაში, ეს ჩვენი ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაცია იყო, თუმცა შედეგი მეტად მოკრძალებული გამოდგა - თითო ვერცხლი და ბრინჯაო. ორივე მედალი ძიუდოისტთა ანგარიშზეა - ვერცხლი **ივერი ჯიქურაულმა** მოიპოვა, ბრინჯაო - **ლევან ციგრიაშვილმა**.

ჩვენებურთა წარმატებებში ძიუდოისტებს ლომის წილი უდევთ. ამ ფესტივალში სულ 41 მედალია მოპოვებული და აქედან 35 ძიუდოისტების მონაგარია. ამ 41 მედლიდან 14 ოქროა, 11 - ვერცხლი და 16 - ბრინჯაო. ძიუდოისტების უპირატესობა ცალკეული ხარისხის მედლებშიც აშკარაა - 10 ოქრო, 10 ვერცხლი და 15 ბრინჯაო. ძიუდოისტებისთვის განსაკუთრებულად წარმატებული 2001 წელს მურსიაში გამართული VI ფესტივალი გამოდგა, სადაც გუნდმა 4 ოქრო და 1 ბრინჯაო მოიპოვა. იმ უძლიერეს გუნდს **გურამ მოდებაძე** წვრთნიდა, რადგან ნაკრების უმრავლესობა მისი შეგირდი იყო, ჩემპიონები კი **ლაშა გუჯეჯიანი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, მინდია ხომიზური** და მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი, როგორც მერე გაირკვა, უკვე მაშინვე საბერძნეთში გასაქცევად გამზადებული **ჯარჯი ზვიადაური** გახდნენ (ამ თვითნაბადმა ტალანტმა პირველად სწორედ იქ დაიქუხა), მესამეზე კი **თედორე აბელაშვილი** გავიდა (დღეს ისიც საბერძნეთის სახელით ჭიდაობს).

გასაგებია, რომ ძიუდოისტების ფონზე სხვა სახეობები დაჩრდილულია - მათ წილად 4 ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაო მოდის. ოქროს მედლები სულ ოთხ სახეობაში მოვიპოვეთ - ძიუდოში, ფეხბურთში, მძლეოსნობასა და ჩოგბურთში. ფეხბურთელები ორჯერ გახდნენ ჩემპიონები - 1997 წელს ლისაბონში და 2005-ში იტალიურ ლინიანოში. 2007-ში ბელგრადში ჩოგბურთელებმა **ეკატერინე გორგოძემ** და **გიორგი ხმიადაშვილმა** შერეულ წყვილთა ტურნირი მოიგეს, მანამდე კი - 2003-ში, პარიზში მძლეოსანმა **მამუკა ტულუშმა** ბირთვი ყველაზე შორს გადააგდო. იმ გამარჯვებას გამოცხადებული ჩემპიონობის ქრონიკაც შეიძლება ვუწოდოთ - ტულუშის იმდროინდელი შედეგები იმდენად აღემატებოდა სხვებისას, მის წარმატებაში ეჭვი არავის ეპარებოდა და მართლაც ძალზე დიდი უპირატესობით გაუსწრო სხვებს.

ეკატერინე გორგოძის მონაგარია ის მეთერთმეტე ვერცხლი, რაც ძიუდოისტებს „მორჩათ“, ხოლო ასევე „მორჩენილი“ მეთექვსმეტე ბრინჯაო მძლეოსან **ზურაბ გიგაიას** ჯილდოა, რომელიც მურსიაში მოიპოვა.

ორიოდე სიტყვით ზამთრის ფესტივალზეც ვთქვათ, სადაც სალაპარაკო არც ისე ბევრია - მასში ჩვენები პირველად 1995 წელს ანდორაში გამოვიდნენ და მას შემდეგ კიდევ რამდენიმე ფესტივალში იასპარეზეს, მონაპოვარი კი ერთადერთი ვერცხლია, რომელიც მოციგურავე **ვახტანგ მურვანიძემ** მოიპოვა.

ტამპერეში გასამგზავრებელი საქართველოს დელეგაციის შესახებ “ლელოს” ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ.

ირაკლი თავაძე

თარიღი

ხსოვნა



# კლდის ვეფხვი

40 წლის წინათ, 1969 წლის 4 ივლისს, სუ-ალტოს მწვარვალზე (დოლომიტები, იტალია) დაიღუპა **მიხეილ ხერგიანი** (დაიბადა 1943, დაბა მესტია); ალპინისტებმა დაკარგეს კაცი-საოცრება; მ. ხერგიანი იყო სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ალპინიზმში სსრკ სამგზის (1955, 1956, 1964) და მეკლდეურობაში პროფკავშირების საკავშირო შეჯიბრებისა და სსრკ ჩემპიონატების შვიდგზის (1952, 1960, 1962, 1964, 1965(აბსოლუტური), 1966, 1967) ჩემპიონი. გამოირჩეოდა მთაზე ასვლისა და კლდეზე ცოცვის უბადლო ოსტატობით. ინგლისში მიანიჭეს კლდის ვეფხვის წოდება (1960). მ. ხერგიანის მთაში სამაშველო მუშაობის შედეგად გადარჩენილია მრავალი ადამიანი. მისი სახელის უკვდავსაყოფად 1983 წელს მესტიაში გაიხსნა მ. ხერგიანის მემორიალური მუზეუმი. 1976-დან გაგრის მახლობლად ყოველწლიურად ტარდებოდა ხერგიანის მემორიალი მეკლდეურობაში. 1969 წ. თურქესტანის ქედზე 4960 მ სიმაღლის მწვერვალს მისი სახელი ეწოდა. 1971 წ. მეკლდეურობაში საკავშირო შეჯიბრებაზე დაწესდა მ. ხერგიანის პრიზი.



ჩოგბურთი. უიმბლდონი 2009

# მესამედ: ფედერერი–როდიკი

უიმბლდონის ხუთგზის ტრიუმფატორი **როჯერ ფედერერი** მეოცედ გავიდა „დიდი სლემის" ტურნირების ფინალში. გუშინ, 27 წლის შვეიცარიელმა მოლოდინისამებრ იოლად დაამარცხა გერმანელი **ტომი ჰაასი.**

ჰაასის გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ განმეორდებოდა წლევანდელი როლან გაროსის ისტორია, როცა მესამე წრეში გერმანელმა მოახერხა ფედერერისთვის ორი სეტის მოგება და სულ ცოტა დააკლდა შვეიცარიელს დასამარცხებლად. მაგრამ ის თიხნარი იყო, ფედერერი კი ბალახის მეფეა და ჰაასს ორმაგად უნდა მოენდომებინა ფინალის საგზურის მოსაპოვებლად.

გერმანელი სეტნახევარი უმკლავდებოდა მეტოქეს. პირველმა სეტმა ისე ჩაიარა, რომ არც ერთ ჩოგბურთელს ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია. პარტიის ბედი ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა. აქ კი როჯერი კორტის სრული ბატონ-პატრონი და შემოკლებულ გეიმში მხოლოდ სამი ქულა დაუთმო მოწინააღმდეგეს.

მეორე სეტის მეათე გეიმამდე თამაშის სურათი არ შეცვლილა. და მხოლოდ 5:4-ზე ფედერერმა მატჩში პირველი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, რომელიც ამასთან სეტ-პოინტიც იყო. გერმანელმა ეს საფრთხე კი მოიგერია, მაგრამ 5:6-ზე პარტიის გადარჩენა ვერ შეძლო და ფედერერი მატჩში სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა.

მესამე პარტიაში და მთლიანად მატჩში კვანძი მე-8 გეიმში გაიხსნა. როჯერმა ოთხი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და მხოლოდ მეხუთე ცდაზე შეძლო მეორედ მეტოქის გეიმის აღება. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. გუშინ, ჰაასს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია და ეს შანსი როჯერს მისთვის არც ბოლო გეიმში მიუცია. სხვათა შორის, ფედერერმა ზედიზედ მე-18 მატჩის მოგება მოახერხა. ეს სერია მადრიდის მასტერსიდან იღებს სათავეს და უიმბლდონის ფინალამდე მიაღწია. შვეიცარიელი ზედიზედ მეშვიდედ გავიდა ამ ტურნირის ფინალში.

როჯერი კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა „დიდი სლემის" სარეკორდო მე-15 ტიტულს და კარიერაში საიუბილეო მე-60 გამარჯვებას. მომავალ ფინალში წარმატებას ფედერერისთვის იმ მხრივადაც აქვს მნიშვნელობა, რომ ის პირველი ჩოგნის სტატუსს ჩამოართმევს ესპანელ **რაფაელ ნადალს.**

მეორე ნახევარფინალში თითქმის თანაბარი ძალის ჩოგბურთელები ხვდებოდნენ ერთმანეთს. **ენდი როდიკისა** და **ენდი მიურეის** მატჩში დაძაბულ დაპირისპირებას ელოდნენ. ბრიტანელ ჩოგბურთელს ადგილობრივი პუბლიკის მხარდაჭერა უმაგრებდა ზურგს, როდიკს კი გამოცდილება, რომელიც ამ მატჩში გადამწყვეტ ფაქტორად იქცა.

პირველ ორ სეტში ჩოგბურთელებმა ბრეიკები გაცვალეს და ერთნაირი ანგარიშით მოიგეს პარტიები - 6:4.

მესამე სეტი ამერიკელ ჩოგბურთელს იოლად უნდა მოეგო. ის 5:2 დაწინაურდა და როცა სეტზე აწვდიდა, მიურეის ბრეიკის შესრულების შანსი მისცა და ბრიტანელმა სიტუაცია გამოასწორა. დაინიშნა პირველი ტაი-ბრეიკი, სადაც ასევე დაძაბული ბრძოლა იყო იქამდე, სანამ მიურეის თავის მოწოდებაზე ჩოგნიდან ბურთი არ აეჭრა და როდიკს სეტ-პოინტი არ აჩუქა, რაც ამერიკელმა კარგად გამოიყენა და ისევ წინ გავიდა.

მეოთხე პარტიაში ერთადერთი ბრეიკ-პოინტი მიურეის ჰქონდა, რომელიც ბრიტანელმა ვერ გამოიყენა. ისევ ტაი-ბრეიკი დაინიშნა. როდიკი იოლად იგებდა თავის მოწოდებებს, მიურეი კი აშკარად წვალობდა და შედეგად, ამერიკელმა ორი მატჩ-პოინტი მიიღო. პირველი ვერ გამოიყენა, მეორეში კი ბრიტანელმა ზედმეტად ფრთხილად ითამაშა და მატჩის გადარჩენა ველარ მოახერხა.

როდიკი მესამედ გავიდა უიმბლდონის ფინალში. წინა ორ შემთხვევაში ის ფედერერთან აგებდა გადამწყვეტ მატჩს და ახლა რევანშის შანსი მიეცა. ისე კი როჯერს მეტოქედ, ალბათ, ამერიკელი ერჩივნა, რადგან მასთან ურთიერთშეხვედრებში 18:2-ს იგებს, იმ დროს, როცა მიურეისთან დაპირისპირებაში სოლიდური ანგარიშით - 2:6 აგებს.

**კაცები**

**1/2 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ტომი ჰაასი (გერ, 24) 7:6(3), 7:5, 6:3; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 3) 6:4, 4:6, 7:6(7), 7:6(5).

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 2009

# ალბერტო, ლენსი თუ?

**ეტაპების განრიგი**

4 ივლისი - I ეტაპი. მონაკო-მონაკო (ინდივიდუალური). 15,5 კმ
5 ივლისი - II ეტაპი. მონაკო-ბრინიოლესი. 187 კმ
6 ივლისი - III ეტაპი. მარსელი-ლა გრან-მოტე. 196,5 კმ
7 ივლისი - IV ეტაპი. მონპელიე-მონპელიე (გუნდური). 39 კმ
8 ივლისი - V ეტაპი. ლე კაპ დ'აჟდ-პერპინიანი. 196,5 კმ
9 ივლისი - VI ეტაპი. ჟერონა-ბარსელონა (ესპანეთი). 181,5 კმ
10 ივლისი - VII ეტაპი. ბარსელონა-ანდორა არკალისი (ანდორა). 224 კმ
11 ივლისი - VIII ეტაპი. ანდორა-ლა-ველია (ანდორა)-სენტ დირონი. 176,5 კმ
12 ივლისი - IX ეტაპი. სენ გოდენი-ტარბი. 160,5 კმ
13 ივლისი - დასვენების დღე
14 ივლისი - X ეტაპი. ლიმოჟი-ისუდანი. 194,5 კმ
15 ივლისი - XI ეტაპი. ვატანი-სან ფარგო. 192 კმ
16 ივლისი - XII ეტაპი. ტონერი-ვიტელი. 211,5 კმ
17 ივლისი - XIII ეტაპი. ვიტელი-კოლმარი. 200 კმ
18 ივლისი - XIV ეტაპი. კოლმარი-ბეზანსონი. 199 კმ
19 ივლისი - XV ეტაპი. პონტალიერი-ვერბიე (შვეიცარია). 207,5 კმ
20 ივლისი - დასვენების დღე
21 ივლისი - XVI ეტაპი. მარტინი (შვეიცარია)-ბურ სანტ მორისი. 159 კმ
22 ივლისი - XVII ეტაპი. ბურ სანტ მორისი-ლე გრან ბორნანი. 169,5 კმ
23 ივლისი - XVIII ეტაპი. ანესი-ანესი (ინდივიდუალური). 40,5 კმ
24 ივლისი - XXIX ეტაპი. ბურჟო დოლიე-ობენასი. 178 კმ
25 ივლისი - XX ეტაპი. მონტელიმარი-მონ ვენტო. 167 კმ
26 ივლისი - XXI ეტაპი. მონტრე-პარიზი. 164 კმ

დღეს იწყება ამ სეზონის მთავარი ველომოვლენა - მონაკოში გაიმართება ტურ დე ფრანსის პირველი ეტაპი. გთავაზობთ წლევანდელი ტურის განრიგსა და იმ ველომრბოლთა სიას, რომელთაგანაც ექსპერტები ყველაზე მეტად ელიან გამარჯვებას.

## ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა)

მას შემდეგ, რაც **ლენს არმსტრონგმა** რამდენიმე წლის წინ კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, სწორედ **კონტადორს** მიიჩნევდნენ მის მთავარ მემკვიდრედ. შემთხვევითი არ არის, რომ ალბერტომ ტურ დე ფრანსზე ჯერჯერობით ერთადერთი გამარჯვება იმ გუნდის რიგებში მოიპოვა, რომელშიც არმსტრონგი ბრწყინავდა. შესაძლოა, ესპანელს ახლა ორი გამარჯვებაც ჰქონოდა, მაგრამ დოპინგსკანდალების გამო, შარშან, კონტადორის გუნდი „ასტანა" ფრანგულ ველომარათონზე არ დაუშვეს.

დღეს ის კვლავ ფავორიტია, მაგრამ უდავო არა. ესპანელი ამ სეზონში უკვე რამდენჯერმე დაამარცხეს, რაც ადრე იშვიათად ხდებოდა. მეორეს მხრივ, ტურ დე ფრანსი განსაკუთრებული რბოლაა და მისთვის საგანგებოდ ემზადებიან, მათ შორის ალბერტოც. რა თქმა უნდა, კონტადორი საუკეთესო გუნდში ირიცხება, მაგრამ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, „ასტანას" ყველა წევრი მოისურვებს თუ არა ესპანელის დახმარებას. მართალია, ყაზახური საჯინიბოს მენეჯერი **იოჰან ბრიუნელი** ამტკიცებს, რომ ესპანელი გუნდის პირველი ნომერია, მაგრამ ბევრს ესმის, რომ „ასტანადან" სხვებიც იბრძოლებენ პირველობისთვის, მაგალითად **ლენს არმსტრონგი.**

## დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი)

ჯირო დ'იტალიას წლევანდელ ჩემპიონს წინა ტურებში ჩავარდნები ახასიათებდა, რის გამოც ის ცალკეულ ეტაპებზე ბევრ დროს კარგავდა. მაგრამ ჯირომ აჩვენა, რომ რუსმა ველომრბოლმა სტაბილურობა შეიძინა, გარდა ამისა, ძალზედ მოუმატა დროზე ინდივიდუალურ რბოლებში. პირველად ბოლო წლების განმავლობაში, ჰოლანდიურმა „რაბობანკმა" თავისი კაპიტნისთვის ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა, რომელსაც შეუძლია გუნდურ რბოლაშიც მიაღწიოს წარმატებას და თავისი ლიდერი **მენშოვი** მთებშიც დააზღვიოს. „ნარინჯისფერთა" განაცხადში ისეთი ვარსკვლავები შედიან, როგორებიც არიან **რობერტ ჰესინკი, ხუან მანუელ გარატე, ხუან ანტონიო ფლეჩა** და აგრეთვე მთის ოსტატები - **ლოურენს ტენ დამი, სტეფ კლემენტი...**

## კეიდელ ევანსი (ავსტრალია, საილენს-ლოტო)

„მუდმივად მეორე" ავსტრალიელი სამი წელი ცდილობს ტურ დე ფრანსზე გამარჯვებას, მაგრამ ნავსის გატეხვას ვერ ახერხებს. სულ მცირედი იღბალი არ ჰყოფნის, რადგან ბოლო ორი წელია გამარჯვებულთან წუთზე ნაკლებს აგებს.

ტრადიციისამებრ, **ევანსს** ამჯერადაც ტურის ფავორიტებს შორის მოიხსენიებენ, მაგრამ ამავდროულად, ეჭვი ეპარებათ მის საბოლოო გამარჯვებაში. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული გუნდურ რბოლაზე, არადა, გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ევანსის მთავარი დამხმარე **ტომას დეკერი**, დოპინგის მიღების გამო დისკვალიფიკაციით დაისაჯა. არადა, ეს ჰოლანდიელი მთაში უნდა დახმარებოდა ევანსს და თან ინდივიდუალურ რბოლაშიც ძალიან ძლიერია. ასე რომ, ღირსეული დამხმარეებიდან ავსტრალიელს მხოლოდ **იურგენ ფან დენ ბრუკი** შერჩა.

## კარლოს სასტრე (ესპანეთი, ჩერველო)

გვერდს ვერ ავუვლით ფრანგული ტურის შარშანდელ გამარჯვებულს. **სასტრეს** ტრიუმფი მოულოდნელი იყო. ეს ველომრბოლი დიდი ხანი **ბასოს** ჩრდილში იყო მოქცეული, ვუელტაზე **ერასი** უშლიდა ხელს... მაგრამ 2008 წლის ტურზე კარლოსმა ალპ-დ'იუეზზე გიჟური გაქცევით მოიგო მთელი რბოლა. წელს მას ასე გაქცევის საშუალებას არ მისცემენ. კარლოსი სუსტია ინდივიდუალურ რბოლებში, თან ზამთარში გუნდიც შეიცვალა. თუმცა ძლიერი ასისტენტები ჰყავს - აქ არიან **ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე, ინიგო კუესტა** და კარლოსის საუკეთესო მეგობარი, მთაში რბოლის ოსტატი უკრაინელი **ვლადიმირ გუსტოვი.** გუნდური რბოლისთვის საკმაოდ კარგი ანსამბლია და ბევრი რამ თავად სასტრეზე იქნება დამოკიდებული.




## ფრენკ შლეკი/ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, საქსობანკი)

როგორც იქნა, ძმები ტურზე კაპიტნის სტატუსით ჩადიან. წესით, მთავარი მოქმედი პირი უფროსი - **ფრენკი** უნდა გახდეს. მაგრამ ბოლო დროს, მას არ უმართლებს - ტრავმები, წაქცევები... ძნელი სათქმელია, რა ფორმაში იქნება ფრენკი, მისი უმცროსი ძმა კი კარგად გამოიყურება და სხვათა შორის, ძმისგან განსხვავებით, გრანდ-ტურის პრიზიორიც იყო. თუმცა ეს არა ტურზე, არამედ ჯიროზე მოხდა. საერთო ჯამში, ისინი თანაბარი ძალის ველომრბოლლები არიან და სამეულში მოხვედრის კარგი შანსი აქვთ. **ინეს ფოხტის, ფაბიან კანჩელარას, გუსტავ ლარსონის, კრის ანკერ სიორენსენისა** და **ნიკი სიორენსენის** სახით კარგი მხარდაჭერა ექნებათ გარანტირებული. ასე რომ, პარტნიორების გამო წუწუნს ძმებისგან არავინ გაიზიარებს.

## ლენს არმსტრონგი (აშშ, ასტანა)

რთული სათქმელია, რას უნდა ველოდეთ ლეგენდარული ტეხასელისგან. თავიდანვე გამოცხადებულია, რომ ის ამ ტურზე კონდატორს დაეხმარება. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი ამბიციური ადამიანი ვილაცის პოზიციების გამაგრებაზე იზრუნებს. ჯიროს ბოლო ეტაპებმა დაგვანახვეს, რომ ლენსი ფორმაში შედიოდა და საჭირო კონდიციებს კრეფდა. ამერიკელს დამატებით ერთი თვე ჰქონდა მოსამზადებლად, ასე რომ, მისგან რაღაც „საშიშს" უნდა ველოდოთ! ისე კი თუ ლენსმა წელსაც მოიგო, მისმა ყველა მოწინააღმდეგემ უნდა დაანებოს თავი ველოსპორტს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი




# რონი და კობი ერთად იქნებიან

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი ხმაურიანი ტრანსფერი განხორციელდა. „ჰიუსტონ როკეტსის" ერთ-ერთი ლიდერი **რონ არტესტი** „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" სამწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა - NBA-ის ერთ-ერთი მთავარი ჩხუბისთავი და სკანდალისტი მომავალ სამ სეზონში 18 მილიონ დოლარს მიიღებს. ამის შესახებ სააგენტო AP-ის ფორვარდის აგენტმა **დევიდ ბაუმანმა** შეატყობინა, რომელმაც იქვე დაამატა, რომ გარიგების დეტალები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

29 წლის არტესტმა ასეთი კომენტარი მისცა თავის გადაწყვეტილებას: *„მთელი კარიერის განმავლობაში NBA-ში ფულს ვშოულობდი, შემდეგ ვკარგავდი. მაგალითად, 2006 წელს, ჩხუბის გამო დისკვალიფიკაცია მომცეს. ფულისთვის აღარ ვითამაშებ. ახლა კობის პარტნიორი ვიქნები და ჩვენ შორის არანაირი ჩხუბი აღარ იქნება, რადგან ერთი კლუბის ოქროსფერი მაისურები გვეცმება".*

*„რონს საჩემპიონო ბეჭედი სურს. ის პოტენციური ჩემპიონია და ამის რეალობად ქცევისთვის ბევრს იმუშავებს. არტესტი ახალ გუნდში აუცილებლად დაჯილდოვდება თავისი გულმოდგინე შრომისთვის"*, - აცხადებს დევიდ ბაუმანი.

არტესტმა „როკეტსის" შემადგენლობაში ერთი სეზონი გაატარა: რეგულარული ჩემპიონატის 69 მატჩში მისი მონაგარი 17.1 ქულა, 5.2 მოხსნა და 3.3 პასი იყო.

■ ■ ■

გაირკვა „ლეიკერსის" თავისუფალი აგენტის **ტრევორ არიზას** ბედიც. „ჰიუსტონის" გენერალურმა მენეჯერმა **დერილ მორიმ** რონ არტესტის კალიფორნიაში გადასვლას არიზასთან შეთანხმებით უპასუხა. მხარეებმა უკვე მოილაპარაკეს მომავალი კონტრაქტის შესახებ. „როკეტსის" წარმომადგენლებისა და არიზას შეხვედრა ლას ვეგასში გაიმართა.

სავარაუდოდ, არიზა 8 ივლისს გააფორმებს „ჰიუსტონთან" ხუთწლიან ხელშეკრულებას, რომლის ღირებულებაც 33.5 მილიონი დოლარი იქნება.

ტრევორ არიზა გასული პლეი ოფის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა „ლეიკერსის" გაჩემპიონებაში. პლეი ოფში ფორვარდის საშუალო სტატისტიკა 11.3 ქულას, 4.2 მოხსნას, 2.3 პასსა და 1.6 ჩაჭრას უდრიდა. არიზა 49.7-პროცენტიანი სიზუსტით ესროდა თამაშიდან და სამქულიანების 47.6 პროცენტს იყენებდა.

# პოლონელი ცენტრი დალასს დარჩა

გუშინ NBA-ში კიდევ ერთი გარიგება შედგა. „ორლანდო მეჯიქის" შეზღუდული თავისუფალი აგენტი **მარსინ გორტატი** „დალასს" კონტრაქტის გაფორმებაზე მოელაპარაკა. ტეხასურმა კლუბმა პოლონელ ცენტრს ხუთწლიანი ხელშეკრულება შესთავაზა, რომელიც ევროპელ ლეგიონერს დაახლოებით 30 მილიონ დოლარს მოუტანს.

ლიგაში არსებული წესის თანახმად, თუ „ორლანდო" იმავე წინადადებით მიმართავს გორტატს, ცენტრის შენარჩუნებას შეძლებს, მაგრამ სავარაუდოდ, „მეჯიქის" შეფობა ამის გაკეთებას არ აპირებს.

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ პოლონელის შეძენით „ჰიუსტონი" იყო დაინტერესებული, რომელიც ტრავმირებული **იაო მინის** შემცვლელს ეძებს, მაგრამ გორტატმა „დალასში" გადასვლა არჩია.

■ ■ ■

თავისუფალმა აგენტმა **რაშიდ უოლასმა**, რომელმაც ბოლო ხუთი სეზონი „დეტროიტ პისტონსში" ითამაშა, „ბოსტონ სელტიქსის" წარმომადგენლებთან გამართა მოლაპარაკებები. კლუბის მფლობელი **ვიკ გრუბსეკი**, პრეზიდენტი **დენი ეინჯი**, მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი**, აგრეთვე მოთამაშეები **კევინ გარნეტი**, **პოლ პირსი** და **რეი ალენი** სამი საათის განმავლობაში ხვდებოდნენ უოლასს.

შეხვედრის შემდეგ უოლასმა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ იჩქარა, რადგან ადრე გააფრთხილა ყველა კლუბი, რომ ნაჩქარევ ნაბიჯს არ გადადგამდა.

■ ■ ■

„პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" ფორვარდმა **რუდი ფერნანდესმა** კლუბის დატოვება და ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ „პორტლენდის" ხელმძღვანელობა თავისუფალ აგენტ **ჰედო თურქოგლუსთან** აპირებს კონტრაქტის გაფორმებას, რის გამოც ესპანელის სათამაშო დრო შესამჩნევად მოიკლებს. გარდა ამისა, ფერნანდესს მიაჩნია, რომ ევროპის წამყვანი კლუბები მას წლიური ხელფასის სახით 5 მილიონს გადაუხდიან, იმ დროს, როცა რუდი მომავალ წელს „პორტლენდში" 1.1 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

იმ ევროპულ გუნდებს შორის, რომლებიც ფერნანდესით არიან დაინტერესებული, „ოლიმპიაკოსი", „რეალი" და „ბარსელონა" შედიან. ესპანელმა NBA-ში თავისი პირველი სეზონი 10.2 ქულით, 2.7 მოხსნითა და 2.0 პასით დაასრულა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## NBA-ის ყველა ტრანსფერი

| მოთამაშე | ყოფილი კლუბი | ახალი კლუბი |
|---|---|---|
| ვინს კარტერი | ნიუ ჯერსი | ორლანდო |
| რონ არტესტი | ჰიუსტონი | ლეიკერსი |
| ტრევორ არიზა | ლეიკერსი | ჰიუსტონი |
| ბენ გორდონი | ჩიკაგო | დეტროიტი |
| ჩარლი ვილანუევა | მილუოკი | დეტროიტი |
| შაკილ ო'ნილი | ფინიქსი | კლივლენდი |
| ბენ უოლასი | კლივლენდი | ფინიქსი |
| რიჩარდ ჯეფერსონი | მილუოკი | სან ანტონიო |
| ჯამალ კროუფორდი | გოლ. სტეიტი | ატლანტა |
| რაფერ ელსტონი | ორლანდო | ნიუ ჯერსი |
| ტონი ბეტი | ორლანდო | ნიუ ჯერსი |
| კორტნი ლი | ორლანდო | ნიუ ჯერსი |
| დარკო მილიჩიჩი | მემფისი | ნიუ იორკი |
| ჯეისონ კაპონო | ტორონტო | ფილადელფია |
| რეჯი ევანსი | ფილადელფია | ტორონტო |
| საშა პავლოვიჩი | კლივლენდი | ფინიქსი |
| ფაბრისიო ობერტო | მილუოკი | დეტროიტი |
| ბრიუს ბოუენი | სან ანტონიო | მილუოკი |
| კურტ ტომასი | სან ანტონიო | მილუოკი |
| ეისი ლოუ | ატლანტა | გოლ. სტეიტი |
| სპიდი კლექსტონი | ატლანტა | გოლ. სტეიტი |
| მაიკ მილერი | მინესოტა | ვაშინგტონი |
| რენდი ფოიე | მინესოტა | ვაშინგტონი |
| ეთან ტომასი | ვაშინგტონი | მინესოტა |
| დარიუს სონგაილა | ვაშინგტონი | მინესოტა |
| ოლექსეი პეჩეროვი | ვაშინგტონი | მინესოტა |
| კვენტინ რიჩარდსონი | ნიუ იორკი | მემფისი |
| სერხიო როდრიგესი | პორტლენდი | საკრამენტო |

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ირლანდია** | |
| ბრეი-ბოჰემიანსი | 1:3 |
| დანდალკი-დერი | 1:0 |
| გალვეი-კორკი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| უექსფორდი-ეთლონი | 1:0 |
| შელბურნი-მერვუ | 7:0 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| მატერსბურგი-უიპეშტი | 3:0 |
| გრატკორნი-ამკარი | 0:2 |
| ვინტერტური-ლუშტენაუ | 2:2 |
| სოშო-გრასჰოპერსი | 1:3 |
| ვოლფსბურგი-კილი | 2:1 |
| ჰერფიოლგე-ნორდსილანდი | 0:1 |
| ვარეგემი-სერკლი | 0:5 |
| შტურმი-კოპენჰაგენი | 2:2, პენ.7:8 |

## TV პროგრამა

### 4 ივლისი. შაბათი

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

18:00 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები). თბილისი (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:25 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
08:15 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-კრუზეირო (ბრაზილია).
10:05 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლივერპული-ატლეტიკო.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. სელტიკი-მანჩესტერ იუნ.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი.
18:20 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლილი.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
22:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბატე-ზენიტი.
00:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბილბაო.
02:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ჰერენვეენი.
04:00 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული.
05:50 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-პსჟ.

**EUROSPORT**

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პოლონეთი.
12:00 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. კონკური. აახენი. გერმანია.
13:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. გუნდების პრეზენტაცია.
14:30 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
15:00 სნუკერი. მსოფლიოს სერია. ირლანდია.
16:30 ავტოსპორტი. „რენოს" მსოფლიოს სერია. I რბოლა. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი (LIVE).
17:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი. მონაკო (LIVE).
21:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი. მონაკო.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.

### 5 ივლისი. კვირა

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

18:00 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი (ახალგაზრდები). თბილისი (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

07:40 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. სპორტინგი-შახტარი.
09:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
10:10 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-ესტუდიანტესი (არგენტინა).
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბატე-ზენიტი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბილბაო.
18:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ჰერენვეენი.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი.
22:15 არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ურაკანი (LIVE).
00:40 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ატლეტიკო.
02:30 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. დინამო-პორტუ.
04:30 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი.

**EUROSPORT**

10:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი. მონაკო.
11:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. კვალიფიკაცია. პორტუ. პორტუგალია.
12:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. გასახურებელი წრე. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
12:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. I ეტაპი. მონაკო.
14:15 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
15:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი. მონაკო-ბრინიოლი (LIVE).
19:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. პორტუ. პორტუგალია (LIVE).
20:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
20:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (LIVE).
21:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი. მონაკო-ბრინიოლი.
21:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (LIVE).
22:45 პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. მძიმე წონა. მარკო ჰუკი (გერმანია)-ვიტალი რუსალი (უკრაინა). გერმანია.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი. მონაკო-ბრინიოლი.
01:00 ავტოსპორტი. „რენოს" მსოფლიოს სერია. II რბოლა. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი.
01:30 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. კონკური. აახენი. გერმანია.
03:15 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.

ჰოკეი. ვანკუვერი 2010

# ვარსკვლავური კანადა

ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა პირველი წინასაოლიმპიადო შეკრებისთვის კანადის ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა გამოაცხადა. შეკრება კალგარიში 24-27 აგვისტოს გაიმართება. კანადელთა მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ბებკოკმა** და გენერალურმა მენეჯერმა **სტივ აიზერმანმა** 46 ჰოკეისტი გამოიძახეს, რომლებიც NHL-ის 24 კლუბს წარმოადგენენ. აი, როგორ გამოიყურება ეს სია:

**მეკარეები** - ბროდერი („ნიუ ჯერსი"), ლუონგო („ვანკუვერი"), ფლერი („პიტსბურგი"), უორდი („კაროლინა"), ს. მეისონი („კოალმბუსი");

**მცველები** - ბოუმისტერი, რეგერი, ფანოფი (ყველა - „კალგარი"), ს. ნიდერმაიერი, ბოშემენი (ორივე - „ანაჰაიმი"), კეიტი, სიბრუკი (ორივე - „ჩიკაგო"), გრინი („ვაშინგტონი"), დ. ბოილი („სან ხოსე"), პრონგერი („ფილადელფია"), მ. სტაალი („რეინჯერსი"), უებერი, ჰამჰუისი (ორივე - „ნეშვილი"), ბერნსი („მინესოტა"), დაუტი („ლოს ანჯელესი"), რობიდასი („დალასი");

**თავდამსხმელები** - კროსბი, ჯ. სტაალი (ორივე - „პიტსბურგი"), დოუნი („ფინიქსი"), ჰიტლი („ოტავა"), საიმონ განიე, კარტერი, რიჩარდსი (ყველა - „ფილადელფია"), იგინლა („კალგარი"), ნეში („კოლამბუსი"), საკიკი, სმიტი (ორივე - „კოლორადო"), სენტ ლუისი, ლეკავალიე (ორივე - „ტამპა ბეი"), ე. სტაალი („კაროლინა"), ჯ. ტორნტონი, მარლო („სან ხოსე"), გეტცლაფი, პერი (ორივე - „ანაჰაიმი"), ლუჩიჩი („ბოსტონი"), მაკდონალდი („სენტ ლუისი"), მოროუ („დალასი"), როი („ბაფალო"), შარპი, ტეუვზი (ორივე - „ჩიკაგო"), კლირი („დეტროიტი").

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავები მოედნებს მიღმა



# არმანის სახე

**ვიქტორია** და **დევიდ ბექჰემებმა** Emporio Armani-ს თეთრეულის მორიგ კოლექციას გაუკეთეს რეკლამა. ვარსკვლავური წყვილის პირველი ფოტოსესია იანვარში გამოქვეყნდა. მაშინაც ფოტოები შავ-თეთრი იყო. ამჯერად ვიქტორია გეიშას სტილში დაწნული თმებით უკეთებს რეკლამას არმანის შემოდგომა-ზამთრის კოლექციას.

შეგახსენებთ, რომ ერთი თვით ადრე, დევიდმა მეუღლის გარეშე იმუშავა ცნობილ ფოტოგრაფებთან - **მერტ ელასთან** და **მარკუს პიგოტთან**. ამ თანამშრომლობას ფეხბურთელს შარშან გაფორმებული კონტრაქტი ავალდებულებს - დევიდი 20 მილიონ ფუნტად იქცა Emporio Armani-ს სახედ. თავის მხრივ, ვიქტორიასაც პირადი კონტრაქტი აქვს გაფორმებული არმანისთან - მისი ხელშეკრულება 12 მილიონ ფუნტად არის შეფასებული.



# ბრძოლის წინ

**გუშინ** გერმანიის ქალაქ ლანდენჰაგენში ქალთა შორის მეორე საშუალო წონაში საჩემპიონო ბრძოლის მონაწილეთა აწონა გაიმართა: WBC-სა და WBA-ის ჩემპიონი, რუსი **ნატალია რაგოზინა** ამერიკელ **ლაურა რემსის** ხვდება.




# ფერგის არ უთხრათ

**უეინ რუნის** ამ ფოტოს ნახვა „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელ სერ **ალექს ფერგიუსონს** ნამდვილად არ ესიამოვნება. ფეხბურთელი, რომელიც ინგლისის ჩემპიონის რიგებში კვირაში 90 ათას ფუნტს იღებს, სენ-ტროპეს სანაპიროზე საპარაშუტო სპორტით იყო დაკავებული. ერთი კვირით ადრე კი „მანჩესტერის" ფორვარდი წყლის თხილამურებით ერთობოდა.



ჩოგბურთი

# მარტინას სასამართლო ელოდება

რვა წელი ბედნიერად იცხოვრეს ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **მარტინა ნავრატილოვამ** და მისმა მეუღლემ, ბიზნესვუმენმა **ტონი ლეიტონმა**. მათი გაყრის შემდეგ კი, ჩოგბურთელის ყოფილი ცოლი ნავრატილოვას მორალური კომპენსაციის სახით ქონების ნაწილს ედავება.

ჩეხური წარმოშობის ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა პირველი ცნობილი სპორტსმენი იყო, რომელმაც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ აღიარა. იმ დროს, ჩემპიონი **ჯუდი ნელსონთან** ერთად ცხოვრობდა. 1991 წელს ისინი დაშორდნენ და ყოფილმა შეყვარებულმა მარტინას სასამართლოში უჩივლა. ჯუდი ჩოგბურთელისგან 7.5 მილიონ დოლარს ითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ, 300 ათასზე ნაკლები მიიღო. ახლა, ნავრატილოვას მეორე ცოლიც აპირებს სასამართლოს ძალით თავისი „წილის" მიღებას.

თავის დროზე, 56 წლის ტონი ლეიტონი მარტინას გამო ქმარს გაშორდა. და ახლა ვერ მოუნელებია, რომ ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა კარისკენ მიუთითა. განაწყენებული ქალბატონი 200 ათას დოლარზე, „მერსედესზე", „ლენდ როვერზე", ჯიპზე, კატერზე, ორ ჰიდროციკლზე, ძვირფასეულობაზე, ორ პისტოლეტსა და კარაბინზე აცხადებს პრეტენზიას. სხვათა შორის, გადაადგილების საშუალებები ოფიციალურად ლეიტონს ეკუთვნის, მაგრამ სკანდალური გაყრის შემდეგ, 52 წლის ნავრატილოვამ მანქანების ყოფილი მეუღლისთვის გადაცემა არ მოისურვა. გარდა ამისა, ტონი ითხოვს მატერიალურ კომპენსაციას „ემოციური, ფსიქიკური და ფიზიკური ტრავმების" გამო, რომელიც ექსშეყვარებულმა მიაყენა.

ლეიტონმა განსაკუთრებულად ძლიერი დარტყმა მაშინ მიიღო, როცა ლეგენდამ ცოლი ფლორიდაში თავისი 6-მილიონიანი სახლიდან გააგდო. თუ ნავრატილოვა კომპენსაციას არ გადაიხდის, ტონი რალაც „საშინელი" საიდუმლოებების გამოქვეყნებას აპირებს თავის ყოფილ მეუღლეზე.

სწორედ ფლორიდის შტატის ქალაქ სარასოტაში გაიმართება სასამართლო. ლეიტონს ეს ფაქტი არ ახარებს, რადგან აქ იურიდიული ძალა არ გააჩნია ერთი სქესის ადამიანებს შორის კავშირს. შესაბამისად, ტონის არ შეუძლია თავისი მეორე ნახევრის ქონების 50 პროცენტის მოთხოვნა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge